В плане здание ограничено, т.е. несоизмеримо с длиной сейсмической волны. Подразумевается, что все несущие колонны воспринимают равные вертикальные сейсмические ускорения, соответственно с одинаковым параметрическим эффектом:

- колонна жёстко заделана в основание (рис.4),

– верхний конец колонны предполагается жёстко заделанным относительно угловых и свободно относительно поперечных перемещений (рис. 4),

– на уровне заделки верхнего конца колонны сосредоточена та часть надколонной массы здания, которая передаётся непосредственно колонне (заключена между основанием и оголовком грузовой площадки (рис.1, 2, 3)) и рассматривается как внешнее силовое воздействие.




Рис. 4. Расчётная модель несущей колонны

Записав дифференциальное уравнение изогнутой оси стержня (рис.4), пренебрегая при этом продольными силами инерции массы стержня, учитывая только первую форму изгибных колебаний, определяя упругую ось соответственно нашему случаю равенством

$$v(x, t) = f(t)\varphi(t) = f(t)\sin^2 \frac{\pi}{2l} x \quad (1)$$

с последующим использованием метода Бубнова-Галёркина [5], получаем уравнение колебания стержня моделируемой системой с одной степенью свободы:

$$(1+e)\ddot{f} + 2\beta_0\dot{f} + \omega^2 [1 - \mu\zeta(t)] f = 0, \quad (2)$$

где

$$\begin{aligned} e &= \frac{Ma}{mb}; \quad \beta_0 = \frac{\beta}{m}; \quad \omega^2 = \frac{\pi^2 EIc}{2ml^2 b}; \\ \mu &= \frac{P_0 + M\zeta(t)}{P_{cr}}; \quad P_{cr} = \frac{\pi^2 EI}{l^2}; \end{aligned}$$

$$B = \frac{\pi^2 (2lx - x^2) - l^2 (1 - \cos \frac{\pi}{l} (l-x)) - \pi l (l-x) \sin \frac{\pi}{l} (l-x)}{4\pi^2};$$

$$a = \int_0^l (l-x)\varphi(x)dx; \quad b = \int_0^l B\varphi(t)dx;$$

$$c = \int_0^l \cos \frac{\pi}{l} x \varphi(x)dx.$$

Вертикальное сейсмическое ускорение, в нашем случае параметрическое воздействие $\zeta(t)$, представим в виде случайного процесса. Сокращением уравнения (2) на коэффициент $(1+\varepsilon)$ получим:

$$\ddot{f} + 2\varepsilon\dot{f} + \Omega^2 [1 - \mu\zeta(t)] f = 0, \quad (3)$$

где

$$\varepsilon = \frac{\beta}{1-\varepsilon} \quad \Omega^2 = \frac{\omega^2}{1-\varepsilon}.$$

Уравнение (3) является стохастическим аналогом уравнения Маттье-Хилла [6]. В основном к исследованию этого уравнения сводится вопрос динамической устойчивости при случайном параметрическом воздействии и ставится задача устойчивости его тригонометрического решения в смысле одного из определений стохастической устойчивости [6,9]. Особенности воздействия также являются определяющими для метода решения задачи. При назначении модели случайного воздействия $\zeta(t)$ руководствуемся в основном двумя условиями:

- модель должна с требуемой точностью отражать реальное воздействие;
- нужно оставаться в рамках теории непрерывных марковских процессов с последующим использованием связи между интенсивностями марковского процесса и коэффициентами стохастического дифференциального уравнения (3), записанного относительно введенных фазовых переменных.

Случайный процесс с дробно-рациональной спектральной плотностью даёт большие возможности в отражении реальных свойств воздействия, но в отношении второго условия требует расширения фазового пространства сопровождающим усложнением решения задачи. Дельта-коррелированный случайный процесс (белый шум) полностью удовлетворяет второе условие, но не соответствует реальному процессу и в общем и в данном конкретном случае. Ввиду того что любая реальная инерционная система реагирует на ограниченный диапазон частот, в случае широкополосного случайного воздействия реакция системы на него будет таковой, как на воздействие типа белого шума. Соответственно при определенных условиях, которые не противоречат смыслу рассматриваемой задачи и не приводят к физическим недоразумениям, можно заменить реальный процесс на дельта-коррелированный [7,8].

На основе вышеотмеченного, путём представления стационарного случайного процесса в виде

модели белого шума, будем обеспечивать соблюдение второго условия.

Рассмотрим в качестве такой модели экспоненциально-коррелированный стационарный случайный процесс с корреляционной функцией

$$K_{\zeta\zeta}(\tau) = \sigma^2 \exp(-\alpha|\tau|) \quad (4)$$

и спектральной плотностью

$$S_{\zeta\zeta}(\omega) = \frac{\sigma^2}{\pi} \frac{\alpha^2}{\alpha^2 + \omega^2}, \quad (5)$$

где σ^2 – дисперсия случайного процесса:

α – коэффициент, характеризующий быстроту убывания корреляционной связи между значениями процесса $\zeta(t)$ в моменты времени t и $t + \tau$, и имеющий размерность, обратную размерности времени.

Достаточным условием, при котором характеризуемое выражениями (4) и (5) случайное воздействие можно считать широкополосным, является условие.

$$\alpha \gg \Omega_{max}, \quad (6)$$

где Ω_{max} – максимальная собственная частота системы. При соблюдении этого условия, внешнее случайное воздействие относительно конкретной системы можно считать процессом типа белого шума со спектральной плотностью $S_{\zeta\zeta}(0)$.

В зависимости от параметров расчётной модели (рис. 4) и характеристики вертикального сейсмического ускорения (τ_{cor} -время корреляции), будем определять значения α .

Представлением случайного вертикального сейсмического воздействия в описанном и обоснованном выше виде обеспечивается соблюдение указанного второго условия решения конечной задачи.

3. ЗАКЛЮЧЕНИЕ

Дана и обоснована расчётная модель несущей колонны на динамическую устойчивость, при рассмотрении последней в виде случайного процесса.

Дана и обоснована модель вертикального сейсмического воздействия в виде случайного процесса, обеспечивающего решение задачи в рамках теории непрерывных марковских процессов.

Работа выполняется при финансовой поддержке Национального Научного Фонда Шота Руставели (Договор № Ճ-13/03 20.XII.2012)

ЛИТЕРАТУРА

1. ქ. ზავრიელი, შ. ნაცემარიძე, გ. ქარცივაძე, ქ. ჯაბუა. ა. წურაიანი. ნაგებობათა სეისმო-მექანიკა. თბ.: მეცნიერება, 1980.-324გვ.
2. Nakashima M., Inone K., Tada M. Classification of Damage to Steel Buildings Observed in the 1995 Hyogoken-Nanbu earthquake. Engineering Structures. Vol. 20, No 4-6, 1998. Pp. 271-281.
3. Бедарев В.Е. Влияние геометрических размеров на характер разрушения железобетонных колонн зданий с гибким первым этажом при сейсмических воздействиях//Бетон и железобетон, №5, 2003. Стр. 25-28.
4. Cağnan Z., G Ülk̄an P. Analysis of an RC Frame Building Damaged During the 12 November 1999 Düzce Earthquake. Structural Dynamics.
5. Штоль А.Г. Динамическая устойчивость нелинейно-упругой параметрической системы при сейсмическом воздействии//Сейсмостойкость зданий и сооружений // Труды ЦНИИСК. Вып.26. М., 1972, стр.36-43.
6. Болотин В.В. Случайные колебания упругих систем. М.: Наука, 1979.-336стр.
7. Диментберг М.Ф. Нелинейные стохастические задачи механических колебаний. М.: Наука, 1980.-361стр.
8. Тихонов В.И., Харисов В.Н. Статистический анализ и синтез радиотехнических устройств и систем. М.: Радио и связь, 1991.-608стр.
9. Козин Ф. Устойчивость стохастических систем. Оптимальные системы. Статистические методы. М.,1971, стр.193-20.

უაგ 624.042.7.519.21**სვეტების დინამიკური მდგრადობის ამოცანა უზარი ვერტიკალური სეისმური გადაღებისას**

ს. ესაძე*, შ. ურუშაძე, ლ. ფირუზლაშვილი***

*ჰიდროინჟინერიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ

**ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ინსტიტუტი

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია პირველი მოქნილი დონის/სართულის მქონე შენობათა მზიდა ელემენტების – სვეტების დინამიკური მდგრადობა ფუძის სეისმური აჩქარების ვერტიკალური შემდგენლის ზემოქმედებაზე. მიღებული და დასაბუთებულია დინამიკური მდგრადობაზე მზიდა სვეტის სააგარიშო მოდელი, როდესაც ეს უკანასკნელი განიხილება როგორც შემთხვევითი პროცესი. მიღებული და დასაბუთებულია ვერტიკალური სეისმური ზემოქმედების მოდელი შემთხვევითი პროცესის სახით, რომელიც უზრუნველყოფს ამოცანის გადაწყვეტას მარკოვის უწყვეტ პროცესთა თეორიის ფარგლებში.

საკანონო სიტყვები: დინამიკური მდგრადობა; ვერტიკალური სეისმური აჩქარება; შემთხვევითი პროცესი.

UDC 624.042.7.519.21**THE TASK OF THE DYNAMIC STABILITY OF COLUMNS IN CASE OF VERTICAL SEISMIC ACCELERATION OF THE BASE**

S. Esadze*, Sh. Urushalze, L Pirkulashvili***

*Department of hydroengineering, Georgian Technical University, 68^b, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Institute of theoretical and applied mechanics, Academy of Sciences of Czech Republic

Resume: There is reviewed the dynamic stability of bearing elements – building columns with flexible floor affected by the vertical component of the base seismic acceleration.

There is shown and substantiated calculated model of the bearing column for dynamic stability, provided, that the effect is viewed as a random process.

There is also shown and substantiated the model of vertical seismic effect, as random process, which allows solving the task under the theory of Markov processes.

Key words: dinamic stability; vertical seismic acceleration; random process.

მიღებულია დასაბუჭიდავ 12.12.13

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სექტორი

შაპ 654.03

ბრძელვადიანი კერივდისათვის ელექტროენერგიის ბაზაცემის ზღვრული
ფარიზის ოპტიმალური დაბეჭმვა

დ. ჯაფარიძე*, ნ. კიკაბიძე**

ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 75

E-mail: nino_86@mail.ru, djafaridze@gtu.ge

რეზიუმე: პროგნოზირების ცნობილი მეთოდების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია პროგნოზირების მრავალფაქტორიანი მეთოდის და ნეირონული ქსელების ჰიბრიდული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი. ამ მოდელის შესაბამისად შემუშავებულია ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის გრძელვადიანი პერიოდისათვის ოპტიმალური დაგეგმვის მეთოდი. ამ მეთოდით, საქართველოს ენერგოსისტების 2007-2012 წლებში მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ არსებული ანგარიშებიდან მოპოვებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, განსაზღვრულია ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის გეგმური მაჩვენებლები სერტიფიკური მოდელის გადაცემის ანალიზი. ანალიზის ასევენა, რომ სემეკის მიერ ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი დადგენილია არა-მართვებულად. რეალურად ტარიფი ორჯერ და მეტად უნდა აღმატებოდეს ამჟამად მოქმედ ტარიფს. ნაჩვენებია, რომ ელექტროენერგიის გადაცემის ამჟამად მოქმედი ტარიფის გაზრდა უმტკიცებულოდ შეიძლება ელექტროენერგიის განაწილების ტარიფის შემცირების ხარჯზე.

საკვანძო სიტყვები: პროგნოზირება; დაგეგმვა; ტარიფი; ოპტიმიზაცია; ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი

პოლონეთი, ბულგარეთი და მთელი რიგი სხვა ქვეყნები ელექტროენერგიის ტარიფების დაგეგმვას ასორციელებენ სერტიფიკით. [8.9] ელექტროენერგიის ტარიფების დაგეგმვისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევს ენერგეტიკულ კომპანიებს და ელექტროენერგიის მომხმარებლებს გადავიდნენ თავიანთი საქმიანობის გრძელვადიან დაგეგმვაზე, შეინარჩუნონ სიცოცხლისუნარიანობა, იმუშაონ და განვითარდნენ, უზრუნველყონ სამურნეო საქმიანობის წარმართვისადმი კომპლექსური მიდგომა. გრძელვადიანი პერიოდისათვის ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფების დაგეგმვა განსაკუთრებით აქტუალურია ელექტროენერგეტიკული სისტემისათვის.

ჩვენი აზრით, დასმული პრობლემის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე გადაწყვეტა შესაძლებელია, ტარიფების პროგნოზული პარამეტრების მაღალი სიზუსტით განსაზღვრულ პირობებში, ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფის სიდიდეზე მოქმედი ყველა შესაძლო ფაქტორის გათვალისწინებით. ამ გზით მიღებული ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის პროგნოზული პარამეტრები უნდა დაედოს საფუძვლად გრძელვადიანი პერიოდისათვის ელექტროენერგიის ტარიფების ოპტიმალურ დაბეჭმვას. სწორედ ამიტომ, წარმოდგენილი კვლევა ეძღვნება ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის გრძელვადიანი პერიოდისათვის ოპტიმალურ დაგეგმვას.

1. შესავალი

დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყანა გადასულია ელექტროენერგიის ტარიფების გრძელვადიანი პერიოდისათვის დაგეგმვაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნები, კანადა, აშშ, ავსტრალია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი,

2. ძირითადი ნაწილი

ელექტროენერგიის გრძელვადიან პერიოდში ტარიფების დაგეგმვისადმი მიღებული კვლევების ანალიზი გვხვდება, რომ ამ პრობლემის კვლევებით დაკავებულ მუცნიერთა ნაწილი [34.10.11]

ტარიფების გრძელვადიან პერიოდში დაგეგმვაში, სხვა ცნობილ მეთოდებთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებენ მრავალფაქტორიანი კონომიკურ-მათემატიკური მოდელის გამოყენებას. ეს მოდელი სასიათდება მაღალი სანდობით და სიზუსტით. ოუცა, ვინაიდან ტარიფის სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების რაოდენობა იზრდება წინა წლების სტატიკური მონაცემებით, ამ მოდელით ტარიფების გრძელვადიან პერიოდისათვის დაგეგმვა დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. არსებული სირთულეების გადალახვა შესაძლებელია ხელოვნური ნეირონული ქსელების მეშვეობით გრძელვადიან პერიოდისათვის ტარიფების დაგეგმვის განხორციელებაში [1,15]. ხელოვნური ნეირონული ქსელები საშუალებას იძლევა სტატიკური მონაცემების შეზღუდული რაოდენობის პირობებში, ტარიფის სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების მაქსიმალური ოდენობის გათვალისწინებით მიღწეულ იქნეს პროგნოზირების შედარების მაღალი სიზუსტე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის დაგეგმვისადმი მიღვოჩინ უნდა ატარებდეს კომლექსურ სასიათს. რაც გულისხმობს ამოცანის გადაწყვეტას პროგნოზირების მრავალფაქტორიანი და

ნეირონული ქსელების პიბრიდული მოდელით. ამ მოდელით ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის გრძელვადიანი პერიოდისათვის დაგეგმვის განხორციელება უზრუნველყოფს საგეგმო პარამეტრების განსაზღვრის მაღალ სიზუსტეს და სანდობას.

პროგნოზირების მრავალპატეტორიან მოდელთან ერთად ხელოვნური ნეირონული ქსელების გამოყენება იმით არის განპირობებული, რომ ხელოვნური ნეირონული ქსელები ანალიტიკური სისტემებია, სადაც დასტული ამოცანები არასაკმარისად მაფიოდ არის ფორმულირებული. ფორმულირების არასაკმარისი სიზუსტე შეიძლება ხელოვნური ნეირონული ქსელის უნარით თვითსწავლების უნარზე მონაცემებში იპოვოს დაფარული და გაუგებარი კავშირები. ხელოვნური ნეირონული ქსელის მნიშვნელოვანი თვისება არის უნარი გარე გარემოს ცვლილებებზე დამოკიდებულებით შეიცვალოს თავისი ქცვა და ცოდნა.

გადაცემის ზღვრულ ტარიფზე მოქმედი ფაქტორების დაღების მიზნით ჩატარებულ იქნა ექსპერტული ანალიზი, ანალიზის შედეგების მიხედვით შეირჩა შესაძლო ფაქტორების ნუსხა, რომელიც მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფის სიდიდეზე მოქმედი შესაძლო ფაქტორები

| № | ფაქტორი | აღნიშვნა | შენიშვნა |
|----|--------------------------------------------|----------|---------------------------|
| 1 | 2007 წელს ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი | X1 | თეთრი. კვტ. სთ |
| 2 | 2008 წელს ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი | X2 | თეთრი. კვტ. სთ |
| 3 | 2009 წელს ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი | X3 | თეთრი. კვტ. სთ |
| 4 | 2010 წელს ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი | X4 | თეთრი. კვტ. სთ |
| 5 | 2011 წელს ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი | X5 | თეთრი. კვტ. სთ |
| 6 | ინფლაციის ზრდის ტემპი | X6 | % |
| 7 | სამორტიზაციო ანარიცხები | X7 | ათასი ლარი 1 კვტ სთ-ზე |
| 8 | საოპერაციო სარჯები | X8 | ათასი ლარი 1 კვტ სთ-ზე |
| 9 | ინვესტიციებული კაპიტარილის ფონდამონაგები | X9 | ათასი ლარი 1 კვტ სთ-ზე |
| 10 | გადასახადები | X10 | ათასი ლარი 1 კვტ სთ-ზე |
| 11 | ელექტროენერგიის დანაპარგები | X11 | ათასი ლარი 1 კვტ სთ-ზე |

1-ელ ცხრილში მოცემული გადაცემის ტარიფები მოქმედი სავარაუდო ფაქტორების დაზუსტებისათვის მიზნით სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მე-2 ცხრილში ასახული

სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ცხობილი მეთოდით [3,4] ჩატარდა კორელაციური ანალიზი. კორელაციური ანალიზისათვის საწყისი ინფორმაცია მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

კორელაციური ანალიზისათვის საწყისი ინფორმაცია

| წელი | ინფორმაცია | სამარტინტაციო ანარტების თქორი/კვტ.სთ | სარჯობო აღმოჩენის თქორი/კვტ.სთ | ფონდამენტაციები თქორი/კვტ.სთ | გადასატანის თქორი/კვტ.სთ | დანაკარგების თქორი/კვტ.სთ | ტოლი |
|------|------------|--------------------------------------------|--------------------------------------|---------------------------------|-----------------------------|------------------------------|----------|
| № | X1 | X2 | X3 | X4 | X5 | X6 | Y |
| 2008 | 105,5 | 0,00162 | 0,00233822 | 0,006572648 | 0,000130508 | 0,001349 | 1.022988 |
| 2009 | 103 | 0,0094 | 0,004845805 | 0,00763482 | 0,000496104 | 0,000553 | 2.311194 |
| 2010 | 111,2 | 0,00379 | 0,003446669 | 0,006901265 | 0,000454801 | 0,000496 | 1.455048 |
| 2011 | 102 | 0,00339 | 0,003018547 | 0,006404325 | 0,001029577 | 0,000914 | 1.372443 |
| 2012 | 98,6 | 0,00327 | 0,003096732 | 0,006139465 | 0,000884795 | 0,000512 | 1.323135 |

მე-2 ცხრილში შეტანილი 2008-2012 წლების ელექტროენერგიის გადაცემის რეალური ტარიფის მაჩვენებლები გამოთვლილია, ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფის მაფორმირებელი ხარჯების წინა წლების სტატიკური მონაცემების მიხედვით, სემეკის მიერ შემუშავებული მეთოდიკით [5] განსაზღვრული ფორმულის საფუძველზე მივიღებთ.

$$T_{gadi} = \frac{(C_i + D_i + Tax_i + P_i)}{W_i} *$$

$$* (1 + \Pi_{nomi}) * CI_{mi} - T_{disi}$$

სადაც

C_i - საოპერაციო ხარჯები, ათასი ლარი/წელი/წადში, ი წელიწადს

D_i - სამორტიზაციო ანარიცხები, ათასი ლარი/წელი/წადში, ი წელიწადს

Tax_i - გადასახადი, ათასი ლარი/წელი/წადში, ი წელიწადს

P_i – ინვესტიციებული კაპიტალის ამონაგები, ათასი ლარი/წელიწადში, ი წელიწადს

W_i - ენერგოსისტემის მიერ გადაცემული ელექტროენერგიის მოცულობა, კვტ.სთ, ი წელიწადს

Π_{nomi} - მოგების ნორმა, მოგების ნორმად მიღებულია 10%-იანი ზღვარი, ი წელიწადს

CI_{mi} - ინფლაციის ზრდის ინდექსი, ი წელიწადს

T_{disi} - დისპეტჩერიზაციის ტარიფი, თეთრი /კვტ.სთ, ი წელიწადს. ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფის მნიშვნელობიდან დისპეტჩერიზაციის ტარიფის გამოკლება იმით არის განპირობებული, რომ შეუძლებელი გახდა ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციისათვის გაწეული ხარჯების შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოპოვება.

საქართველოს ენერგოსისტემის მიერ 2008-2012 წლებში საქართველოს ენერგოსისტემის მიერ ქსელში გადაცემული ენერგიის მოცულობები მოცემულია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

2008-2012 წლებში საქართველოს ენერგოსისტემის მიერ გადაცემული ელექტროენერგიის მაჩვენებლები

| წელი | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 |
|------------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|
| სულ გად. კვტ. სთ | 7,662,665,494 | 7,105,734,140 | 8,074,461,827 | 9,244,846,602 | 9,907,541,264 |

მე-2 და მე-3 ცხრილებში ასახული მონაცემების მიხედვით ჩატარებული კორელაციური ანალიზის შედეგები შეტანილია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

| ფაქტორი | ინფლაცია | სამოწმობაციო ანარიცხები თქორი/კპ.სთ | საოპერაციო ხარჯები თქორი/კპ.სთ | ფონდმონაბეჭი თქორი/კპ.სთ | შადასახალები თქორი/კპ.სთ | დანაკარგები თქორი/კპ.სთ | ტარიფი |
|---------|----------|-------------------------------------------|--------------------------------------|-----------------------------|-----------------------------|----------------------------|--------|
| ტარიფი | -0.07038 | 0.9978572 | 0.991105 | 0.850246 | 0.058944 | -0.5780859 | 1 |

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს ჩატარებული კვლევის შედეგად ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფზე მოქმედი ფაქტორები ზუსტად დაემთხვა ექსპერტული შეფასებით დადგენილ ფაქტორებს. ხელოვნური ხეირონული ქსელების მეშვეობით ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის გრძელვადიანი პერიოდით დაბეგმისას აუცილებელია შემავალი და გამომავალი ფაქტორების ერთმანეთთან დაკავშირება. მსოფლიო პრაქტიკაში [1,12,13,14,15] გავრცელებულია $F(k)$ აქტივაციის შემდეგი ფუნქციები: ლოგისტიკურ-სიგმოიდური, ზღვრული, ჰიპერბოლურ-ტანგენსური, ნულოვანი ლოგისტიკურ-სიგმოიდური, ბიპოლარულ-სიგმოიდური.

აქტივაციის ფუნქციის სახის შესარჩევად ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევა. ჩამოთვლილი ფუნქციებიდან ოპტიმალურის შერჩევას საფუძ


ვლად დაედო საშუალო კვადრატული შეცდომის მინიმუმის კრიტერიუმი [1,12,13,14,15]. საშუალო კვადრატული შეცდომა გამოთვლილია შემდეგი ფორმულებით:

$$J(n) = \frac{1}{2} \sum_k e_k^2(n)$$

$$e_k(n) = y_k(n) - d_k(n)$$

სადაც $d_k(n)$ არის ფაქტიური k მნიშვნელობა ინიციალურის დროს, $y_k(n)$ – მოდელით მიღებული კმინიშვნელობა ინიციალურის დროს. [2,15]

აღნიშნული კრიტერიუმით შემუშავებულია ფაქტიური და საპოვგნოზო მოდელით განსაზღვრულ გამომავალ ფაქტორებს შორის მინიმუმისათვის შეცდომების გასწორების ალგორითმი, რომელსაც 1-ელ ნახ-ზე აქვს მოცემული სახე:




ნახ. 1. შეცდომების გასწორების ალგორითმი

ხელოვნური ნიირონული ქსელის სტრუქტურების ანალიზის მიხედვით მივეღით იმ დასპენებამდე, რომ ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის გრძელვადიანი (5 წელი) საგეგმო მაჩვენებლების პროგნოზირებისათვის უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ხელოვნური ნეირონული ქსელის კონფიგურაცია პირდაპირი გავრცელების (პროცესტონები) შეცდომის უკუგავრცელების მეთოდით სწავლება.

ზემოთ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის და 1-ელ ცხრილის მონაცემების საფუძველზე პროგრამული პაკეტის PredictorXL მეშვეობით, სხვადასხვა აქტივაციის ფუნქციის, ნეირონების არაფარული და ფარული შრეების სხვადასხვა რაოდენობის მიხედვით ექსპერიმენტით დადგენილ იქნა ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის გრძელვადიანი (5 წელი) პროგნოზირების თანიმაღლური მოდელი. ჩატარებულმა კვლევამ

აჩვენა, რომ ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის ხუთწლიანი პროგნოზის კველაზე დიდი სიზუსტით განხორციელება შესაძლებელია, ნეირონების ფარული შრეების – 1 და-აქტივაციის ბიპოლარულ-სიგმოიდური ფუნქციით.

შესაბამისად ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის ხუთწლიანი პროგნოზირების ხელოვნური ნეირონული ქსელების მოდელი მიიღებს მე-3 ნახ-ზე



ნახ. 2. ელექტროენერგიის გადაცემა ზღვრული ტარიფის ხუთწლიანი პროგნოზირების მოდელი

პარალელურად განხორციელდა ფაქტორების ცვალებადობის მომავალი ხუთწლიანი პერიოდის პროგნოზირება [2,3]. მე-2 ცხრილში მოცემული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე აგ-

ტორეგულებული მეთოდით მიღებულია ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფზე მოქმედი ფაქტორების პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელები, რომლებიც ასახულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფზე მოქმედი ფაქტორების პროგნოზირების ავტორეგრესული მოდელები

| საპროგნოზო ფაქტორები | პროგნოზირების განტოლება |
|---------------------------------------|---------------------------------------------------------|
| ინფლაციის ზრდის ტემპი | $Y_i = -0.22206 * X^{-1} - 0.67532 * X^{-2} + 200.5196$ |
| სამორტიზაციო ანარიცხები | $Y_i = -0,60226 * X^{-1} - 0,51587 * X^{-2} + 0,009873$ |
| საოპერაციო ხარჯები | $Y_i = -0,54511 * X^{-1} - 0,42139 * X^{-2} + 0,002617$ |
| ინვესტიცებული ქაპიტალის ფონდამონაგები | $Y_i = 0,661236 * X^{-1} + 0,779591 * X^{-2} - 0,00347$ |
| გადასახადები | $Y_i = 0,3785524 * X^{-1} + 0,000517$ |
| ელექტროენერგიის წლიური დანაკარგები | $Y_i = -1.0233 * X^{-1} - 0.45245 * X^{-2} + 0.16716$ |

პროგნოზირების ავტორეგრესულ მოდელებში X^1, X^2 არის საპროგნოზო ფაქტორების წინა წლის მაჩვენებლები.

მითითებული ავტორეგრესული მოდელებით

შესრულებულია ელექტროენერგიის ტარიფზე მოქმედი ფაქტორების პროგნოზი ხუთწლიანი პერიოდისათვის. შედეგები შეტანილია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

გადაცემის ტარიფზე მოქმედი ფაქტორების ხუთწლიანი პროგნოზული მაჩვენებლები

| წელი | ინფლაცია | სამორტიფაციო ანარიცხები თუ- თრი/კვტსთ | საოპერაციო ხარჯები თვეთრი/კვტსთ | ფონდამონაბეჭი თვეთრი/კვტსთ | გადასახადები თვეთრი/კვტსთ | კლუბის ღირებულების დანატებით გამოწვევული თუ- თრი/კვტსთ |
|------|----------|---------------------------------------------|---------------------------------------|-------------------------------|------------------------------|-----------------------------------------------------------------|
| 2013 | 109,2 | 0,00588 | 0,003546531 | 0,005583604 | 0,000906273 | 0,00032226684 |
| 2014 | 110,1 | 0,00616 | 0,003734688 | 0,005009567 | 0,00085147 | 0,0005044206 |
| 2015 | 105,9 | 0,00465 | 0,003495661 | 0,004196648 | 0,0008596 | 0,0005044206 |
| 2016 | 102,7 | 0,00313 | 0,003279707 | 0,003211603 | 0,000838856 | 0,00059015835 |
| 2017 | 106,2 | 0,0039 | 0,003301711 | 0,001926512 | 0,000841933 | 0,00050774293 |

მე-2 და მე-5 ცხრილებში მოცემული მონაცე-
მების მიხედვით ფორმირებული ხელოვნური
ნეირონული ქსელების ელექტროენერგიის გა-
დაცემის ზღვრული ტარიფის ხუთწლიანი პერი-

ოდისათვის გეგმური მაჩვენებლების განსაზღვ-
რისათვის აუცილებელი საწყისი ინფორმაცია
მოცემულია მე-6 ცხრილის სახით

ცხრილი 6

ხელოვნური ნეირონული ქსელების მეშვეობით ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფის
გეგმური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის საწყისი ინფორმაცია

| წელი | ინფლაცია | სამორტიფაციო ანარიცხები თვეთრი/კვტსთ | საოპერაციო ხარჯები თვეთრი/კვტსთ | ფონდამონაბეჭი თვეთრი/კვტსთ | გადასახადები თვეთრი/კვტსთ | კლუბის ღირებულების დანატებით გამოწვევული თვეთრი/კვტსთ | ტარიფი |
|------|----------|--------------------------------------------|---------------------------------------|-------------------------------|------------------------------|----------------------------------------------------------------|-------------|
| | X1 | X2 | X3 | X4 | X5 | X6 | Y |
| 2008 | 105.5 | 0.001622151 | 0.00233822 | 0.006572648 | 0.000130508 | 0.00134873041 | 1.022987964 |
| 2009 | 103 | 0.009397762 | 0.004845805 | 0.00763482 | 0.000496104 | 0.00055298326 | 2.311193939 |
| 2010 | 111.2 | 0.003788612 | 0.00344666 | 0.006901265 | 0.000454801 | 0.0004955342 | 1.455048111 |
| 2011 | 102 | 0.003387942 | 0.003018547 | 0.006404325 | 0.001029577 | 0.00091435806 | 1.372442871 |
| 2012 | 98.6 | 0.003271145 | 0.003096732 | 0.006139465 | 0.000884795 | 0.00051176358 | 1.32313496 |
| 2013 | 109.2 | 0.00587810 | 0.003546531 | 0.005583604 | 0.000906273 | 0.0003222668 | |
| 2014 | 110.1 | 0.006155137 | 0.003734688 | 0.005009567 | 0.00085147 | 0.0005044206 | |
| 2015 | 105.9 | 0.00464531 | 0.003495661 | 0.004196648 | 0.0008596 | 0.0005044206 | |
| 2016 | 102.7 | 0.003133623 | 0.003279707 | 0.003211603 | 0.000838856 | 0.00059015835 | |
| 2017 | 106.2 | 0.00390001 | 0.003301711 | 0.001926512 | 0.000841933 | 0.00050774293 | |

მე-6 ცხრილში მოცემული საწყისი ინფორმაციის საფუძველზე ზემოთ მოყვანილი მეთოდით, ხელოვნური ნეირონული ქსელების გამოყენებით კომპიუტერული პროგრამა PredictorXL მეშვეობით ხუთწლიანი პერიოდისათვის განსაზღვრულია ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის გეგმური პარამეტრები. შედეგები შეტანილია მე-7 ცხრილში. მე-7 ცხრილის მონაცემებით აგებულია ხუთწლიანი პერიოდში ტარიფის ცვალებადობის გრაფიკი (იხ. ნახ. 3) და გამოთანაბრების მეთოდით [10] დადგენილია ხუთწლიანი პერიოდისათვის ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის გეგმური მაჩვენებლების ზედა ზღვრები.


ცხრილი 7

გადაცემის ტარიფის ცვალებადობის დინამიკა 2012-2017წწ

| წელი | ელ-ენერგიის გადაცემის ტარიფი თეთრი/კვტ-სთ | ელ-ენერგიის გადაცემის ტარიფი ზედა ზღვარი თეთრი/კვტ-სთ |
|------|-------------------------------------------|-------------------------------------------------------|
| 2012 | 1,323135 | 1,368135 |
| 2013 | 1,433241 | 1,483241 |
| 2014 | 1,269112 | 1,324112 |
| 2015 | 1,060272 | 1,120272 |
| 2016 | 0,987345 | 1,052345 |
| 2017 | 0,971837 | 1,041837 |

როგორც მე-7 ცხრილში ასახული მონაცემებიდან ჩანს ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფი 2-ჯერ აღემატება საქართვე-

ლოში ამჟამად მოქმედ ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფის სიდიდეს. ამასთან ერთად, [4,6] შრომის ავტორებმა მეცნიერულად დამტკიცეს, რომ საქართველოსი ამჟამად მოქმედი ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის სიდიდე მნიშვნელოვნად მეტია რეალურ მაჩვენებელზე.




ნახ. 3 ელ-ენერგიის გადაცემის ტარიფის 2013-2017წწ. ზღვრული გეგმური მაჩვენებლების ცვალებადობის დინამიკა

მე-7 ცხრილის მონაცემების საფუძველზე აგვბულია გრაფიკი 4-ის შესაბამისად მაქსიმალური დამაჯერებლობის მეთოდის და Excel კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით მიღებულია გრძელვადიანი პერიოდისათვის ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის გეგმური მაჩვენებლების ოპტიმალური დაგეგმვის გამარტივებული მათგმატიკური მოდელი.

$$Y = -0.006x^4 + 0.110x^3 - 0.646x^2 + 1.38x + 0.485$$

$$R^2 = 0.999$$



ნახ. 4

3. დასკვნა

1. ჩამოყალიბებულია პროგნოზირების მრავალფაქტორიანი და ხელოვნური ნეირონული ქსელების პიბრიდული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა მწირი სტატიკური ინფორმაციის პირობებში, სხვა ცნობილ მეთოდებთან შედარებით, უფრო მაღალი სიზუსტით და სანდობით განხორციელდეს პროგნოზი.

2. პროგნოზირების მრავალფაქტორიანი და ხელოვნური ნეირონული ქსელების პიბრიდული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის საფუძვლზე შემუშავებულია ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფების გრძელვადიანი პერიოდისათვის ოპტიმალური დაგეგმვის მეთოდიკა. აღნიშვნული მეთოდიკა ატარებს უნივერსალურ ხასიათს. მისი გამოყენება წარმატებით შეიძლება ელექტროენერგიის გენერაციის და განაწილების ტარიფების დაგეგმვაში.

3. საქართველოს ენერგოსისტების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ 2007-2013 წლების ანგარიშებში ასახული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით კომპიუტერული პროგრამა redictorXL-ით შესრულებულია ელექტროენერგიის გადაცემის ზღვრული ტარიფის დაგეგმვა ხეთვლიანი პერიოდისათვის. მიღებული შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ მითითებული ტარიფი სემეკის მიერ არამართებულად არის დადგენილი. იგი ორჯერ და მეტად ნაკლებია რეალურ ტარიფთან შედარებით.

4. ჩატარებული ანგარიშებით მიღებული ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფის გეგმური პარამეტრების შესაბამისი ტარიფების დადგენის შემთხვევაში. ენერგოსისტება დამოუკიდებლად შეძლებს სესხების სახით ინვესტიციური კაპიტალის დადგენილ ვადებში დაბრუნებას და შეინარჩუნებს რენტბაბელობის მაღალ დონეს. ტარიფის გაზრდა კი უმტკივნეულოდ შეიძლება განხორციელდეს ელექტროენერგიის განაწილების ტარიფის შემცირების ხარჯზე.

ლიტერატურა

- ა. ელიზბარაშვილი. ნეირონული ქსელები // Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications. 2006. №3(10).
- დ. ჯაფარიძე, თ. მაღრაძე. საქართველოში ელექტროენერგიის მოთხოვნის საშუალოვადიანი პროგნოზირება მრავალფაქტორული მოდელის გამოყენებით // საქართველოს ეკონომიკა. 2009 წ. №9.
- სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტრონიკი”-ს 2008-2012 წლის ანგარიში. www.gse.com.ge
6. კიკაბიძე, დ. ჯაფარიძე. საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე შესახები ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფის პროგნოზება // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, 1(487), 19-27 [http://gtu.ge/publishinghouse/shromebi/N1\(487\).pdf](http://gtu.ge/publishinghouse/shromebi/N1(487).pdf)
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარგენირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №8 2011 წლის 8 ივნისი ქ. ჭათაში ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ http://gnerc.org/uploads/wylis_metodologija.pdf
6. კიკაბიძე, დ. ჯაფარიძე. გრძელვადიანი პერიოდისათვის ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის ოპტიმალური დაგეგმვა.
7. Соломкин А.В. Краткосрочное прогнозирование потребления электроэнергии с помощью нейросетевых методов // Электроника и информационные технологии, 2011.
8. <http://uktgh.ru/2013-03-18-05-32-05> Долгосрочные тарифы привлекут инвестиции в сферу ЖКХ.
9. Непомнящий В.А. Методика формирования тарифа на передачу электроэнергии и определения эффективности инвестиций в развитии электрических сетей <http://uktgh.ru>
10. Прогнозирование и планирование экономики / Под общей редакцией Г.А. Кондауровой, В.И. Борисевича. Минск: Современная школа, 2005.
11. A new methodology for forecasting long term electricity demand for the republic of Ireland (2002). Independent Electricity Transmission System Operator. Generation Capacity Planning
12. Hippert HS, Pedreira CE, Souza RC. Neural networks for short-term load forecasting: a review and evaluation, IEEE Transactions on Power Systems 2001; 16: 44-55.
13. Rui, Y. & El-Keib, A.A. (2004). A review of ANN-based short-term load forecasting models, mimeo, Department of Electrical Engineering, University of Alabama.
14. Zhang, G., Patuwo, B.E. & Hu, M.Y. (1998). Forecasting with artificial neural networks: The state of the art. International Journal of Forecasting, 14, 35-62.
15. International Jurnal of artifical Intelligence and Expert Systems (IJAE) #4 2013year - Performance Analysis of Various Activation Functions in Generalizes MLP Architectures of Neural Network.

UDC 654.03

OPTIMUM PLANNING OF MAXIMUM TARIFF OF THE ELECTRIC POWER TRANSMISSIONS FOR LANG-TERM PERIOD**D. Japaridze, N. Kikabidze**

Department of electroenergetics and electromechanics, Georgian Technical University, 75, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: On the basis of analysis of the well-known methods of forecasting there is established the economic-mathematical model of hybrid multy-factor and neural Networks. In accordance with this model there has been developed method of maximum planning of electric power transmission tariff of forecasting dynamics. With this methods in 2007-2012 years technical-economical indicators, relevant statistical data, extracted from existing reports are carried out according to the program transmission tariff volatility forecast for the five-years period. The analysis showed, that the program of Regulatory Commission of transmission tariff is set improperly. In fact, the real tariff is likely to be more, than twice the current rate. There is shown, that the tariff increase will cause decrease of electricity tariffs.

Key words: economic-mathematical model of forecasting; real tariff; maximum tariff.

УДК 654.03

ОПТИМАЛЬНОЕ ПЛАНИРОВАНИЕ ПРЕДЕЛЬНОГО ТАРИФА ПЕРЕДАЧИ ЭЛЕКТРОЭНЕРГИИ НА ДОЛГОСРОЧНЫЙ ПЕРИОД**Джапаридзе Д.А., Кикабидзе Н.Г.**

Департамент электроэнергетики и электромеханики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75

Резюме: На основе анализа известных методов прогнозирования сформулирована гибридная многофакторная экономико-математическая модель прогнозирования нейроновых сетей. В соответствии с этой моделью разработана методика оптимального планирования тарифа на передачу электроэнергии. По этой методике по статистическим данным, полученным из отчетов о работе энергосистемы Грузии в 2007-2012 годы, определены плановые показатели предельного тарифа на передачу электроэнергии на пятилетний период. Анализ полученных результатов показал, что тариф на передачу электроэнергии национальной регулирующей организацией установлен неправильно. Реальный тариф в два раза и больше должен превышать ныне действующий. Показано, что указанный тариф безболезненно можно повысить за счет уменьшения тарифа на распределение электроэнергии.

Ключевые слова: прогнозирование; планирование; тариф; оптимизация; экономико-математическая модель.

დოკუმენტის დახადვა 11.12.13

უაგ 621.1

სითბო-სიცივით მომარაგების ენერგოდამზოგი კომპლექსში სისტემების
ბამოზენების თანამედროვე მდგრადარეობა და პერსპექტივები საქართველოში
ჭ. ქოტორაშვილი*, ო. გეზირიშვილი, გ. არაბიძე**, ქ. გეზირიშვილი-ნოზაძე***
თბილი და პიდროენერგეტიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,
0175, თბილისი, გ. კოსტავას 75

E-mail: Helen.kotorashvili@gmail.com, giagiorgi@htmail.com, tengonozadze@hotmail.com

რეზიუმე: მოცემულია, თბილისიცივით მომარაგების ენერგოდამზოგი კომპლექსში სისტემებისათვის, თეორიული და საინჟინრო კვლევის შედეგები. მოყვანილია განზოგადებული მახასიათებლები აღნიშნული სისტემის პროექტირებისათვის. შემოთვაზებულია კრიტერიუმები პერსპექტივული ობიექტებში სითბო-სიცივით მომარაგების კომპლექსში სისტემების დასანერგად, რომელიც უზრუნველყოფს ენერგორესურსების ეკონომიას და ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: თბილი ტუმბო; სამაცივრო მანქანა; თბომწარმოებლურობა; სითბო-სიცივით მომარაგება; ტრანსფორმაციის კოეფიციენტი; თბილი ენერგიის თვითდირებულება.

1. შესავალი

ენერგოეკოლოგიური ეფექტურობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოს ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში სითბო-სიცივით მომარაგების ენერგოდამზოგი სისტემების გამოყენების პერსპექტივების მეცნიერული დასაბუთება, მათი პრინციპული და ტექნოლოგიური გადაწყვეტილების დამუშავება უდავოდ ძალის აქტუალურია. მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გაანგარიშების ძირითადი მიმართულებებისა და ენერგეტიკის განვითარების შემცირების შემცირებისას. მიღებული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგები, აგრეთვე დამუშავებული სინჟინრო მეთოდიკები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სითბო-სიცივით მომარაგების სისტემების საინვესტიციო პროექტების მომზადებისას, ქვეყნის სხვადასხვა დარგში, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი მომსახურების სფეროებში.

აგრეთვე სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის აფინომიურობის ხარისხის ამაღლებას.

მსოფლიო ბაზარზე სათბობზე ფასების განვითარებული ზრდა, აგრეთვე სათბობისა და ელექტროენერგიის პოლიტიკურად არასტაბილური რეგიონებიდან იმპორტი და ქვეყანაში ეკოლოგიური სიტუაციის კატასტროფული მდგრამარეობა (მაგალითად, სათბობად გამოყენებული დიდი რაოდენობით განეხილი ტყეები და სხვ.) სულ უფრო აქტუალურს ხდის არსებული, ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების აუცილებლობას, რაც საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ჩვენი ქვეყნის სამქედლო ენერგოუზრუნველყოფის მდგრადი განვითარებისა და აქედან გამომდინარე, ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების მიზნით აუცილებელია, რომ ენერგეტიკის განვითარების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამების შედგენისას, გათვალისწინებულ იქნეს არატრადიციული განახლებადი ენერგორესურსების ბაზაზე ენერგომომარაგების, კერძოდ კი სითბო-სიცივით მომარაგების თანამედროვე ენერგოდამზოგი და ეკოლოგიურად სუფთა სისტემების გამოყენების შესაძლებლობებიც.

სხვადასხვა ობიექტის სითბო-სიცივით მომარაგების ერთ-ერთი ასეთი ტექნოლოგიური გადაწყვეტა არის თბილი ტუმბოს დანადგარების ფართოდ გამოყენება ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი მომსახურების სფეროებში.

კონკრეტული ეფექტურობა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის თანამდებობად განვითარების ბაზაზე შექმნილი სითბო-სიცივით მომარაგების ენერგოდამზოგი ეფექტური სისტემების ფართოდ გამოყენების გათვალისწინებას, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს ქვეყნის საქუთარი, განახლებადი ენერგორესურსების მაქსიმალურ ათვისებას და მათ რაციონალურ მოხმარებას.

გაანალიზებულია საქართველოში თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენების თანამედროვე დონე და უახლესი სამომავლო პერსპექტივები.

2. ძირითადი ნაწილი

თბური ტუმბოს დანადგარების ბაზაზე სითბო-სიცივით მომარაგების ენერგოდამზოგი სისტემების გამოყენების პირობების სისტემური ანალიზი ითვალისწინებს: რეგიონის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს; შენობების თბური რეჟიმების ფორმირების თავისებურებებს; რეგიონის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სტრუქტურულ თავისებურებებს და მისი განვითარების პერსპექტივებს; ეკონომიკის სპეციალიზაციის ტენდენციებს; გარემოს დაცვისადმი წაუქნებულ მოთხოვნებს; სითბო-სიცივით მომარაგების კომპლექსური სისტემების შემადგენელი ცალკეული დანადგარების ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს, რაც შეუწყობს ხელს საქართველოში თბური ტუმბოების ბაზაზე მოქმედი სითბო-სიცივით მომარაგების კომპლექსური ენერგოდამზოგი სისტემების ფართოდ დანერგვას სამრეწველო და საზოგადოებრივი დანერგვების ობიექტებისათვის.

პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტის საფუძვლზე დამუშავებულია სითბო-სიცივით მომარაგების ენერგოდამზოგი სისტემების თეორიული კვლევების მეთოდები სხვადასხვა ტიპის სამაცივრო დანადგარების თბური ტუმბოს რეჟიმებში მუშაობის პირობებში, რომელიც სითბო-სიცივით მომარაგების ახალი კომპლექსური სისტემების ოპტიმიზაციის საფუძველია.

მრავალი საწარმოს მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთდროულად მოიხმარს როგორც თბურ ენერგიას, ასევე სიცივეს. ამ შემთხვევაში თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია, ვინაიდან იგი ერთდროულად გამოიმუშავებს როგორც სითბოს, ასევე სიცივეს. აქედან გამომდინარე, მეტად ეფექტურია თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენება აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებში, სხვადასხვა სახის სოფლის მეურნეობის ფერმერულ მეურნეობებში. ასეთი საწარმოებებია: მეფრინგელეობის ფაბრიკები, ჩაის ფაბრიკები, სათევზე მეურნეობები, ხორცისა და რძის გადამამუშავებელი კომბინატები, საკონსერვო ქარხები, თამბაქოს წარმოება, სასაობური მეურნეობები, ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოები და სხვა. ამ ტიპის საწარმოებში ერთდროულად მიმდინარეობს კვების

პროდუქტების მიღება, თერმული გადამუშავება და სამაცივრო კამერებში მათი შენახვა.

ნაშრომში დამუშავებულია კვების მრეწველობის ობიექტისათვის კასკადური ტიპის თბური ტუმბოს სითბო-სიცივით მომარაგების კომპლექსური ენერგოდამზოგი სისტემა რძის გადამამუშავებელი ქარხნის მაგალითზე. ასეთი ტიპის საწარმოებში თბური პროცესების განხორციელების მიზნით, ორგანული სათბობის დაწვის შედეგად მიღებული თბური ენერგიის ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენების შემდეგ, ამ ენერგიის 36-41%, ნარჩენი სითბოს სახით, წვის პროდუქტებთან ერთდ გამოიტყორცნება გარემოში. თბური ტუმბოების გამოყენების შედეგად, მოცემულ საწარმოში მთლიანად შეწყდება ორგანული სათბობის დაწვა და გამოირიცხება გარემოს გაჭუჭყიანება. ამასთან, რძის გადამამუშავებელ ქარხნებში თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენების შედეგად მიიღწვება დიდი რაოდენობით მტბნარი წყლის ეკონომია. გარდა ამისა, სითბოსა და სიცივის ერთდროულად მოხმარებას ის უპირატესობა აქვს, რომ სამაცივრო ციკლის შეუქცევადი დანაკარგები თბური ტუმბოში გამოიყენება მომხმარებლის მიერ, რითაც იზრდება სითბო-სიცივით მომარაგების სისტემის საერთო ენერგეტიკული მაჩვენებლები. სითბოსა და სიცივის ერთდროულად გამომუშავებას კიდევ ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ ამ შემთხვევაში გამოიყენება ერთი და იგივე სამაცივრო დანადგარები, რაც ტექნოლოგიურ ეკონომიკური და საექსპლუატაციო თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

1-ელ ნახ-ზე მოცემულია დღე-დამეში 15 ტონა წარმადობის მქონე რძის გადამამუშავებელი ქარხნისათვის დამუშავებული კასკადური ტიპის თბური ტუმბოს დანადგარის პრინციპული სქემა. ქვედა კასკადში გამოყენებულია სამაცივრო რეჟიმში ამიაგზე მომუშავე M-100 ტიპის სამაცივრო მანქანა - 1. ზედა კასკადში გამოყენებულია თბური ტუმბოს რეჟიმში ფრეონ R 142-ზე მომუშავე XMФҮУ-80/2 ტიპის სამაცივრო მანქანა - 11. თბური ტუმბოს დანადგარში დაბალპოტენციურ სითბოს წყაროდ გამოყენებულია სამაცივრო დანადგარის კონდენსატორში - 3 ცირკულირებული წყალი. სიცივე, რომელიც მიიღება კასკადში, ისარჯება რძის საპასტერიზაციო გამაცივებელ დანადგარში ($4\div 5^{\circ}\text{C}$) და მზა პროდუქციის ცივად შესანახ მაცივარ-კამერაში ($-5\div 0^{\circ}\text{C}$). ზედა კასკადში თბური ტუმბოს დანად-

გარის საშუალებით მიღებული $80 \div 90^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის მქონე ცხელი წყალი გამოიყენება რის პასტერიზაციისათვის ($75 \div 85^{\circ}\text{C}$), ცხელი წყალმომარაგებისათვის და ადმინისტრაციული შენობის გათბობისათვის.

განხილული კასკადური ტიპის სითბო-სიცივით მომარაგების სისტემის თერმოდინამიკური ანალიზით და თეორიული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების გზით მიღებულია ფრენის დუღილის


წნევის - P_0 , კონდენსაციის ტემპერატურის - t_0 და კონდენსაციის კუთრი სითბოს - q_0 საანგარიშო ემპირიული ფორმულები:

$$P_0 = 3,15 + 0,102 t_0 + 1,2 \cdot 10^{-3} \cdot t_0^2 + 7,58 \cdot 10^{-6} \cdot t_0^3, \text{ კგ/ნმ}^2, \quad (1)$$

$$t_0 = -33,742 + 27,456 \cdot \ln P_0 + 1,106 \cdot P_0, {}^0\text{C}, \quad (2)$$

$$q_0 = 158,46054 - 0,7668 \cdot t_0, \text{ კკ/გგ}, \quad (3)$$

სადაც, t_0 არის ფრენის დუღილის ტემპერატურა, P_0 - ფრენის კონდენსაციის წნევა.



ნახ. 1. კასკადური ტიპის თბური ტემპოს სითბო-სიცივით მომარაგების კომპლექსური სისტემის პრინციპული სქემა

ფართო დანერგვა, სადაც საჭიროა ერთდროულად სითბოს და სიცივის მომარაგება, გათვალისწინებულია შემდეგი მიმართულებით:

-აგრარულ-სამრეწველო ტექნოლოგიურ პროცესებში (მათ შორის) პირველ რიგში რძის და ხორცობინატებში, საკონსერვო ქარხნებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, სასათბურე მეურნეობებში, ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელ საწარმოებში, ჩაის ფაბრიკებში და სხვ.)

-საზოგადოებრივი დანიშნულებისა და კულტურულ-გასართობ შენობა-ნაგებობებში (მათ შორის გადამამუშავებელ რიგში რიგში საკურორტო-გამაჯანსაღებელ კომპლექსებში, სადაც აკრძალულია ორგანული სათბობის გამოყენება ზამთრობით გათბობის მიზნით, ხოლო ზაფხულობით აუცილებელია მაცივარ-მანქანების გამოყენება პაერის კონდიციონირებისათვის შავი ზღვისპირა კურორტებში და ა.შ.) [1-2].

სითბო-სიცივით მომარაგების სისტემის დასაპროექტებლად საჭიროა ვიცოდეთ მათი ტექნიკური ძირითადი მახასიათებლების ($\varphi_i, \lambda, \eta_i$) დამოკიდებულება მათი დანადგარების მუშაობის რე-


სითბო-სიცივით მომარაგების სისტემის დასაპროექტებლად საჭიროა ვიცოდეთ მათი ტექნიკური ძირითადი მახასიათებლების ($\varphi_i, \lambda, \eta_i$) დამოკიდებულება მათი დანადგარების მუშაობის რე-

ჟიმზე, ჩვენ მიერ პირველად შეფასებულია თბური ტუმბოს დანადგარის ტრანსფორმაციის რეალური კოეფიციენტის ფრაქციანგარიშებით ფორმულის ფუნქციური დამოკიდებულება $\tau_3 / c_p(T_3 - T_0)$, რაც შეიცავს ქლაუზიურის კრიტერიუმს, რომელიც ახასიათებს ფრეონების თვისებებს.

ზემოთქმულიდან დაკავშირებით მიღებულია ფორმულა სხვადასხვა ფრეონისათვის [1]



$$\varphi_6 = 2.48 (\tau_3 / c_p(T_3 - T_0))^{0.42}. \quad (4)$$

ეს ფორმულა წარმატებულად გამოიყენება „რეკომენდაციები სითბო-სიცივით მომარაგების ენერგოდამზოგი სისტემების დასამუშავებლად“, რომელიც უკვე წარმატებით გამოიყენება საპროექტო ორგანიზაციების მიერ [1, 3]. მე-2 ნახევ მოყვანილია განზოგადებული დამოკიდებულება რეალური ტრანსფორმაციის კოეფიციენტის სხვადასხვა ფრეონისათვის.



ნახ. 2. რეალური სატრანსფორმაციო კოეფიციენტის φ_6 განზოგადებული დამოკიდებულება ფრეონებისათვის, თბური ტუმბოს მუშაობის სხვადასხვა რეჟიმის დროს:
0 - R12; ● - ნარევი R12 და R142; X - R142

განზოგადებული მოცულობითი λ და ენერგეტიკული η_i მახასიათებლები სხვადასხვა ფრეონისათვის მოყვანილია მე-3 ნახ-ზე.



ნახ. 3. განზოგადებული მოცულობითი λ (ა) და ენერგეტიკული η_i (ბ) მახასიათებლები სხვადასხვა ფრეონებისათვის
1 - R12, 2 - ნარევი R12 და R142, 3 - R142

3. დასტანა

ნაშრომში მოცემულია ფრეონის დუდილის წევის - P_0 , კონდენსაციის ტემპერატურის - t_3 და კონდენსაციის კუთრი სითბოს - a_3 საანგარიშო ემპირიული ფორმულები. დაღენილია თბური ტუმბოს მუშაობის სხვადასხვა რეალური ტრანსფორმაციის კოეფიციენტის, განზოგადებული მოცულობითი და ენერგეტიკული მახასიათებლების მნიშვნელობები. ყველა ეს მახასიათებელი წარმატებით გამოიყენება სითბოსიცივით კომპლექსური ენერგოდამზოგი სისტემების პროექტირების და მშენებლობის განხორციელებისას, პერსპექტიული ობიექტების ტენიდებურ-ეკონომიკური შეფასების და შესაბამისი სითბო-სიცივით მომარაგების კომპლექსური ენერგოდამზოგი სისტემების ოპტიმალურ შერჩევა-დაგეგმარებისას.

ლიტერატურა

1. ვეზირშვილი კ.ო. რეკომენდაციები სატრანსფორმაციო კონსტრუქციების მშენებლობისა და მომარაგების სამუშაოებისათვის // ტრუდი ისუან გрузია, 2003, №7.
2. ქ. კოტორაშვილი, ო. ვეზირიშვილი. ენერგოდამზოგი თბოსიცივით მომარაგების სისტემების ენერგოეკოლოგიური ეფექტიანობის გამოკვლევა // ენერგია, №1 (61), 2012.
3. ქ. კოტორაშვილი, ქ. ვეზირიშვილი. ენერგიის განვითარებადი რესურსები საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის // ინტელექტუალი, №21, 2012.

UDC 621.1**PRESENT SITUATION AND PERSPECTIVES OF APPLYING OF THE COMPLEX ENERGY EFFICIENT
HEAT-COLD PROVISION SYSTEMS IN GEORGIA****E. Kotorashvili, O. Vezirishvili, G. Arabidze, K. Vezirishvili-Nozadze**

Department of heat and hydroenergetics, Georgian Technical University, 75, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There are given the results of theoretical and technical-economic investigations of the complex heat-cold energy efficient provision systems working on the basis of the heat pumping plants.

There are offered characteristics for the development and design of heat pumping systems of heat-and cold provision, which, allow economizing energy resource and improvement of ecological condition in Georgia.

Key words: heat pump; refrigerating engine; heat productivity; heat-cold provision; coefficient of transformation; cost price of heat energy.

УДК 621.1**СОСТОЯНИЕ И ПЕРСПЕКТИВЫ ПРИМЕНЕНИЯ ТЕПЛОХЛАДОСНАБЖАЮЩИХ СИСТЕМ
В ГРУЗИИ****Которашвили Э.А., Везиришвили О.Ш., Арабидзе Г.О., Везиришвили-Нозадзе К.О.**

Департамент тепло- и гидроэнергетики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 75

Резюме: В статье приводятся результаты теоретических и технико-экономических исследований систем комплексного энергосберегающего теплохладоснабжения, тающих на базе теплонасосных установок. Приводятся обобщенные характеристики для разработки и проектирования систем теплонасосного теплохладоснабжения. В различных отраслях намечены первоочередные перспективные объекты внедрения систем комплексного теплохладоснабжения, позволяющие экономить энергоресурсы и улучшить экологическую ситуацию в Грузии.

Ключевые слова: тепловой насос; холодильная машина; теплопроизводительность; снабжение теплохолодом; коэффициент трансформации; себестоимость тепловой энергии.

დოკუმენტის დახაბუჭება 04.12.13

სამთო-გეოლოგიის სექცია

შაპ 551.49:553.7

გეოლოგიური ბარემო და მისი დაცვა

ჯ. ტატიშვილი, მ. ლაპაიაშვილი*

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,
0175, თბილისი, გ. კოსტავას 77

E-mail: m.lapiashvili@gtu.ge

რეზიუმე: განხილულია გეოლოგიური გარემოს თვისებები და იქ მიმდინარე პროცესები, გამოწვეული როგორც ბუნებრივი, ისე ტექნოგენური ზემოქმედებით. ეს ზემოქმედება ზოგჯერ ბუნებრივი კატასტროფების ტოლფასია, რაც შეიძლება თავიდან ავიცილოთ ან შესაძლო ზარალი მინიმუმამდე დავიყვანოთ უწყვეტი მონიტორინგით.

საკვანძო სიტყვები: გეოლოგიური გარემო; პიდროლითოსფერო; რისკ-ფაქტორი; ტექნოგენური ფაქტორი; მონიტორინგი.

1. შესავალი

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი დიდი სიკეთის მომტანია, მაგრამ შესაძლო ნებატიური შედეგების გაუთვალისწინებლობამ შეიძლება გლობალურ კატასტროფამდე მიგვიყვანოს. ასეთი კატასტროფების თავიდან აცილება, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ზარალის მინიმუმამდე დაყვანა არის თანამედროვე გეოლოგიის და მისი ერთ-ერთი დარგის – გეოეკოლოგიის მთავარი ამოცანა.

2. ძირითადი ნაწილი

ჩვენი პლანეტის შესწავლა ხდება სხვადასხვა კუთხით და სწორედ ამიტომ შეიქმნა და განვითარდა დედამიწის შემსწავლელი მრავალი დარგი, რომელთაც შექმატა ახალი მიმართულება გეოეკოლოგია. მისი შესწავლის ობიექტია მიწის ქერქი (უფრო ზუსტად აბისტიკური ნივთიერება გეოსფეროების ფარგლებში, როგორც ბიოსფეროს მინერალური საფუძველი), მაგრამ ვინაიდან ეს ხდება ეკოლოგიური თვალსაზრისით, მას შესაბამისი სახელწოდება შეურჩის – “გეოლოგიური გარემო” – სივრცე ლითოსფეროს, პიდროსფეროს, ატმოსფეროს და ბიოსფეროს კონტაქტის ზოლში,

სადაც მიმდინარე რთულ ბუნებრივ პროცესებს შექმატა არანაკლებ რთული და ზოგჯერ დამანაგრეველი ტექნოგენური პროცესები. აღნიშნული ზოლი მდებარეობს ლითოსფეროს ჭრილის ზედა ნაწილში, რის გამოც კ. შესტაკოვის მიერ შემოღებული ტერმინი – “პიდროლითოსფერო” შეესაბამება არა მარტო მის ადგილს, არამედ, იქ მიმდინარე პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია მიწისქვეშა წყლებთან. პიდროლითოსფეროში მიმდინარე ტექნოგენური პროცესები შეიძლება იყოს ტექნოგენურ-პიდროლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, გეოკრიოლოგიური, პიდროგეოქიმიური და ბიოპიდროგეოლოგიური. ამ პროცესების შედეგება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნებატიური და ამიტომაც, აუცილებელია სისტემური დაკვირვება მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ზარალის მინიმუმამდე დასაჭვანად, გეოეკოლოგიის უმთავრესი ამოცანაა გეოდინამიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რასაც დიდად შეუწყობს ხელს ეკოლოგიურად საშიში პროექტების აკრძალვა, ხოლო თუ ასეთი პროექტები ხორციელდება – მათი სასწრავოდ შენერება. გასულ საუკუნეში, უფრო ზუსტად საბჭოთა ეპოქაში ნებისმიერ პროექტს წინ უსწრებდა ტექნიკურ-ეკონომიკური მოხსენება ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა პროექტირება. თანამედროვე გამოწვევის გამო, ყოველივე ამას წინ უნდა უსწრებდეს ყოვლისმომცველი ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომელშიც სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს გეოეკოლოგიურ ექსპერტიზას. აღნიშნულ დავალებას ყველაზე უკეთ თავს გაართმევს პიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური სპეციალობისა და სათანადო გამოცდილების მქონე ექსპერტი. მათი მომზადება შეიძლება სტუმაბისტრო და სადოქტორო პროგრამით.


გეოლოგიური გარემოს ანუ პიდროლითოსფეროს თავისებურებების: I – მაღალი ინერციულობა გარე ფაქტორების ზემოქმედების მიმართ, ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევის უნარი საკუთარი მდგომარეობისა და სტრუქტურის შეუცვლელად. II – პოლიქრონულობა – კომპონენტების დინამიკის განსხვავებული მასშტაბურობა დროში ქანების კომპონენტა, რომელიც ფორმირდება ასეული ათასი მილიონი წლის განმავლობაში და იმყოფება სტატიკურ წონასწორობაში გარემოსთან, ხოლო თუ ცვლილებები მაინც ხდება, მაშინ ზოგიერთი გეოლოგიური ამოცანის გადასაწყვეტად შეიძლება მათი უგულებელყოფა. გეოლოგიური პროცესების მიმდინარეობა დროში ჯ. ფორტესკიუს მიხედვით შეიძლება იყოს: ტექნოგენური, თუ ის გრძელდება 200 წელზე ნაკლებ დროში, ეკოლოგიური – 500 წელზე, პედოლოგიური – 5000 წელს და გეოლოგიური – 10 000 წელზე მეტს. III – ფლუქტურაცია – სხვადასხვა ორიენტაციის ან ციკლურობის ბიოგენოცენოზის ცვლილებები, რომელიც საბოლოოდ უბრუნდება საწყისთან ასლო მყოფ სიტუაციას. IV – სუქცესია – ერთი ბიოგეოცენოზის თანამიმდევრული ჩანაცვლება მეორეთი. ეკოგეოლოგიური (გეოეკოლოგიური) ციკლი განმეორებადი პროცესების სინქრონიზებული კომპლექსი.

გეოლოგიური გარემოს რღვევის ტექნოგენური მიზეზები. 1) გეოლოგიური გარემოსა და მისი კომპონენტების რღვევის პირდაპირი მიზეზებია შახტების და კარიერების მშენებლობა, მიწისქვეშა წყლების წყალიამდებების ქქსპლუატაცია, მაღლივი კაშხლების მშენებლობა და სხვ. 2) არაპირდაპირი მიზეზებია მომიჯნავე გარემოთა დარღვევებთან დაკავშირებული არაპირდაპირი დარღვევები (მცენარეულობის მოსპობა იწვევს ერზიას, ფერდობების მდგრადობის გაუარესებას). 3) სუქცესიური პროცესები, რომელიც შეიძლება იყოს გლობალური, რეგიონული და ლოკალური. გლობალურ ცვლილებებს იწვევს ჰელიოკოსმოსური ან ზოგადპლანეტარული ტექნოგენური ფაქტორები. რეგიონულს – დიდ ფართობზე გავრცელებული ტექნოგენური მიზეზები, ხოლო ლოკალურს – კონკრეტული ტექნოგენური ობიექტები.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ტექნოგენური პროცესები, რომელთა ზემოქმედება აჩქარებს ახალი გეოლოგიური სხეულების წარმოქმნას. ე. ი. თუ ახალი გეოლოგიური სხეულების წარმოქმნას ბუნებრივ პირობებში სჭირდებოდა ათასეული წლები, ტექნოგენური ფაქტორის ზემოქმედება ამცირებს ამ დროს რამდენიმე ათეულ წლამდე. რაც უფრო მასშტაბურია ტექნოგენური ზემოქმედება, მით უფრო მეტია საშიში მოკლენების

განვითარების ალბათობა. გეოლოგიური გარემო არის მინერალური ნედლეულისა და ენერგეტიკული რესურსების წყარო, თვითონ არის სივრცობრივ-მატერიალური რესურსი ე. ი. სივრცე ადამიანთა არსებობისთვის აუცილებელი ობიექტების განთავსებისათვის (საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, აგრარული, სატრანსპორტო-რეკრეაციული, თავდაცვითი და სხვა ობიექტებისთვის). ამიტომ, გეოეკოლოგიას სამართლიანად უწოდებენ მეცნიერებას რაციონალური წიაღსარებლობის შესახებ. ხოლო იმისთვის, რომ წიაღს ნაკლები ზიანი მივაკენოთ, აუცილებელია რისკუაქტორების გამოვლენა, მათი შესწავლა სისტემატური დაკვირვებებით და შესაძლო ნებატიური მოვლენების პროგნოზირებით. ამ მიზანს ემსახურება რისკის ანალიზის საერთაშორისო ორგანიზაცია – "Society for Risk Analysis", რომელიც ფუნქციონირებს 1980 წლიდან და უერნალები "Risk Analysis", "Risk Research". რისკუაქტორები გენეზისის და გავრცელების მიხედვით შეიძლება იყოს ჰელიოკოსმოსური, რეგიონული და ლოკალური, რომლებსაც ემატება ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ტექნოგენური რისკუაქტორები (უშადო დაკვირვებისთვის ხელმისაწვდომია ხმელეთზე 12. 5 კმ კოლის ზედრმა ჭაბურდილი და ოკეანის ფსკერის ქვეშ 6 კმ).

ჰელიოკოსმოსური ფაქტორები დაკავშირებულია მზის ენერგიის გადატანასთან ეპატორიდან პოლუსებისკენ, რომელიც ხორციელდება ატმოსფერული ქარების გლობალური სისტემით და საოკეანო დინებებით. ენერგიის გადატანა ხდება 3 ფორმით – ერთი საოკეანო და 2 ატმოსფერული გზით. ოკეანებში ეს თბილი დინებებია, რომელთაც გადააქვთ სითბო მხოლოდ ზედაპირზე (ციფი დინებები არსებობს როგორც ზედაპირზე ისე ფსკერთან) ეკვატორიდან პოლუსებისკენ.



სითბოს სიჭარე 40° განედიდან ეკვატორამდე და მისი დანაკარგები 40° განედიან პოლუსებამდე, გამოწვეული სითბოს შერიცონალური გადატანით ატმოსფეროსა და ოკეანების მიერ დაბალი განედებიდან მაღალი განედებისკენ (ფორმბიოგის მიხედვით)

ატმოსფეროში კი ხდება როგორც ფარული სითბოს გადატანა წყლის ორთქლის სახით, ისე აქტიური სითბოს გადატანა ჰაერის თბილი მასების სახით. წყლის ორთქლის კონდენსაციით და წვიმის წარმოქმნით გამოთავს უფლებული ენერგია დაახლოებით 540 კალ. შეადგენს სითბოს 1 გ წყალზე. სწორედ ამ ენერგიის არათანაბარი გადაადგილება სივრცესა და დროში იწვევს ისეთი მოვლენების განვითარებას, როგორიცაა გრიგალი, ქარბორბალა, წყალდიდობა, სელი, ზვავი და მეწყერიც კი. რეგიონული რისკფაქტორები კრიელდება გარკვეულ ტერიტორიაზე, ხოლო ლოკალური რისკფაქტორები ცალკეული ტექნოგუნური ობიექტების ფარგლებში. აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობა იწვევს გარემოს დესტრუქციას, რომლის შესახერებლად აუცილებელია პრობლემათა ორი ჯგუფის მოგვარება. პირველი ჯგუფი: საერთაშორისო ურთიერთობათა სტაბილიზაცია, გამალებული შეიარაღების შეწვება, საერთაშორისო ეკონომიკური კაგშირების გარდაქმნა. მეორე ჯგუფი: ადამიანისა და გარემოს ურთიერთობათა ოპტიმიზაცია, კაცობრიობის მზარდ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფა ნედლეულითა და სურსათით დემოგრაფიული ავეთქების პირობებში, ადვილად ხელმისაწვდომი ნედლეულის რესურსების შეზღუდული რაოდენობა, ადამიანის გარემოზე ზემოქმედების გააქტიურება. ნეგატიური შედეგების მომტანია ისიც, რომ მიწის ქერქი ხდება ადამიანის საარსებო გარემო (წიაღი, როგორც სივრცობრივ-მატერიალური რესურსი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციით), რომლის ექსპლუატაცია ხშირად გაუთვალისწინებელი შედეგების მომტანია, მაშინ, როდესაც მისი რაციონალური გამოყენება და დაცვა განუხრელი ეკონომიკური აღმავლობის საწინაარი. ამიტომ, აუცილებელია: ტექნოგენურ-ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროგეოქიმიური და ბიო-ჰიდროგეოლოგიური რისკფაქტორების უწყვეტი მონიტორინგი ანუ სამეცნიერო კონტროლს დაქვემდებარებული სისტემური რეკიმული დაკვირვებები სახელმწიფო სადაკვირვებო ქსელით.

ამასთანავე, მიზანშეწონილია სტუ-ს სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ცენტრი, რომელიც მოაზრდებს კალიფიცირებულ ექსპერტობების (სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით). გარდა ამისა, ცენტრმა უნდა შეიმუშაოს ლონისძიებები, რათა საქართველოში დაპროექტებული ობიექტები შესაბამებოდეს საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს. ეს წინადადებები უნდა მივაწოდოთ პარლამენტის სათანადო კომიტეტს განსახილებულ და შესაბამისი ნორმატიული აქტების მისაღებად, იმისათვის, რომ წყალს არ გავატანოთ საქართველო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

3. დასკვნა

თანამედროვე მეცნიერების მთავარი ამოცანაა სიცოცხლის უზრუნველყოფი და პროდუქტიული გარემოს შენარჩუნება, იმიტომ, რომ ჩვენი საარსებო გარემო და მისი შემადგენელი ნაწილი გეოლოგიური გარემო უმაღლესი ზოგად-საკაცობრიო ფასეულობაა, ხოლო მისი გამოყენება უნდა ხდებოდეს ისე, რომ მის სტაბილურობას საფრთხე არ შევქმნას. ამის მისაღწევად აუცილებელია ქვეყნის ტერიტორიის დარაიონება ბუნებრივი და ტექნოგენური რისკფაქტორების გავრცელების ობიექტების გამოყვით, რომლებზეც უნდა ტარდებოდეს უწყვეტი მონიტორინგი სათანადო ტექნიკით აღჭურვილი და კალიფიცირებული პერსონალით დაკომპლექტებული სადაკვირვებო ქსელით.

ლიტერატურა

1. Воробьев В.Н. О биосфераулучшающих геотехнологиях // ГЕОЭКОЛОГИЯ. М.: РАН, 2000 г.
2. Осипов В.И. Геоэкология: понятия, задачи, приоритеты, №1. 1997.
3. Шестаков В.М. Мониторинг подземных вод – принципы, методы // Геоэкология, №6, 1993 г.

UDC 551.49:553.7

GEOLOGICAL ENVIRONMENT AND ITS DEFENCE

J. Tatishvili, M. Lapiashvili

Department of applied geology, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There are considered the properties of geological environment and current processes, caused by both natural and man-caused impact. This impact is often equal to natural disasters. We can avoid it or minimize the possible damage by means of permanent monitoring.

Key words: geological environment; hydrolithosphere; technogenic factor; monitoring.

УДК 551.49:553.7

ГЕОЛОГИЧЕСКАЯ СРЕДА И ЕЁ ОХРАНА**Татишвили Д.Д., Лапиашвили М.Ш.**

Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: В статье описаны характерные свойства геологической среды и процессы, протекающие под влиянием как естественных, так и техногенных факторов. Иногда это чревато катастрофами, которых можно избежать, или, если это невозможно, довести до минимума количество жертв и убытков. Для этого на опасных участках следует организовать непрерывный мониторинг, осуществляемый квалифицированным персоналом под эгидой государства.

Ключевые слова: геологическая среда; гидролитосфера; техногенный фактор; мониторинг.

მიღებულია დასაბუქდად 23.11.13

უაკ 624.131.131

**დგარცოვიანი (სეჭური) მდ. თელავის ხევი და სეჭსაჭინააღმდებო
რეპრობენდაციები**

უ. ზვიადაძე*, მ. მარდაშვილი, ა. ქემოკლიძე, ც. კვერნაძე

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,
0175, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: u_zviadadze@gtu.ge

რეზიუმე: კახეთის რეგიონის ცენტრს, ქ. თელავის ჩამოუდის და გარცოფიანი მდინარე თელავის ხევი, რომლის ხეობაში მდლავრი და გარცოფის გავლა საქმაოდ ხშირად ხდება, რაც ქალაქის მეურნეობას მნიშვნელოვნად აზარალებს. ნაშრომში განხილულია და გარცოფის (სეჭის) და სხვა გეოდინამიკური პროცესების (ეროზია, მეწყერი, გამოფიტვა) წარმოქმნა-განვითარების საინიცირო-გეოლოგიური ფაქტორები და მათი ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია სეჭსაჭინააღმდებობის რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: მდ. თელავის ხევი; და გარცოფი; სეჭდამჭერი კონსტრუქცია; ეროზია, მეწყერი.

1. შესავალი

თელავის რაიონის ტერიტორია ალაზნის და ლიანის სინკლინური დეპრესიის ნაწილს და ციფრომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ზოლს მოიცავს. აქ წარმოდგენილი რელიეფის ტიპებიდან დამახასიათებელია ეგზოდინამიკური პროცესების შედეგად (მეწყერი, ეროზია, და გარცოფი და ა.შ.) წარმოქმნილი ფორმები. რაიონის როგორი მორფოლოგია ენდოგენური და ეგზოგენური პროცესების მშენდებლივ ურთიერთკავშირით არის განხილული. ციფრომბორის ქედი ანტიკლინური აგებულებისათვის რომლის ფერდობებზე ხეობები ასაკის ფხვიერი კონტინენტური ნალექები – ალაზნის და ციფრის წყებები არის განვითარებული, ხოლო ანტიკლინის თაღი გადარეცხილია და გაშიშვლებულია სუბსტრატი, რომელიც

ინტენსიურად დანაოჭებული პალეოგენური და ცარცული ნალექებით არის წარმოდგენილი. ქედის როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი ფერდობები აღაზნის სერიის (აღაგილ-აფშერონი) ფხვიერი წარმონაქმნებით არის აგებული, რის გამოც ხეობათა ფერდობები უკიდურესად არა-მდგრადია და ღვარცოფის და მეწყრების მრავალრიცხვან კერქებს მოიცავს. საკვლევი ტერიტორიის უწყვეტი გეოლოგიური ჭრილი ქვედა ცარცის აპტურ-ალბური სართულით იწყება და ციფ-გომბორის ქედის კალთებზე ფართოდ გავრცელებული მეოთხეული წარმონაქმნებით მთავრდება. მათ ქვეშ მიოცენ-პლიოცენის მძლავრი და ასეთივე ფხვიერი ნალექები უდევს. გენეტიკურად მეოთხეული ნალექები ალუვიური, ალუვიურ-პროლუვიური და დელუვიურ-ელუვიური ფაციესით არის წარმოდგენილი. ციფ-გომბორის ქედის მრავალრიცხვანი მეწყრული უბნები დელუვიურ შლეიფებთან არის დაკავშირებული, რომელთა წარეცხვა დასაბამს აძლევს ქვიან-ტალახიანი სელური ნაკადის ჩასახვა-განვითარებას.



სურ. 1. დელუვიონში განვითარებული ერთ-ერთი მეწყრული მონაკვეთი




სურ. 2. მდ. თელავისხევის ღვარცოფიანი განიერი კალაპოტი

კიდევ უფრო ფართო გავრცელებისაა პროლუვიური ნალექები ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ციფ-გომბორის ქედის კალთებზე განვითარებული მესამეული ასაკის თიხები, კონგლომერატები და ქვიშაქვები ადვილად ემორჩილება გამოფიტვას და წარეცხვას. პროლუვიურ ნალექებში სჭარბობს გადალექილი კენჭნარი, ღორღი, თიხნარი და თიხა, რომელთა დანაგროვების სიმძლავრე ხშირად 20 მეტრს აღემატება. ამ დანაგროვების გავრცელების უბნებზე ციფ-გომბორის ქედიდან ჩამომდინარე ჩვეულებრივ წყალმცირე მდინარეები, ძლიერი წვიმების და თოვლდნობის შედეგად მძლავრ ნაკადებად იქცევა, რომლებსაც მყარი მასალის უზარმაზარი მასა გადააქვს და გზადაგზა ლექავს.

2. ძირითადი ნაწილი

თელავის რაიონის ტერიტორიაზე მთავარი ღვარცოლული მდინარეებია თურდო, მაწარწარა, თელავის ხევი, მდვრიე ხევი და კისისხევი, რომელთა წელშემქრები აუზების ჯამური ფართობი 320 კმ²-ს შეადგენს. გარდა ზემოთ ნახსენები გეოლოგიური ფაქტორებისა, ამ მდინარეთა ხეობებში ღვარცოფის წარმოქმნას ხელს უწყობს არიდული კლიმატი, დღედამური ტემპერატურების მკვეთრი ცეალებადობით, პერიოდული, მაგრამ ძლიერი თავსხმა წვიმებით. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 700 – 800 მმ-ის ფარგლებშია, ამასთან, მეტი ნაწილი მაის-ივნისის თვეებზე მოდის.

წინამდებარე ნაშრომში აქცენტი მდ. თელავის ხევზე არის გადატანილი, რაღაც მდინარის შეუძლებელი უშუალოდ ქ. თელავის დასახლებულ ნაწილზე გადის და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქალაქის მოსახლეობას. ასე მაგალითად, 1977 წლის 14 ივნისს მდ. თელავის ხევზე გამავალმა ღვარცოფმა სახელმწიფო 30 მილიონი მანეთით დაზარალა. სტატიის ავტორთა მიერ შესრულებულ გეოლოგიურ-სარეკოგნოსცირებო სამუშაოების პროცესში განსაკუთრებული უკრადღება დაეთმო მდ. თელავის ხევის ხეობაში ღვარცოფის წარმოქმნის და ფორმირების კერების გამოვლენა-შესწავლას, დაწყებული ქ. თელავის სამხრეთ პერიფერიიდან (თელავის უნივერსიტეტის მახლობლად), დინების სათავეებისკენ, დაახლოებით 8 კმ-ის მანძილზე. საველე გეოლოგიური სამუშაოს პროცესში აღწერილია 18 დამახასიათებული წერტილი, რომლებიც დაფიქსირებულია GPS კორდინატებით და სათანადო ფოტომასალით.



სურ. 3. საველე დაკვირვების წერტილების
განაწილება ტოპოგრაფიულ რუკაზე

ქალაქის ფარგლებში და მის ზემოთაც გარკვეულ მანძილზე მდინარე ხელოგნურ ბეტონის კალაპოტში არის მოქცეული, მაგრამ სიძველის და მოუკლელობის გამო, ბეტონის ფილები დამსხვერებია, ხოლო კალაპოტი დანაგვაინებულია.



სურ. 4. ანტისანიტარია და ბეტონის
დეფორმატორებული კალაპოტი

გასული საუკუნის 70-იან წლებში განხორციელებულ სელსაწინააღმდეგო ღონისძიებებს შორის, უმთავრესი, რა თქმა უნდა, არის სახელმოვანი ინჟინრის ხერხეულიძის პროექტით აგებული, კონსტრუქციულად უნიკალური სელდამჭერი ნაგებობები (სამი ნაგებობა), რომლებიც მიუხედავად სიძველისა, ძირითად დანიშნულებას დღემდე ასრულებს.



სურ. 5. ხერხეულიძის კონსტრუქციის
სელდამჭერი ნაგებობა

ტყეულიად როდი უთქვამს ჩვენს ხალხს – “წყლის ძალა მოგცეს ღმერთმათ”. განსახილველ შემთხვევაშიც დვარცოფის დამანგრევები ძალა კალაპოტში უსისტემოდ ჩახერგილ ბეტონის უზარმაზარ ბლოკებში არის გამოხატული, რომლებიც აღრე ერთმანეთთან ფოლადის მსხვილი ბაგირებით იყო გადაბმული.



სურ. 6. მდინარის კალაპოტში მიმოფანტული ბეტონის მსხვილი ბლოკები

შესწავლამ გამოავლინა, რომ მდ. თელავის ხევის ხეობაში დინების აღმა მოწყობილ ქვედა სელდამჭერ კონსტრუქციასა და ქალაქის სამხრეთ კიდეს შორის (უნივერსიტეტის შენობა) ხეობის ფერდობი წარმოდგენილია მაღალი (30-40 მ) ვერტიკალური კედლების (კარნიზების) სა-

ხით, რომლებზეც მიოპლიოცენის ასაკის, ალაზნის ხერიის უკიდურესად არამდგრადი ფხვიერი წარმონაქმნები – უხეშნატეხოვანი კონგლომერატები, თიხები, თიხნარები, ქვიშნარი არის გაშიშვლებული.



სურ. 7. ალაზნის სერიის გაშიშვლებები ხეობის მარჯვენა ფერდობზე

ეს მონაკვეთი სელის წარმოქმნის რეალურ საფრთხეს შეიცავს. ფერდობზე ნათლად მოჩანს მოწყვეტის ვერტიკალური სიბრტყე და ფერდობის ძირში დაგროვილი ჩამოცურებული მასა, რომელზეც სიძველის გამო, ბუჩქნარი არის აღმოცენებული. ძლიერი დვარცოფის მოვარდის შემთხვევაში, ცხადია, ეს მასა ნაკადით წარიტაცება, ხოლო მოწყვეტის სიბრტყე ფერდობის შიგნით ღრმად შეიწევს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სელის დამჭერი კონსტრუქციების გავლის შემდეგ, ნაწილობრივ შემცირებული კინეტიკური ენერგიის ნაკადი, მაინც დაადაბლებს ეროზიის ბაზისს, რასაც ბაზისის თავზე განლაგებული არამდგრადი ქანების დიდი რაოდენობით ჩამოშლა-ჩამონგრევა მოჰყვება ანუ დვარცოფულ ნაკადს ქალაქის ტერიტორიაზე შესაღწევად პრაქტიკულად წინააღმდეგობა აღარ შეხვდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადიკალურ ღონისძიებად მივიჩნევთ არსე-

ბული სელდამჭერი კონსტრუქციების იდენტური კონსტრუქციის აგებას ქვედა სელდამჭერსა და ქალაქის სამხრეთ კიდეს შორის, ამ უკანასკნელთან მახლობლობაში. ტექნიკური და ფინანსური ფაქტორების გამო, თუ ეს ღონისძიება ძნელად განსახორციელებელია, მაშინ აუცილებელია ხევის ნაკადი იმგვარად დარეგულირდეს, რომ გადმოინაცვლოს მარჯვენა ფერდობის ძირიდან მარცხენა ფერდობისკენ, რომელიც განსახილველ მონაკვეთზე დამრეცია და სელის წარმოქმნის საშიშროებას პრაქტიკულად არ შეიცავს. დღევანდელი მდგომარეობით, ხევის კალაპოტში არსებული გასწვრივი დამბა ისეთი მოხაზულობისაა, რომ ნაკადი უშეალოდ რეცხავს მარჯვენა არამდგრად ვერტიკალურ ფერდობს. ფერდობის სტაბილიზაციის მიზნით, საჭიროა ხელოვნური ურილის (დამბის) მარჯვენა ფერდობის გასწვრივ მოწყობა

და მირთადი ნაკადის მარცხენა ფერდობისკენ
მიმართვა.

3. დასკვნა

ლიტერატური და საფონდო მასალების,
ველზე მოძიებული ფაქტობრივი მონაცემების
ანალიზის საფუძველზე შეიძლება შევიტუშაოთ
კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გან-
ხორციელებამ გრძელვადიან პერსპექტივაში უ-
და უზრუნველყოს ქ. ოქლავის უსაფრთხოება
მდ. თელავის ხევის კალაპოტში მდლავრი ღვარ-
ცოფის გავლის შემთხვევაში.

- ბეტონის ძველი ხელოვნური კალაპოტის
მოლიან ხევის კალაპოტის და ნორმა-
ლურ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა;

- ხერხეულიძის კონსტრუქციის იდენტური
სელდამჭერის აგება ქვედა სელდამჭერსა და
ქალაქის სამხრეთ კიდეს შორის მონაკვეთზე;

- ხევის ნაკადის დარეგულირება არამდგრა-
დი მარჯვენა მაღალი ფერდობის გასწვრივ
დამცავი დამბის მოწყობის გზით.

ლიტერატურა

1. ცერეტი დ.დ. Отчёт по специализированным крупномасштабным (1:10 000) инженерно-геологическим исследованиям в пределах Телавского района (правобережье р. Алазани за 1982 – 85 гг). Вып. 1985.
2. ცერეტი ე.დ., ბოჩოშვილი ვ.ვ. Отчёт селевой партии об инженерно-геологических исследованиях Цив-Гомборского хребта масштаба 1:50 000 за период 1964 – 65. Вып. 1966 г.
3. ბუაჩიძე ი.მ., ზეგინიძე ს.ნ. Гидрогеология и перспективы использования подземных вод Алано-Агричайского артезианского бассейна. Тбилиси: Мецниереба, 1985.
4. Гидрогеология СССР, т.Х, Грузинская ССР. Редактор тома И.М. Буачидзе. Москва: Недра, 1970.
5. ჭ. ზეიადაძე, გ. მარდაშვილი. მთიან რეგიონებში ტყის უსისტემი ჭრის ზეგავლენა მეწარული პროცესის აღმდეგადური განვითარების // სტუ-ს გროვები №3 (442). თბილისი, 2002, გვ. 72–76.

UDC 624.131.131

MUDFLOW RIVER TELAVI'S KHEVI AND ANTI – MUDFLOW GUIDELINES

U. Zviadadze, M. Mardashova, A. Kemoklidze, Ts. Kvernadze

Department of applied geology, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: Тrough the center of Kakheti region Telavi city the mudflow river Telavis Khevi flows with often passage of mudflow with significant harming on municipal economy. In the presented article there are considered the engineering – geological factors of origin and further development of mudflows and other geodynamical processes (erosion, land-slides, weathering) and on the basis of their analysis the anti-mudflow guidelines are worked out.

Key words: r. Telavi's Khevi, mudflow, anti-mudflow construction, erosion, land-slide.

УДК 624.131.131

СЕЛЕНОСНАЯ РЕКА ТЕЛАВИС ХЕВИ И ПРОТИВОСЕЛЕВЫЕ РЕКОМЕНДАЦИИ

Звиададзе У.И., Мардашова М.Л., Кемоклидзе А. М., Квернадзе Ц.С.

Департамент прикладной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Через центр Кахетинского региона г. Телави протекает селеносная река Телавис хеви с частыми прохождениями сели, что наносит значительный ущерб городскому хозяйству. В статье рассмотрены инженерно-геологические факторы происхождения и развития сели и других геодинамических процессов (эрозия, оползень, выветривание) и на основе их анализа разработаны противоселевые рекомендации.

Ключевые слова: р. Телавис хеви; сели; антиселевая конструкция; эрозия; оползень.

გილებულია დასაბუქდა 11.02.14

ძიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის სექცია

შპკ 622.342.1:553.1

ოქროს შემცველი მაღის ძიმიური შედგენილობის კვლევა

ზ. შერაზადიშვილი*, მ. მჭედლიშვილი**, ნ. შეყრილაძე

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, მ. ქოსტავას 69

E-mail: z_sherazadishvili@yahoo.com, mchedli@mail.ru

რეზიუმე: გამოკვლეულია საქართველოში არ-
სებული ერთ-ერთი ოქროს შემცველი საბადოს („A
საბადო“) მაღის ქიმიური შედგენილობა. დადგუ-
ნილია, რომ საბადოდან აღებული სხვადასხვა ნი-
მუში თქროს, ვერცხლის და ფერადი ლითონების
შემცველობის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად
განსხვავდება ერთმანეთისგან. ამასთან, ოქროსა
და ფერად ლითონთა შემცველობებს შორის არ-
სებობს გარკვეული კორელაციური დამოკიდებუ-
ლება. სპილენძი უმნიშვნელო რაოდენობით იმყო-
ფება მადანში, რომელსაც სამრეწველო მნიშვნე-
ლობა არ გააჩნია და არც არსებითი გავლენა არ
შეუძლია იქონიოს მაღინიდან თქროს ამოწვლილ-
ვის ტექნოლოგიურ პროცესზე. მადანი შედარებით
დიდი რაოდენობით შეიცავს ტყვიას და თუთიას,
რომლებიც სამრეწველო მნიშვნელობით ხასიათ-
დება, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მად-
ნიდან ძვირფასი ლითონების – თქროსა და
ვერცხლის ამოწვლილვის ტექნოლოგიური სქემის
შერჩევისას.

საკვანძო სიტყვები: ოქრო; ფერადი ლითონები;
სინჯის აღება; მომზადება; ქიმიური ანალიზი.

1. შესავალი


ამჟამად, საქართველოში ინტენსიურად მიმდი-
ნარეობს გეოლოგიური სამუშაოები თქროს შემ-
ცველი საბადოების ძიებისა და შემდგომი ათვი-
სების მიზნით.

ცნობილია, რომ სამთო თუ სხვა ხასიათის
მასალების ფიზიკურ-ქიმიური კვლევისას განსა-
კურებული ყურადღება ექცევა საანალიზო და
საკვლევი სინჯების მომზადებას, მაგრამ ოქროს
შემცველი მაღინების კვლევისას საანალიზო და
საკვლევი ნიმუშების მომზადების პროცესი გა-
მორჩეულია – ოქროს შემცველობა ხომ ერ-
თულ და ზოგჯერ მეათედ გრამებში იზომება
1გ მადანზე გადაანგარიშებით. შეიძლება ერთი
ადგილიდან აღებულ ათობით კგ ნიმუშში იგი
სრულებით არ გაქონდეს, მეორედან აღებულში
კი მისი შემცველობა რამდენჯერმე აღემატე-
ბოდეს მის საშუალო შემცველობას მადანში.
ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოში არსე-
ბული საბადოებიდან ერთ-ერთი მათგანის –
შემდეგში A საბადოდ წოდებულის გამოკვლევა
მისგან ძვირფასი ლითონების ამოღების ტექნო-
ლოგიის დამუშავების მიზნით.

2. ძირითადი ნაწილი

ჩვენ მიერ დამუშავებულია კვლევისათვის
ოქროს შემცველი მაღინების ნიმუშების მომზა-
დების სქემა წარმოდგენილია 1-ელ სურ-ზე.

სინჯის მომზადება არის პროცესი, რომელიც
აერთიანებს მაღინის საწყისი სინჯის სტადიურ
დამსხვრევას, არევას (პომოგენიზირებას), შეკვე-
ცას და მინიმალურად დასაშვები მასის სინჯე-
ბის აღებას ქიმიური ანალიზებისა და ტექნო-
ლოგიური ტესტირებისათვის. იგი უნდა პასუხ-
ობდეს შემდეგ მოთხოვნებს:



სურ. 1. კვლევისათვის ოქროს შემცველი ნიმუშების
მომზადების სქემა

- საანალიზო და საკვლევი ნიმუშები მათში შემავალი კომპონენტების განაწილებისა და რაოდენობის მიხედვით უნდა იყოს წარმომადგენლობითი ანუ იგი უნდა შეესაბამებოდეს საწყისი მადნის შედეგისილობას;

- სინჯის მასა უნდა იყოს საკმარისი ქიმიური ანალიზის მადალი სიზუსტის უზრუნველსაყოფად (90%-იანი სარწმუნოება, 15%-იანი ფარდობითი ცდომილება).

სინჯის საბოლოო მასა, დანიშნულების მიხედვით, შეიძლება იყოს სხვადასხვა. მაგალითად, ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური და ინსტრუმეტული მეთოდებისთვის საშუალო ლაბორატორიული სინჯი აიღება 1-დან 200გ-მდე. სასინჯი ანალიზისთვის (Fire Assay, Пробирный анализ) არა ნაკლებ 250-2000გ, ხოლო ტექნოლოგიური ტესტირებისათვის, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, 50-2000გ.

წარმომადგენლობითი სინჯის მისაღებად წარმოებს საწყისი მადნის სტადიური დამსხვევა, არევა და მისი შემდეგი შეკვეცა, მოცემულ სის-

ხეზე, მინიმალურად დასაშეგი მასის მიღების მიზნით.

კეთილშობილი და ფერადი მეტალების შემცველი მაღნებისთვის წარმომადგენლობითი სინჯის მასა დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, რომელთაგან უმთავრესია: საწყისი მასალის სისხლი; სასარგებლო კომპონენტის შემცველობა; სასარგებლო კომპონენტის განაწილების თანაბარზომიერება სინჯში.

1-ელ სურ-ზე წარმოდგენილი სქემის მიხედვით A საბადოს ბაზაზე მომზადდა სინჯები და ჩატარდა ქიმიური ანალიზი ოქროს, ვერცხლის, სპილენის, თუთის და ტყვიის შემცველობაზე.

ანალიზი ოქროს შემცველობაზე წარმოებდა პრაქტიკაში კარგად აპრობირებული მეთოდით, კერძოდ ნიმუშის სამეცნ წყლით დაშლით, დიზობუტილკეტონით ექსტრაქციით და შემდეგ მისი განსაზღვრა ატომურ აბსორბციული მეთოდით (ხელსაწყოს დასახელება: Agilent Technologies 200 series AA).

ვერცხლის, სპილენძის, ტყვიის და თუთიის განსაზღვრა წარმოებდა. ნიმუშის დაშლით სამუფო წყალში და ატომური აბსობციით.


ზოგიერთი ნიმუშის ქიმიური შედგენილობა მოყვანილია ცხრილში.

I-ლი ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა, რომ საბადოდან აღებულ ნიმუშებში როგორც ოქროს, ისე ვერცხლის შემცველობები ცვალებადი ხასიათისა და მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ზოგიერთ მათგანში მათი შემცველობები საშუალოზე გაცილებით დაბალია, მაშინ როდესაც ზოგიერთ ნიმუშში რამდენჯერმე აღემატება მათ საშუალო მნიშვნელობებს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ოქროს და ვერცხლის შემცველობების ცვალებადობა მეტნაკლებად ურთიერთკავშირში იმყოფება, თუმცა კორელაციური დამოკიდებულება მაღალი ხარისხით არ უნდა გამოირჩეოდეს, რაც ნათლად ჩანს მე-2 სურ-ის მონაცემებით.

ნიმუშებში სპილენძის შემცველობა დაბალია – მაქსიმალური შემცველობა 0.11%-ს არ აღემატება, ცხრილში წარმოდგენილი ნიმუშებიდან მხოლოდ ერთში ფიქსირდება სპილენძის შემცველობა 0.1%-ზე მეტი რაოდენობით, მეტწილ ნიმუშებში კი მასი კონცენტრაცია 0.03%-ზე დაბალია.

A საბადოს ზოგიერთი ნიმუშის ქიმიური შედგენილობა


| ნიმუშის № | Au პირობითი კრთხული | Ag პირობითი კრთხული | Cu %100 | Pb %100 | Zn %100 |
|-----------|---------------------|---------------------|---------|---------|---------|
| 1 | 6 | 3 | 5 | 1 | 5 |
| 2 | 6 | 3 | 4 | 1 | 4 |
| 3 | 7 | 3.5 | 5 | 1 | 5 |
| 4 | 10 | 7 | 9 | 1 | 8 |
| 5 | 10 | 6.5 | 5 | 1 | 6 |
| 6 | 10 | 8 | 6 | 4 | 3 |
| 7 | 30 | 25 | 3.4 | 1 | 11 |
| 8 | 30 | 10 | 1.1 | 2 | 7 |
| 9 | 45 | 29 | 4.6 | 6 | 10 |
| 10 | 55 | 430 | 1.8 | 25 | 24 |
| 11 | 85 | 280 | 3.4 | 64 | 69 |
| 12 | 130 | 500 | 5.7 | 75 | 74 |
| 13 | 140 | 332.5 | 7.1 | 71 | 177 |
| 14 | 170 | 20 | 10.7 | 67 | 131 |
| 15 | 330 | 50 | 6.2 | 50 | 123 |




სურ. 2. ოქროსა და ვერცხლის შემცველობებს შორის კორელაციური დამოკიდებულების ამსახველი გრაფიკი, კორელაციის კოეფიციენტის ჩვენებით

I-ლი ცხრილი ასევე გვიჩვენებს, რომ ოქროსა და ფერადი ლითონების შემცველობებს შორის არსებობს შედარებით მაღალი ხარისხის კორელაციური კაგშირი, რაც ნათლად ჩანს 3 და 4

სურათებზე, სადაც მოცემულია ოქროს შემცველობის ტყვიისა და თუთიის შემცველობებთან კორელაციური დამოკიდებულების ამსახველი გრაფიკები, კორელაციის კოეფიციენტის ჩვენებით.



სურ. 3. ოქროსა და ტყვიის შემცველობებს შორის კორელაციური დამოკიდებულების ამსახველი გრაფიკი, კორელაციის კოეფიციენტის ჩვენებით



სურ. 4. ოქროსა და თუთიის შემცველობებს შორის კორელაციური დამოკიდებულების ამსახველი გრაფიკი, კორელაციის კოეფიციენტის ჩვენებით

რაც შეეხება ფერადი ლითონების გავლენას მაღნიდან ძვირფასი ლითონების ამოღების პროცესზე, სპილენი, თავისი დაბალი შემცველობის გამო, გავლენას ვერ მოახდენს. სულ სხვა სურათი გვაქვს თუთიის და ტყვიის შემცველობის თვალსაზრისით. მათი შემცველობა მეტწილად 10-ჯერ და მეტად აღემატება სპილენის შემცველობას, რის გამოც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მაღნიდან ძვირფასი ლითონების ამოღების პროცესზე.

3. დასკვნა

1. გამოკვლეულია საქართველოში არსებული ერთ-ერთი ოქროს შემცველი საბადოს (საბადო) ქიმიური შედაქნილობა.

2. საბადოს სხვადასხვა უბინიდან აღებულ ოქროს, ვერცხლის და ფერადი ლითონების ნიმუშებში შემცველობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

3. მაღანი კონდიციურია როგორც ოქროს და ვერცხლის, ისე ტყვიის და თუთიის შემცველობის თვალსაზრისით.

ლიტერატურა

1. რ. კანაშვილი, თ. მიქაელი, მ. მჭედლიშვილი. ოქროს და ვერცხლის მეტალურგია. თბილისი, 2013.
2. Техническая оценка минерального сырья. Опровергание месторождений. Характеристика сырья. Справочник/под ред. П.Е. Остапенко. М.: Недра, 1990.
3. Митрофанов С.И., Барский Л.А., Самыгин В.Д. Исследование полезных ископаемых на обогащаемость. М.: Недра, 1974.
4. Технологическая оценка минерального сырья. Методы исследования: Справочник / Под. ред. П.Е. Остапенко. М.: Недра, 1991.

UDC 622.342.1:553.1

RESEARCH OF THE CHEMICAL COMPOSITION OF THE GOLD-CONTAINING ORE**Z. Sherazadishvili, M. Mchedlishvili, N. Shekriladze**

Department of chemical and biological technologies, Georgian Technical University, 69, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resumе: There was researched one of the gold-containing ore existing in Georgia. There was determined that, various samples taken from ore are significantly different from each other with content of gold, silver and non-ferrous metals. In addition, there is definite correlation between gold and non-ferrous metals content. Copper is presented in small quantities in ore, which does not have any significant impact on the industrial importance and may not have any effect on the gold extraction technological process. Ore contains relatively large amounts of lead and zinc. They have industrial importance and must be considered in the selection of the gold and silver extraction technological scheme.

Key words: gold; non-ferrous metal; testing; preparation; chemical analysis.

УДК 622.342.1:553.1

ИССЛЕДОВАНИЕ ХИМИЧЕСКОГО СОСТАВА ЗОЛОТОСОДЕРЖАЩЕЙ РУДЫ**Шеразадишвили З.Б., Мчедлишвили М.И., Шекриладзе Н.Ш.**

Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69

Резюме: Исследован химический состав одной из золотосодержащих руд Грузии. Установлено, что по содержанию золота, серебра и цветных металлов, пробы, взятые из разных скважин, существенно отличаются друг от друга; имеется определенная корреляция между содержаниями золота и цветных металлов – свинца и цинка. Медь находится в руде в незначительном количестве и не имеет промышленного значения с точки зрения извлечения ее из руды; при этом она не может оказать существенного влияния на технологический процесс извлечения золота из руды. Руда характеризуется сравнительно большими содержаниями свинца и цинка, что и должно быть учтено при подборе технологической схемы извлечения золота и серебра из руды.

Ключевые слова: золото; цветные металлы; взятие пробы; подготовка; химический анализ.

გილეადულია დასაბუქფად 06.11.13

ბიზნესინჟინერინგის სექცია

შაპ 801.55

სემასიოლოგიური ასაექტის სისტემური მარკერები

ნ. გამკრელიძე

ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,
0175, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: n.gamkreidze@mail.ru

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია ენის სემანტიკური მხარის სისტემური თვისება და სიტყვის სემასიოლოგიური კვლევის დინამიკა ლინგვისტურ შრომებში. სემასიოლოგიური კანონზომიერებები განხილულია ეროვნული მსოფლეობის, კულტურის, ისტორიის, ტრადიციების, ზოგადლინგვისტური ადგენატურობის და კულტუროლოგიური სპეციფიკურობის ფონზე.

საკანკლ სიტყვები: ენის სემანტიკური მხარე; სემასიოლოგია; სემასიოლოგიური კანონზომიერება; ეროვნული მსოფლეობა; ზოგადლინგვისტური ადგენატურობა.

1. შესავალი

ენის სემანტიკური მხარის სისტემური თვისების კვლევა პრიორიტეტულია როგორც თანამედროვე, ისე ტრადიციული ენათმეცნიერებისათვის. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ენათმეცნიერთა შორის დამკვიდრდა ენობრივი ფაქტების ურთიერთმიმართებაში განხილვის ტენდენცია. აღნიშნულ პრობლემას იკვლევდნენ ა. პოტებნია, [1] ა. უფიმცევა, [2] მ. პოროვსკი, [3] რ. მაიერი [4] და სხვები. ზემოხსენებულ ენათმეცნიერთა სემასიოლოგიურ შრომებში, კვლევის ძირითადი ტენდენცია სიტყვათა „წარმოდგენის“ მიხედვით დაჯგუფება და მათი კონცეპტუალურ რაკურსში შესწავლა იყო. ამ ტიპის კვლევებში წინა პლანზე იყო წამოწეული მნიშვნელობათა ურთიერთკავშირის იდეა, რაც მიუხედავად მთელი რიგი ხარვეზებისა, იმდროინდელი ენათმეცნიერებისათვის სემასიოლოგიური კვლევისადმი ახალ და პროგრესულ მიდგომას ნიშნავდა.

მოცემული ნაშრომი არის ენის სემანტიკური მხარის, სემასიოლოგიური კანონზომიერებისა და სიტყვის სემასიოლოგიური დინამიკის სისტემური განხილვის ცდა.

2. ძირითადი ნაწილი

სემასიოლოგიური კვლევები მე-20 საუკუნის ლინგვისტიკისათვის წინააღმდეგობრივი იდეაბით გაჯერებული, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო. კერძოდ, ზემოხსენებულ ენათმეცნიერთა შრომებისათვის თვისობრივი იყო ენობრივი ფაქტების სუბიექტისეულ – იდეალისტურ ჭრილში ხედვა, ენის საზოგადოებრივ - შემუცნებითი როლის არასათანადო შეფასება, ენის როგორც სიტყვისა და აზრის ფორმირების მედიუმის განსაზღვრა. ცხადია, ეს გარემოებები ენის სემასიოლოგიურ კონცეფციაში წინააღმდეგობებს იწვევდა. კერძოდ: ერთი მხირივ საგრძნობლად იყო გადაჭარბებული ენის გავლენა აზროვნებაზე, ხოლო მეორე მხირივ, იგნორირებული იყო სამეტყველო ენის საზოგადოებრივ-შემუცნებითი როლი, რომელიც ცნებებისა და აზრების სიტყვებად და გამოთქმებად აყალიბებს და უზრუნველყოფს მათი თაობიდან თაობაზე გადაცემის პროცესს. აღნიშნული ხარვეზი სემასიოლოგიურ კონცეფციაში გამოწეული იყო სიტყვის მოცემულობის აბსოლუტური გაიგივებით სუბიექტის ფსიქო-ინდივიდუალურ აქტოან. [2]

მიუხედავად ხარვეზებისა აღნიშნული სემასიოლოგიური კონცეფცია კერძოდ სიტყვათა მნიშვნელობების ურთიერთდამოკიდებულებაში შესწავლის აუცილებლობა იმდროინდელ ლინგვისტიკაში პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. მან გენერირება გაუკეთა სიტყვის სემანტიკის ისტორიულ ჭრილში ცვლილებების კანონზომიერ

რებათა კვლევის იდეას და ამით დასაბამი მისცა ახალ სემასიოლოგიურ კვლევათა ეპოქას. ამ კუთხით განხორციელებულმა კვლევებმა რადიკალურად შეცვალა მოსაზრება სიტყვის “თვითინებური” სემანტიკური ცვლილების შესახებ. ეს პროცესი სემასიოლოგიურ კანონზომიერებებს დაუქმენდებარა და სიტყვის მნიშვნელობის ცვლილება მისი ცნებით-კონცეპტუალური, სემანტიკური ურთიერთგანპირობებულობით ახსნა.

მსგავსი მნიშვნელობების მქონე სიტყვათა ჯავუფების სემანტიკური ცვლილებების კვლევებმა დაადასტურა, რომ სემასიოლოგიური პროცესი არა მხოლოდ ერთ ცალკეულ ლექსიკურ ერთეულზე, არამედ მთელ ენობრივ კატეგორიაზე ვრცელდება [3]. ამ ტიპის კვლევების ამოსავალი იდეა “ასოციაციის პრინციპი” იყო, რომელიც ეფუძნებოდა სიტყვის მნიშვნელობის არა მხოლოდ ლოგიურ-ფსიქოლოგიურ, არამედ ენობრივ მხარეს. თუმცა ენობრივი ცვლილებები არ აიხსნებოდა მხოლოდ ასოციაციური კავშირებით. პრიორიტეტი სიტყვის ლექსიკურ-მორფოლოგიურ და სემანტიკურ-სინტაქსურ ერთიერთმიმართებებს ენიჭებოდა. აღნიშნულ იდეა-ამდე მისვლას, წინ უძლეოდა სისტემის ცნების გაფართოვება. კერძოდ, არასაკმარისი გახდა სიტყვათა მხოლოდ ერთი წარმოდგენის სფეროში გაერთიანება. დღის წესრიგში დადგა ენათა შეპირისპირებითი ანალიზის ფონზე სხვადასხვა წარმოდგენათა გამომხატველი სიტყვების მნიშვნელობების ისტორიულ ჭრილში განხილვის აუცილებლობა.

ამ კუთხით მნიშვნელოვანი კვლევები მ. პოკროვსკის ეკუთვნის, რომელმაც ემპირიული მასალა არა ერთი, არამედ რამდენიმე ენის ფარგლებში განახორციელა. მან მთელ რიგ მაგალითებზე დაყრდნობით თვალსაჩინო გახადა ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვები სხვადასხვა ენაში იდენტური გამომწვევი მიზეზის გამო ანალოგიურ სემასიოლოგიურ ცვლილებებს განიცდის. ავტორმა ჩამოაყალიბა თეორია, რომლის მიხედვითაც სიტყვათა მნიშვნელობის შესწავლა აუცილებელია მათ ურთიერთდამოყიდებულებაში, რადგან სწორედ ასეთი კავშირის კანონზომიერებითაა განპირობებული სემანტიკური ცვლილებები ენის საერთო სისტემაში. მისი მოსაზრებით მნიშვნელობათა ისტორიულ ჭრილში ცვლილებაზე დაკვირვება უნდა ხდებოდეს მთელი სისტემის ან სემანტიკურად ურთიერთდაკავშირებული სიტყვათა ჯავუფების ფარგლებში. დაჯგუფების კრიტერიუმს კი, სიტყვათა ძირითადი მნიშვნელობის მიხედვით დადგენილი მსგავსება ან სრული პოლარიზება

წარმოადგენს. მ. პოკროვსკის თეორიის თანახმად, სემანტიკური ცვლილება არ განიხილება ენის სხვა რიგის ფაქტებისაგან მოწყვეტით, რადგან ის ხშირად მორფოლოგიური და სიტყვამწარმოებელი კატეგორიების განვითარების კანონზომიერებებითაა გამოწვეული. [3]

სიტყვის სემანტიკური კვლევის ინტენსივიკაცია დასავლეთ ევროპის ლინგვისტურ წრეებშიც მიმდინარეობდა. [4] აქ პრიორიტეტი სიტყვათა გარკვეული ცნების საფუძველზე გაერთიანებას ენიჭებოდა. მაგალითად, კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ცხოველთა, მცენარეთა, ფრინველთა აღმნიშვნელი სახელები, მათემატიკური ტერმინები, გრძნობადი აღქმის გამომხატველი სიტყვები და ა.შ. ცნებათა ჯავუფების (Bedeutungsfeld) მიხედვით წარმოებული ანალიზი შეიძლება ჩაითვალოს ენის სემანტიკური ასპექტის და “შინაარსის” კვლევის პირველ წარმატებულ მცდელობად, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო ენაში ურთიერთდამოყიდებულ მნიშვნელობათა გარკვეულ სისტემურობაზე. მანამდე განხორციელებული ყველა კვლევის ცენტრში მხოლოდ სიტყვის ფორმა იყო, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო სემასიოლოგიურ დინამიკასთან. ამ ტიპის კვლევებმა ენათმეცნიერები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ენაში არაფერია იზოლირებული, სიტყვები და ცნებები სიმეტრიულ ურთიერთმიმართებაშია და სისტემურ ხასიათს ატარებს. ეს სისტემა კი თავის მხრივ ემპირიული ფაქტია, სადაც მნიშვნელობის ყველა ცვლილება სემასიოლოგიურ გადაჯგუფებათა ჯაჭვს იწვევს.

3. დასკვნა

ზემოაღნიშნული თეორიები, მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენდა მე-20 საუკუნის სემასიოლოგიური კვლევის პროცესში, თუმცა არასაკმარისად მოიცავდა პრობლემის არსე. ვფიქრობ, სიტყვის მნიშვნელობის ისტორიულ ჭრილში ცვლილების ახსნა მოწყვეტილი იყო საზოგადოებისა და ენის განვითარების დინამიკას. იგი არ ეფუძნებოდა სემასიოლოგიური ცვლილების მამოტივირებელ - სოციალურ ფაქტორს, არასაკმარისად იყო გაანალიზებული სიტყვის მნიშვნელობათა შერის კანონზომიერი ურთიერთკავშირი, რომელიც საზოგადოების აზროვნების ზოგადენობრივ კონცეფციას ეფუძნება. სიტყვის სემასიოლოგიური ანალიზი მთლიანად ემყარებოდა “ერის ფსიქოლოგიას”. ერთგარად უგულებელი დაჯგუფების კრიტერიუმს კი, სიტყვათა ძირითადი მნიშვნელობის მიხედვით დადგენილი მსგავსება ან სრული პოლარიზება

შეუძლებელია ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ეროვნული მსოფლეოდების, კულტურის, ისტორიის, ტრადიციების, ზოგადლინგვისტური ადგანგატურობს და კულტუროლოგიური სპეციფიკურობის ცოდნის გარეშე, ხოლო საერთო ინტერლინგვისტური სისტემური ცვლილებები კი, საერთო ინტერკულტურული და ზოგადენბობრივი განვითარების ტენდენციებით უნდა ავხსნათ. ხიტყვის სემანტიკა ყალიბდება საზოგადოების ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდოლების ჭრილში, ამიტომ მისი სემანტიკური სტრუქტურა სუბიექტის ცნობიერებაში არსებულ ასოციაციურ წარმოდგენათა სტრუქტივების კომპლექსია. იგი აერთიანებს ზოგადადამიანური აზროვნების ასოციაციურ-სიტუაციურ მოდელებს

და ვრცელდება სუბიექტთა ურთიერთმიმართების შესახებ სფეროზე.

ლიტერატურა

- Потебня А. О некоторых символах в славянской народной поэзии. М., 1970, стр. 125-158.
- Уфимцева А. Опыт изучения лексики как системы. М., 1975.
- Покровский М. Семасиологические исследования в области древних языков. М., 1976, стр. 75-83.
- R. Meyer, Bedeutungssysteme. Zeitschrift fuer vergleichende Sprachforschung auf dem Gebiet der indogermanischen Sprachen. Berlin, 1922. Bd.43. S.352,353.

UDC 801.55

SEMASIOLOGICAL ASPECT AND ITS SYSTEMATIC MARKERS

N. Gamkrelidze

Department of liberal sciences, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is considered specific semantic side of language and dynamics of semantic study in linguistic works. Semantic regularity and conformity are considered against a background of world outlook, culture, history, tradition, linguistic adequacy and culturological specificity.

Key words: semantic side of language; semasiology; semasiological regularity; world outlook of language; linguistic adequacy.

УДК 801.55

СЕМАСИОЛОГИЧЕСКИЙ АСПЕКТ И ЕГО СИСТЕМНЫЕ МАРКЕРЫ

Гамкрелидзе Н. О.

Департамент либеральных наук, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Рассмотрены системный характер семантической стороны языка и динамика семантического исследования в лингвистических трудах. Семантические закономерности рассмотрены на фоне языкового мировоззрения, культуры, истории, традиций, лингвистической адекватности и культурологической специфики.

Ключевые слова: семантическая сторона языка; семасиология; семасиологические закономерности; языковое мировоззрение; лингвистическая адекватность.

მიღებულია დასაბუქრად 27.11.13

უაგ 801.55**დარგობრივი კომუნიკაციის საეციფიკა****ნ. გამქრელიძე**

ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,
0175, თბილისი, გ. კოსტავას 77

E-mail: n.gamkrelidze@mail.ru

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია დარგობრივი კომუნიკაციის საეციფიკა, დარგობრივი ენისა და დარგობრივი ტექსტის სიმეტრიული ტრანსფერის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: დარგობრივი კომუნიკაცია; დარგობრივი ენა; დარგობრივი ტექსტის ტრანსფერი; სიმეტრიული სიციალური მიმართება; მეცნიერულ პარადიგმათა კომპლექსი; ლექსიკური სისტემა; დარგობრივი ლექსიკის შრე; ტექსტის დეკოდირება; ტექსტის რეკონსტრუქცია.

1. შესავალი

თანამედროვე სამყაროში დარგობრივი კომუნიკაცია ერთ-ერთი გადამწყვეტი და პრიორიტეტული ასპექტია სუბიექტის სოციალური ფორმირებისა და მისი კარიერული სტატუსის განსაზღვრის პროცესში. გლობალური კონკურენციისა და უწყვეტი განვითარების პროცესი, თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევები, დარგობრივი ეთიკა, კონკურენტუნარიანი ცოდნა და ამ ცოდნის კორექტული ტრანსფერი როგორც ქვეყნის შიგა, ისე საერთაშორისო ბაზარზე, აქტუალურს ხდის დარგობრივი კომუნიკაციის საეციფიკის ცოდნას და განაპირობებს მუდმივ ინტერესს დარგობრივი ენების კვლევისადმი.

მოცემული ნაშრომი აღნიშნული პრობლემის კვლევისა და დარგობრივი კომუნიკაციის საეციფიკის კვლევის ერთგარი მცდელობა.

2. ძირითადი ნაწილი

ერბალური კომუნიკაცია ნებისმიერი ეთნო-გულტურული სოციალური ფორმაციის თვისებრივი მახასიათებელია. იგი არის არამარტო ინფორმაციული გზავნილის გავრცელების, არამედ კულტურათა და სუბკულტურათა თანაზიარობის მარეგულირებელი საშუალება.

დარგობრივი კომუნიკაცია, როგორც ერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი ასპექტი, მოიცავს სუბიექტის ყოფიერების სრულიად განსხვავებულ სფეროებს, ხასიათდება კომუნიკაციური და ცნებით-ტერმინოლოგიური მრავალფეროვნებით, განს-

ხვავებული კომუნიკაციური ჩარჩოებით და სისტემური თავისებურებებით. იგი გაჯერებულია დარგობრივი ლექსიკით და მეტალური სტრუქტურებით, რომლის ფონზეც თვალსაჩინო ხდება ვერბალური კომუნიკაციის სტრუქტურული ერთეულის - დარგობრივი კომუნიკაციის დამაკავშირებელი როლის გამოვლენის გარდაუვალი აუცილებლობა. აღნიშნულში იგულისხმება მიმართებები ცნებით კონცეპტსა და მის ენობრივ გამოხატულებას შორის, რომლის ეფექტური დემონსტრირება კონცეპტუალური ცოდნის სემანტიკურ შრეშია. იგი სუბიექტს აძლევს წარმოდგენათა ერთობლიობას საკვლევ ობიექტზე, რაც თავის მხრივ კომუნიკანტთა შორის ინფორმაციის ეფექტური ტრანსფერის საწინდარია.

ენობრივი სისტემის და ვერბალური კომუნიკაციის ამოსავალი პუნქტი – სიტყვა, ანუ ლექსიკური ერთეულია. ის თავის თავში მოიცავს, როგორც ენის აუსტიკურ, ასევე მნიშვნელობისა და გამოხატულების ასაექტებს. იგი ნებისმიერ ენაში ცნების ფორმირებისა და ინფორმაციის გადაცემის საშუალებაა. მისი დახმარებით ინფორმაცია, რომელსაც ვფლობთ თანაზიარი და გასაგები ხდება სოციუმის სხვა წევრებისათვის.

დარგობრივი კომუნიკაცია, რომელიც კონკრეტული საკომუნიკაციო ჩარჩოთა განსაზღვრული, გარკვეულ შეზღუდვებს და ბარიერებს გულისხმობს. ამიტომ, დარგობრივი ტექსტის თარგმანისას საჭიროა არა მხოლოდ ორიგინალი ტექსტის მეორე ენაზე სტრუქტურული გადატანა, არამედ განსხვავებული ენობრივი მსოფლიხედვისათვის თვისებრივი ცნებით-კონცეპტუალური სისტემების შეჯერება, პოლარიზება და ინტერპრეტირება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია კომპეტენტური ზომიერების დაცვა, რათა თარგმანისას შენარჩუნდეს დარგისათვის დამახასიათებელი საკომუნიკაციო ფარგლები და საგნობრივ-ფუნქციური სტანდარტები. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც მთარგმნელი გათვითცნობიერებულია დარგის საეციფიკაში, ფლობს დარგობრივ ცოდნას, დარგობრივ მიმართებებს და აზროვნების კომპეტენციებს, ერკვევა დარგის ფარგლებში მიმდინარე ტექნილოგიურ პრო-

გრეშში, დაუბრკოლებლად იყენებს საჭირო ტერმინოლოგიას, ფრაზეოლოგიას, და მართავს ენის სისტემური ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელ ყველა საჭირო ბერკეტს.

ცხადია დარგობრივი ლექსიკის შრე არ არის ისეთივე დია და დინამიკური, როგორც ენის ლექსიკური სისტემა მთლიანობაში, რომლის ლექსიკური ინვენტარი გარეენობრივ სინამდვილესთან უშუალო კავშირის ზემოქმედებას განიცდის და ამდენად სწრაფი და მუდმივი ცვალებადობით ხასიათდება. თუმცა თანამედროვე ლინგვისტიკაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად არ არის მიზანშეწონილი ერთმანეთისაგან მეცნიერების ენის დარგობრივი და ზოგადი, უნივერსალური ლექსიკა. [1]

ვფიქრობ აღნიშნული მოსაზრების ახსნა შესაძლებელია იმ გარემოებით, რომ ხშირად როლია ერთმნიშვნელოვანი გრადაციის გაკეთება. მთელ რიგ შემთხვევებში ქონბრივი მოცემულობის სხვადასხვა პლასტი იკვეთება, ხოლო განსხვავების დადგენა ენის სემანტიკური დონის შინაარსის პლანშია შესაძლებელი. ცხადია ეს რეალია არ გულისხმობს დარგობრივი ტექსტისა და დარგობრივი ლექსიკის ობლიგატორულად რელევანტურ აღქმას დარგში გაუთვითცნობიერებელი სუბიექტის მიერ, თუმცა ცალკეული ცნებები, რომელიც არასპეციალისტისთვისაც გასაგებია ინტერესულტურული და ზოგადენობრივი განვითარების საერთო ტენდენციით არის შესაძლებელი.

დარგობრივი კომუნიკაციისას, კერძოდ დარგობრივი ტექსტის თარგმნისას ხშირია შემთხვევები, როდესაც ტექსტი შეიცავს ისეთ დარგობრივ ცნებებს, ენობრივ ფორმებსა და სტრუქტურებს, რომლებიც მხოლოდ სპეციალისტისთვის არის გასაგები. ამ შემთხვევაში ინფორმაციის რელევანტური ტრანსფერი სათარგმნი მოცემულობის დეტალურ განხილვას და გაშიფრას საჭიროებს. აღნიშნული ცხადია არ გამორიცხავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც დარგობრივი ლექსიკა და ზოგადენობრივი ლექსიკური შრე ანალოგის საფუძველზე იოლად გასაგებია არასპეციალისტისთვისაც.

განსხვავებების დადგენა ზოგადენობრივ და დარგობრივ ლექსიკას შორის მნიშვნელოვანია და ამის მიღწევა შესაბამისი ცნებით-კონცეპტუალური სისიტემის ცოდნის შემთხვევაშია შესაძლებელი, რადგან მხოლოდ ამ დროს ხდება რეალური სემანტიკური მნიშვნელობის ზუსტი იდენტიფიცირება.

დარგობრივი თარგმნის პროცესში მნიშვნელოვანია ასევე ტექსტის დარგობრივობის ხარისხის

დადგენა. აღნიშნულში იგულისხმება როგორც ადრესატი ხოციუმი, ასევე ლექსიკური ინვენტარის ნორმატიული და დარგობრივ-ტერმინოლოგიური გამოყენების ინდექსი. ვფიქრობ აქ მნიშვნელოვანია, როგორც თარგმანის სიმეტრიულობა, ასევე ადრესატზე ორიენტირებულობა. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია მშობლიური და სამუშაო ენის ლექსიკურ-გრამატიკული თუ სტილისტური თავისებურებების ზედმიწვნით ცოდნა. თარგმანის სიმეტრიულობაზე საუბრისას, ცხადია ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორც მთარგმნელის შემოქმედებითობაა, რადგან ხათარგმნი ტექსტის დეკოდირების შემდეგ სწორედ მთარგმნელი ახდენს ტექსტის შინაარსობრივი მხარის ინდივიდუალურ რეკონსტრუქციას [2].

3. დასკვნა

ამრიგად, დარგობრივი კუმუნიკაცია, როგორც კერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი ასკექტი, ხასიათდება კომუნიკაციური და ცნებით-ტერმინოლოგიური მრავალფეროვნებით, განსხვავებული კომუნიკაციური ჩარჩოებით და სისტემური თავისებურებებით, რომელიც თავი თავში აერთიანებს სუბიექტის ყოფიერების სრულიად განსხვავებულ სფეროებს. იგი ხოციუმის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია და ეფუძნება არა მხოლოდ სიმეტრიულ ხოციალურ მიმართებებს, არამედ მეცნიერულ პარადიგმათა კომპლექსს.

დარგობრივი კომუნიკაცია, ყოველთვის კონკრეტული საკომუნიკაციო ჩარჩოთია განსაზღვრული. იგი გარკვეულ შეზღუდვებს და ბარიერებს გულისხმობს. ამიტომ, დარგობრივი ტექსტის თარგმნისას საჭიროა არა მხოლოდ ორიგინალი ტექსტის მეორე ენაზე სტრუქტურული გადატანა, არამედ განსხვავებული ენობრივი მსოფლებელებისათვის თვისობრივი ცნებით-კონცეპტუალური სისტემების შეჯერება, პოლარიზება და ინტერპრეტირება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია კომპეტენტური ზომიერების დაცვა, რათა თარგმნისას შენარჩუნდეს დარგისათვის დამახასიათებელი საკომუნიკაციო ფარგლები და საგნობრივ-ფუნქციური სტანდარტები.

ლიტერატურა

1. Hoffmann L. Vom Fachwort zum Fachtext. Tuebingen: Narr. 1988.
2. საყვარელიძე. თარგმნის თეორიის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.

UDC 801.55

SPECIFICITY OF BRANCH COMMUNICATION**N. Gamkrelidze**

Department of liberal sciences, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is considered specificity of branch communication, branch language and symmetrical transfer of branch text.

Key words: branch communication; branch language; transfer of branch text; symmetrical social relations; complex of scientific paradigms; lexical system; level of branch lexic; decodetion of text; reconstruction of text.

УДК 801.55**СПЕЦИФИКА ОТРАСЛЕВОЙ КОММУНИКАЦИИ****Гамкрелидзе Н.О.**

Департамент либеральных наук, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: В статье рассматривается специфика отраслевой коммуникации, отраслевого языка и симметрического трансфера отраслевого текста.

Ключевые слова: отраслевая коммуникация; отраслевой язык; трансфер отраслевого текста; симметричные социальные отношения; комплекс научных парадигм; лексическая система; уровень отраслевой лексики; декодирование текста, реконструкция текста.

მიღებულია დასაბუქდად 27.11.13

უაგ 339.92**ფარმაცევტული საწარმოების ინოვაციური პოლიტიკის მარკეტინგი****ნ. ფაილოძე*, გ. სულაშვილი, ლ. გაჩაძე, მ. პაპიაშვილი**

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, გომილის 77

E-mail: n.pailodze@gtu.ge

რეზიუმე: მარკეტინგული პოლიტიკა ინოვაციური საქმიანობის დარგში მდგომარეობს ფარმაცევტული წარმოების ინოვაციური პროცესების: პროდუქცია, ტექნოლოგიების და მასალების მშენებელთა და ეფექტიან ურთიერთობაში. მარკეტინგის სპეციალური გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს პროდუქციის განაწილების

სტრატეგიის ჩამოყალიბებას, ფასების გაანგარიშებას, რეკლამისა და გაყიდვების დაგეგმვას, და არის სიახლეების შემუშავებისა და რეალიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი სტადია.

საკვანძო სიტყვები: ფარმაცევტული საწარმოები; მარკეტინგი; ფასების რეგულირება; ინოვაციური სტრატეგიები.

1. შესავალი

მარკეტინგის თანამედროვე თეორიები თრიენტირებულია არა-ფასტარმოქმნის მექანიზმები, არამედ ინოვაციურ მექანიზმები. საბაზო ეკონომიკის პირობებში საწარმოს სიცოცხლის უნარიანობის და წარმატებული ფუნქციონირების საწინდარია ახალი მმართველობითი ფილოსოფია, რომელიც წინა პლანზე აყენებს ბაზრის და მომხმარებლების მოთხოვნებზე თრიენტაციისა და ანალიზის აუცილებლობას, ბაზარზე იმ მოთხოვნილების გამოვლენას, რომლებიც შეთანხმებულია ორგანიზაციის მიზნებთან და შეიძლება დაგმაყოფილდეს არსებული მატერიალური, ტექნოლოგიური და სხვა რესურსების გათვალისწინებით; მომსახურების ან პროდუქტის შემუშავებას, რომლებიც გათვალისწინებულია მომხმარებლების გამოვლენილი მოთხოვნების დასაქმაყოფილებლად; გეგმის შემუშავებას და შესრულებას, რომელიც დაკავშირებულია საწარმოში ახალი პროდუქტის ათვისებასთან და მომხმარებლისათვის მის მიწოდებასთან; შედეგების ანალიზს და კორექტივების შეტანას დასახული მიზნების მიღწევის მიზნით.

2. ძირითადი ნაწილი

მარკეტინგული პროცესიკა ინოვაციური საქმიანობის დარგში მდგომარეობს ფარმაცევტული წარმოების ინოვაციური პროცესის შემდეგი შემადგენლობის მჭიდრო და ეფექტური ურთიერთობაში: პროდუქცია (ახალი სამკურნალო პრეპარატები, მაგალითად, ციტოსტატიკური პრეპარატები, სამშობიარო აქტივობის მასტიმულირებელი საშუალებები); ტექნოლოგიები (მაგალითად, ლიპოსომური ან ფერმენტული პრეპარატების მიღების, პარენტალურად მისაღები ემულსიების შექმნის ტექნოლოგიები); მასალები (მაგალითად, სუბსტანციები რეცეპტურული ან ურეცეპტო ჯენერიკების წარმოებისათვის).

მარკეტინგის ფუნქციებში ასევე შედის პროდუქციის გაყიდვების დინამიკის ანალიზი, რათა გამოვლინდეს მდგრადობის ზღვრის ეტაპი და აცილებულ იქნებს ვარდნის პერიოდის ეტაპი პროდუქციის სასიცოცხლო ციკლში (წარმოების მოცულობის თანდაოანობითი შემცირება, ახალი პრეპარატების ათვისება).

ინოვაციური პრეპარატების შემუშავება და წარმოება - უპირატესად ძლიერი, ფინანსურად მდგრადი კომპანიების საქმიანობა ეფუძნება შემდეგ სტრატეგიებს:

ინოვაციების სტრატეგია, რომელიც მიმართულია ახალი პრეპარატების შემუშავებაზე;

გასაღების სტრატეგია, რომლის დახმარებით კომპანია ცდილობს გასაღების მექანიზმებში და არხებში ინვესტირების გზით გაზარდოს რეალზაციის მოცულობა;

სტრატეგია, რომელიც მიმართულია ტექნოლოგიური პროცესების მოდერნიზაციაზე, ახალი მოწყობილობების ათვისებაზე და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე.

წარმოების სტრატეგიის მიზანია არა მარტო პროდუქციის მოცულობის ზრდა, არამედ გამოსაშების პროდუქციის საბაზო წილის გაფართოება: ტრადიციული პროდუქციით ახალ ბაზებზე გასვლა, ახალი პროდუქციით არსებულ ბაზარზე და ახალ ბაზრებზე გასვლა.

არსებული პროდუქციით ახალ ბაზრებზე გასვლა მოითხოვს საწარმო მოცულობის გაფართოებას, თუმცა შეიძლება შეიქმნას დამატებითი სიმებულები, რადგან ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხისა და მახასიათებლების მიმართ მოთხოვნების დონე სხვადასხვა მომხმარებელს განსხვავდებულია აქვს, რაც თავისთვავად იწვევს ხარჯების გაზრდას.

არსებულ ბაზარზე ახალი პროდუქციის გამოჩენა იმ პირობებში, რომ ახალი არსებული მოცულობით შეცვლის ძველს ახდენს მინიმალურ ზეგავლენას საწარმო სისტემაზე. თუ ახალი პროდუქცია გამოდის ძველთან ერთად, - წარმოიქმნება წარმოების მოცულობის გაზრდის აუცილებლობა მოწყობილობების უფრო ინტენსიურად გამოყენების შევების ან ახალი საწარმო სიმძლავრეების ხარჯზე.

ახალი პროდუქციით ახალ ბაზრებზე გასვლის შემთხვევაში, საჭიროა იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც დამახასიათებელია ზემოაღნიშებული საქმიანობის სამზადაობის შეტანაზე.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნება ურთიერთკავშირი თვით წარმოების, შემუშავების და მარკეტინგის პროცესებს შორის. ცხადია, რომ მხოლოდ პროდუქციის რეალური მოთხოვნილება შეძლებს მისი კომერციული წარმატების უზრუნველყოფას. მარკეტინგი თავის ბუნებით, უნდა იყოს ინოვაციური, რათა უზრუნველყოს მომსახურებისა და პროდუქციის სწრაფი ადაპტაცია დინამიკურად ცვალებად საბაზო მოთხოვნებთან.

კონკურენტული ბაზარი პირველ ადგილზე აუკენებს ახალი და უახლესი პროდუქციის შექმნის საკითხებს, რადგან ზუსტად კონკურენტუნარიანი საწარმო პროგრამა არის საბაზო პირობებში საწარმოს კომერციული წარმატების და გადარჩენის სავალდებულო წინაპირობა. მრრიგად, კონკურენცია - ეკონომიკური და სამუცნიერო-ტექნიკური პროგრესის თვითრეალიზაციის არხია.

კონკურენცია მჟღავნდება საწარმოს მისწრავებაში გავიდეს ბაზარზე ახალი ან პირნციპულად ახალი პროდუქტით, რომლის ანალოგები არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში, კომპანია რადაც პერიოდით ხდება მონოპოლისტი, აქედან გამოდინარე ჰქოლა უპირატესობით. მაგრამ საბაზო

ურთიერთობებში ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ შენარჩუნდება, რადგან საწარმოს მოგების მაღალი ნორმა მაღვევე იზიდავს ამ სფეროში სხვა მწარმოებლებს, რომლებიც ითვისებენ ამ პროდუქტს. კონკურენციის შედეგად დგება წონას-წორობა და მოწინავე საწარმოს მოგების ნორმა მცირდება კონკურენტების მაჩვენებლების დონეში. ასეთი კონკურენცია აუცილებელია რეალური ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის.

ფარმაცევტულ მრეწველობაში, ახალი სამკურნალო საშუალებების წარმოებასთან დაკავშირდებული სამეცნიერო მიღწევების მოცულობა და მიმართულება განისაზღვრება ორი ძირითადი ფაქტორით: პროდუქციის მომხმარებლების მოთხოვნებით და წარმოების შესაძლებლობებით. შესაძლებლობების ანალიზი განისაკუთრებით საჭიროა სამეცნიერო კვლევითი სტადიის დასაღვუნად და სახსრების კონცენტრაციით ყოველი კონკრეტული სტადიისათვის. ამიტომ, ინოვაციური საქმიანობის მარკეტინგის მნიშვნელოვანი ეტაპია პრეპარატების სასიცოცხლო ციკლის პერსპექტივული ანალიზი. მისი ამოცანაა – განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების მოცულობის განისაზღვრა, რათა პერსპექტივაში განხორციელდეს ძველი პრეპარატების ახლით ჩანაცვლება. ამ მიზნით რეკომენდებულია დროის შერჩევითი თითოეული პერიოდისთვის განისაზღვროს წარმოებიდან მოსახსნელი პროდუქციის მოცულობა და ასორტიმენტი და კვლევების საშუალო ხანგრძლივობის გათვალისწინებით ისე განისაზღვროს მათი მოცულობა, რომ პერსპექტივაში მივიღოთ უკუგება ახალი პრეპარატების სახით, რომლებიც აანაზღაურებენ დანაკარგებს.

საწარმოებში არსებული სახსრების მოცულობა ყოველთვის შეზღუდულია და ის აუცილებლად უნდა გადანაწილდეს იმ დარგებს შორის, სადაც ეს სახსრები მოგვცემენ სწრაფ უკუგების. მაგალითად, რეკლამა და იქ, სადაც საჭიროა გრძელვადიანი ამოცანების გადაწყვეტა, ისე როგორც ეს ხორციელდება სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების შესრულების დროს.

სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე სახსრების გამოყოფა უნდა განიხილავბოლებს, როგორც სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება უმაღლესი ხელმძღვანელობის გამჭრიახობას და ბიუჯეტის წინასწარი ჩამოყალიბების შედეგებს.

მეთოდები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიზნებისთვის უცხოურ ძალების ყოველწლიურ ბიუჯეტში¹ წარმოდგენილია ცხრილში.

¹ Global status report on non-communicable diseases.
WHO (2010)

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩამოყალიბების მეთოდები

| მეთოდის დასახელება | დახასიათება |
|----------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ფირმათაშორისი შედარებები | კონკურენტების მოქმედებების ანალიზის დროს შეიძლება გამოვალინოთ შევასებითი მაჩვენებლები, რათა განგ-საზღვროთ საკუთარი დანახარჯები, რომლებიც აუცილებელია წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის; |
| ბრუნვის ჯამთან მუდმივი შეფარდების მეთოდი | მეთოდის გამოყენება იძლევა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გამოყოფილი სახსრების დასაბუთებული სტანდურობის გარანტიას; |
| მოგებასთან მუდმივი შეფარდების მეთოდი | სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების ბიუჯეტის დაკავშირება მოგებასთან არასასურველია, რადგან ეს მაჩვენებელი გულისხმობს, რომ სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს უნდა აწარმოებდნენ მხოლოდ მსხვილი ფინანსურად მდგრადი კომპანიები; |
| დაგებმვის მეთოდი „ბაზიდან“ | საფუძვლად უდევს წინა პერიოდში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწევდი დანახარჯების ოდენობას დამატებული ინფლაციის დაუფარაზე, წარმოების გაფართოებაზე, ახალი დანადგარების შექმნაზე და ა.შ. გაწევდი დანახარჯები; |
| შეთანხმებულ პროგრამაზე დანახარჯების გაანგარიშების მეთოდი | მეთოდი მდგომარეობს პროგრამის ფარგლებში ცალკეული სამუშაოებზე დანახარჯების შეჯამებაში. ამ მეთოდის გამოყენება გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხელმძღვანელების მოთხოვნების ფირმის შესაძლებლობებთან შეთანხმების აუცილებლობას. |

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების გეგმა დამოკიდებულია ახალ პროდუქტებზე ან პროცესებზე, რომლებიც შესაბამისად იქმნება სამეცნიერო-კვლევით ქვედანაყოფებში. შედეგად, შერჩეული პროექტები განისაზღვრავს თუ რომელი სიახლეებია მოსალოდნელი უასლოეს პერიოდში და ამრიგად განისაზღვრება რომელი სტრატეგია იქნება გამოყენებული წარმოების მიერ.

სამეცნიერო კვლევების ეტაპზე, კომპანია წინადაღებებითა და რეკომენდაციებით გამოხატავს იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც ყალიბდება როგორც კვლა ფუნქციური ქვედანაყოფის მონაწილეების ურთიერთქმედების შედეგი.

ახალი იდეების ჩამოყალიბების კანონზომიერების შესწავლა გვიჩვენებს, რომ თითოეული ახლად წარმოშობილი იდეა შეიძლება იყოს ახალი მოთხოვნის, შესაძლებლობის ან პრობლემის გამოვლენის შედეგი; ასევე შედეგი საშუალებების ან ხერხების გამოვლენისა, რომელთა მეშვეობით შეიძლება დაქმაყოფილებული იყოს ადრე დასახული პრობლემა.

3. დასკვნა

ორიენტაცია მარკეტინგზე ხელს უწყობს მისი ურთიერთკავშირის გაძლიერებას სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ქვედანაყოფებთან და საწარმოებთან. სხვადასხვა სამსახურის კოორდინირების ძირითადი ინსტრუმენტია, რომელიც იდებს მონაწილეობას ინოვაციების დანერგვაში,

არის ახალი პრეარატის შექმნისა და წარმოების ეტაპების მართვის ყოველწლიური გეგმა. ასეთი გეგმის გამოყენება იძლევა საწარმოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის რეალიზების საშუალებას საბაზო პირობებში ფუნქციონირების თავისებურებების გათვალისწინებით.

ლიტერატურა

1. კანონი ”ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”.
2. ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015წწ სახელმწიფო სტრატეგია,
http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=185
3. Global status report on non-communicable diseases. WHO (2010).
4. ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა.
<http://ehealth.moh.gov.ge/Hmis/Portal/Default.aspx>
5. Komsa International (2011) Investment Guide.

UDC 339.92

MARKETING IN INNOVATIVE POLICY OF THE PHARMACEUTICAL ENTERPRISES

N.Pailodze, G. Sulashvili, L. Vachadze, M. Papiashvili

Department of business administration, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: The marketing policy in the field of innovative activity consists in close and effective interaction between the following components of innovative process in pharmaceutical industry: goods, technologies and materials. Development of the special plan of the marketing including formation of strategy of distribution of production, calculation of the prices, planning of advertising and sales, is the most important stage of development and realization of innovations.

Key words: pharmaceutical enterprises; marketing; price regulation; innovative strategy.

УДК 339.92

МАРКЕТИНГ В ИННОВАЦИОННОЙ ПОЛИТИКЕ ФАРМАЦЕВТИЧЕСКИХ ПРЕДПРИЯТИЙ

Паилодзе Н.Р., Сулашвили Г.В., Вачадзе Л.Ю., Папиашвили М.С.

Департамент администрирования бизнеса, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Маркетинговая политика в области инновационной деятельности заключается в тесном и эффективном взаимодействии между следующими составляющими инновационного процесса в фармацевтической промышленности: товары, технологии и материалы. Разработка специального плана маркетинга, включающего в себя формирование стратегии распределения продукции, расчет цен, планирование рекламы и продаж, является наиболее важной стадией разработки и реализации нововведений.

Ключевые слова: фармацевтические предприятия; маркетинг; регулирование цен; инновационные стратегии.

მიღებულია დასაბუქრად 27.11.13

შპ 6813

დიალიგის მართვა ცოდნაზე დაფუძნებულ სისტემები

რ. ქუთათელაძე*, ა. კობიაშვილი, ქ. ქუთათელაძე

ბიზნესის აღმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,
0175, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: r.kuteladze@gtu.ge

რეზიუმე: წარმოდგენილია კომპიუტერთან დიალიგის აღწერისადმი იმ მიღებების მოკლე მიმოხილვა, რომლებიც აუმჯობესებს კომუნიკაციას მომხმარებელსა და ცოდნაზე დაფუძნებულ სისტემებს შორის. შემოთავაზებულია მიღომა, რომელიც აუმჯობესებს ადამიანური კომუნიკაციის კონვენციების მიღწევას. განხილულია კომპიუტერიული ყოფაქცევის ის ფორმები, რომლებიც ასახავს ამ კონვენციებს. გაანალიზებულია საჭირო ცოდნის იდენტიფიკაციის გზები. ილუსტრირებულია მოსაუბრისა და მსმენელის წესების მაგალითები.

საკანძო სიტყვები: ცოდნაზე დაფუძნებული სისტემები; დიალიგის მართვა; კომუნიკაცია; ექსპერტული სისტემა.

1. შესავალი

თანამედროვე პროგრამული სისტემები, როგორც წესი, იყენებენ მარტივი დიალიგის წარმოების ხერხებს, რომლებიც ფორმულირდება პროგრამული სისტემის არქიტექტურაზე და მომხმარებლისათვის მოსახურებელ მოდელზე. დიალიგის კონტექსტი ჩვეულებრივ ლაპონური და ლიმიტირებულია, რომელიც გენერირდება სპეციალური პროგრამული საშუალებების, ბრაუზერებისა და შეცდომების შესახებ შეტყობინებების საშუალებით. ასეთი სისტემების უმეტესობა მორგებულია კომპიუტერის პროფესიონალებზე ან კომპიუტერის ხშირ მომხმარებლებზე. არაპროფესიონალებისა და კომპიუტერის არასამარტინი დიალიგის მართვის სისტემების მიერ შემოთავაზებული შეზღუდული საკომუნიკაციო საშუალებები სრულიად მიუღებელია.

იმისათვის, რომ მეტა მომხმარებელმა მიიღოს წვდომა როგორც ტრადიციული, ისე ცოდნაზე დაფუძნებული სისტემებისადმი, საჭიროა პროგრამულ საშუალებებთან კომუნიკაციის ფორმების მაქსიმალურად მიახლოება ადამიანურ კომუნიკაციასთან.

2. ძირითადი ნაწილი

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების განვითარებამ და მისმა პოტენციალმა ადამიანის შესაძლებლობების ათვისების სფეროში გააფართოვა არა მარტო კომპიუტერული სისტემების ფუნქციები, არამედ უფრო მოქნილი გახადა ადამიანისა და სისტემის ურთიერთობაშრომლობის არხებიც. ახლა უკვე შესაძლებელია ბუნებრივი თანამშრომდური ინტერაქციის უზრუნველყოფა, რომელიც გამოიყენებს ცოდნის სხვადასხვა წყაროს და ადამიანებს შორის კომუნიკაციის მსგავს სტრატეგიას.

ადამიანური დიალიგი გულისხმობს წინადაღების სემანტიკის ანალიზს. სისტემის ბუნების სპეციფიკიდან გამომდინარე ასევე საჭიროა პრობლემათა კლასის განსაზღვრა ამ პრობლემების დასაშენები დიაპაზონის ლიმიტირებით.

დიალიგის სტრუქტურა განისაზღვრება დიალიგის ჟანრით [1]. ძირითადად განიხილება სამი ჟანრის დიალიგი: თხრობითი, აღწერითი და იუმორისტული [2]. თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი სტრუქტურა და მოთხოვნები. მაგალითად, თხრობითი ჟანრის დიალიგი, როგორც წესი, შეიცავს მოსათხრობი ამბის რეზიუმეს, გარკვეულ საორიენტაციო ინფორმაციას (სად ხდება მოქმედება, როდის ხდება მოქმედება და სხვა), თვით მოთხოვნას, დასკვნას და მოთხოვნის შეფასებას. ასეთი ტიპის დიალიგის წარმოებისათვის არსებითია არა მარტო სტრუქტურის კომპოზიცია, არამედ ისიც, როდის და როგორ გამოიყენება ეს სტრუქტურები.

გარდა დიალიგის აგებისადმი ჟანრობრივი მიღომისა, არსებობს ეთნომეთოდოლოგიური და ლინგვისტიკური მიღომებიც [3]. ეთნომეთოდოლოგიური მიღომა ადგენს დიალიგის წარმართვის წესებს, როგორც სოციალური ინტერაქციის უზრუნველყოფის წესებს დიალიგის მონაწილეებს შორის. საკანძო კონცეფცია ისაა, რომ მომიჯნავე წევილებს შორის დიალიგის წარმოება გაცილებით მარტივია. მაგალითად, მისაღმებები, კითხვა-პასუხის წევილები. ეთნომეთოდოლოგიური

ანალიზის ხერხები ეფექტურია ექსპერტული სისტემის კონსულტაციების მართვისათვის.

ლინგვისტური მიდგომა ორ ნაწილად იყოფა: ღრმა სტრუქტურული ანალიზი და კოპესიური საშუალებები. პირველი ახდენს სტრუქტურის იდენტიფიკაციას დიალოგში მონაწილე ობიექტებს შორის და ამ ინფორმაციას იყენებს ლინგვისტიკური ცნებების ინტერპრეტაციისათვის; მეორე მიდგომა იყენებს ხუთ ძირითად საშუალებას კოპესიური დიალოგის აგებისათვის: დამოწმება, ჩანაცვლება, კაგშირი, სიტყვის ამოგდება და ლექსიკური კოპესია. დამოწმება გულისხმობს ნაცვალსახელებისა და განსაზღვრული არტიკლების გამოყენებას, სიტყვის გამოტოვება ხდება მაშინ, როცა კონტექსტიდან ნათელია მისი მნიშვნელობა, ხოლო ლექსიკური კოპესია იყენებს სიტყვების მნიშვნელობებს შორის ურთიერთდამოკიდებულებებს.

ლინგვისტური მიდგომის თავისებურებაა სტრუქტურის ანალიზე ფოკუსირება. დიალოგის გენერირება ხდება განზრახვათა მიმდევრობის საშუალებით, რაც ეფუძნება ოსტინის მეტყველების წარმართვის თეორიას [3]. კომუნიკაცია განიხილება როგორც კომუნიკაციის განზრახვა.

მოსაუბრის მიზნის (განზრახვის) იდენტიფიკაცია არის ძირითადი ფაქტორი ნათქვამის მნიშვნელობის გაგებისათვის.

ამ მიდგომაში ძირითადმა აქცენტმა გადაინაცვლა წინადადებიდან მიზანზე ანუ მნიშვნელოვანია არა იმის ცოდნა, თუ რა ითქვა, არამედ ეფექტური კომუნიკაციისათვის უფრო მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რატომ ითქვა. მოსაუბრის განზრახვის გაძლიერება შესაძლებელია დაპირების, მოთხოვნის და სხვა მსგავსი ემოციური დატვირთვის მქონე ფრაზების დამატებით.

დიალოგის ანალიზის კლასიკური მაგალითია შექსპირის ოტელოს სიტყვები: „მოდი, დეზდემონა“. ოტელოს სურვილია დეზდემონა გაჟყვეს მას.

განზრახვის ამოცნობა უაღრესად მნიშვნელოვანია ეფექტური კომუნიკაციისათვის. წარმატებული დიალოგის ასაგებად საჭიროა ისეთი ტიპის კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორიცაა: როგორ შეირჩევა მეტყველების სტრუქტურები განზრახვის გამოსახატავად? რა ტიპისაა ეს შეზღუდვები: სოციალური, სიტუაციური, პიროვნული? ამ კითხვებზე პასუხები შეიძლება ნაპოვნი იყოს კიდევ სხვა მიდგომების კონცეფციებში, ეს მიდგომებია: ორმხრივი ცოდნა და ლინგვისტური კონცეფცია. მეტყველების წარმართვის თეორიის მარცხმა იმის ადეკვატურად ახსნის მცდელობაში, თუ მოსაუბრის განზრახვა როგორ აღიქმება მსმენელის

მიერ, განაპირობა წრიული ანალიზის შექმნა. შემოთავაზებული იყო ორმხრივი ცოდნა, როგორც მოვლენის ამოცნობის გასაღები.

განვიხილოთ ისევ იგივე სიტუაცია, როცა დეზდემონა უცხოპლანეტები პოლიგლოტია, და მისთვის „მოდი“ ნიშნავს „დარჩი“, ორმხრივი ცოდნის გარეშე ის აღმოჩნდება პრობლემის წინაშე. ამჯერად ოტელოს განზრახვა ადარ ჩანს ისეთი ცხადი, როგორიც ეს თავდაპირველ ინტერპრეტაციაში იყო. ეს მაგალითი არა მარტო გვიჩვენებს ორმხრივი ცოდნის საჭიროებას, არამედ იმასაც, რომ ორმხრივ ცოდნას უნდა გააჩნდეს ამსხნები მექანიზმი მოსაუბრის განზრახვის გასაგებად. ყოველდღიურ კომუნიკაციაში ადამიანები იყენებენ ვარაუდებს ერთმანეთის ცოდნის შესახებ. ეს ვარაუდები ძირითადად ეხება პერსონალურ, სიტუაციურ, სოციალურ და ლინგვისტურ ცოდნას. აქედან ბოლო სამს უწოდებენ კონვენციებს. კონვენციები საკმარის ბუნდოვანი და დამაბნეველია. ისინი მიმართავენ ცოდნას, რომელიც საჭიროა ახდენდეს განზრახვის ინტერპრეტაციას ზედაპირული მახასიათებლებიდან ნათქვამის მისაღებად. ეს საკმარის რთული საკითხია და ამ მიმართულებით კვლევები დიდი ხანია მიმდინარეობს.

პრაგმატული კონვენციის ეფექტურობის გაზრდის მიზნით გამოიყენება სასაუბრო იმპლიკატები. განსხვავებით კონვენციური იმპლიკატებისა, რომლებიც გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობას იყენებს, სასაგებრო იმპლიკატები იყენებს იმ იდეას, რომელსაც მოსაუბრება გულისხმობს ან ვარაუდობს. ასეთი იმპლიკაცია გასაგებია მსმენელისთვის, რადგანაც ის იყენებს ორმხრივ ცოდნას, რომელსაც მოსაუბრები თან დაურთავენ ურთიერთობას პრინციპის და დაუმორჩილებენ მის მაქსიმებს: ხარისხი, რაოდენობა, მიმართება და მანერა. ხარისხში იგულისხმება ითქვას მხოლოდ სიმართლე, არ ითქვას ის, რაც მოსაუბრეს შეცდომად მიაჩნია, და ასევე არ ითქვას ის, რასაც არ ახლავს ადეკვატური ნივთმტკიცებები ანუ რაშიც მოსაუბრე არაა დარწმუნებული.

რაოდენობაში იგულისხმება ის, რომ მოსაუბრის ნათქვამი უნდა იყოს მაქსიმალურად ინფორმაციული, ამასთან, ეს ნათქვამი არ უნდა იყოს იმაზე მეტად ინფორმაციული, ვიდრე საჭიროა მიმდინარე მიზნების მისაღწევად.

ნაკლებად ფორმალურად თუ ვიტყვით, ოთხი მაქსიმა შემდეგში მდგომარეობს: იყავი სასარგებლო; ნუ ილაუბებ; ისაუბრე მხოლოდ მოცემულ თემაზე და ისაუბრე გასაგებად.

ბოლო მიღვომა, რომლის განხილვაც სასურველია მოცემულ მიმოხილვაში, არის პროგრამირებული მეტაფორა. ამ მიღვომის საფუძველია შეხედულება, რომლის თანახმადაც დიალოგი არის საშუალება, ადამიანებმა ერთმანეთს გაუცვალონ მენტალური მდგომარეობა კულტურული და ლინგვისტური კონკრეტიულის მეშვეობით. მენტალური მდგომარეობა მოიცავს ჩვენს საკუთარ რწმენას და მიზნებს, და ასევე ჩვენს საკუთარ შეხედულებებს სხვა ადამიანების რწმენისა და მიზნების შესახებ. ეს ყველაფერი ყალიბდება წინადადებების ნაკრების სახით ფორმალურ ენაში და დროთა განმავლობაში იცვლება მოვლენათა მიმდევრობის შესაბამისად. ტერმინი „რწმენა“ გამოყენებულია ცოდნის მნიშვნელობით. ოღონდ ეს ცოდნა სუბიექტურია, განხილვებით ტერმინისაგან „ცოდნა“, რომელშიც აბსოლუტური ჭეშმარიტება იგულისხმება.

დიალოგის თეორია აღიწერება აქსიომების საშუალებით, რომელიც განიხილავს დიალოგის მონაწილეთა რწმენას, მიზნებსა და მოქმედებებს, და მასში დიალოგები აღიწერება მენტალური მდგომარეობის მიმდევრობით, მსგავსად კომპიუტერული პროგრამებისა, რომლებიც აღიწერება როგორც „გამოთვლების მდგომარეობის“ მიმდევრობა.

კველა ეს მიღვომა გარევეული ფორმით არის განხორციელებული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო დიალოგებში ანუ დიალოგებში მონაცემთა ბაზასა და მის მომხმარებლებს შორის, ან ექსპერტებსა და მათ კლიენტებს შორის. ამიტომ, ძალიან აქტუალურია საკომუნიკაციო საშუალებების გაუმჯობესება ექსპერტულსა და მონაცემთა ბაზების სისტემებში პრობლემათა გადაწყვეტის ამოცანების გამარტივების მიზნით. გაუმჯობესება გულისხმობს ადამიანებს შორის და ალოგის კონკრეტიულის გამოყენებას. ამისათვის საჭიროა მოხდეს დიალოგის სტრუქტურის, როგორც კოოპერაციული თანამშრომლობის იდენტიფიკაცია და შესაბამისი პროგრამული ხერხების შემდგომი განვითარება.

კოოპერაციული კომუნიკაციის ორი ძირითადი მიზანია ამოცანებით მართული კოოპერაცია (ამპ) და ცოდნით მართული კოოპერაცია (ცმპ). პირველის დანიშნულებაა პრობლემის გადაწყვეტის გზების უფასებრად წარმოდგენის გამარტივება, ხოლო მეორისა – დიალოგის მონაწილეებს შორის ორმხრივი გაგების ხელშეწყობა, რაც არსებითია ეფექტური კომუნიკაციისათვის.

ამპ უფასება მომხმარებლის მიზნებისა და ცოდნის დომენის იდენტიფიკაციას, ხოლო ცმპ

საჭიროებს კოოპერაციული კომუნიკაციის წესების ზოგად ცოდნას.

კოოპერაციული დიალოგის კატეგორიებია: პერიფრაზი, ტერმინოლოგია, დახვეწის ტექნოლოგია, შეცდომების გასწორება. პერიფრაზირების ეფექტურობა ნათელია ხელოვნურად გამოწვეულ სიტუაციებში, როგორიცაა, მაგალითად, მონაცემთა ბაზაში მოთხოვნების სპეციფიკაცია ენა SQL-ის საშუალებით. ასეთ შემთხვევებში აშკარად მნიშვნელოვანია ის, რომ მსმენელს დეტალები კორექტულად მიეწოდოს. პერიფრაზები აიგება იმის სადემონსტრაციოდ, თუ მონაცემთა ბაზის მოთხოვნა როგორაა ინტერპრეტირებული ბუნებრივი ენიდან. არაკორექტულმა ინტერპრეტაციამ შეიძლება გამოიწვიოს ბუნდოვანება მოთხოვნებში.

ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს ორგვარად: პირველი, პერიფრაზები ეფუძნება ბუნებრივი ენის სინტაქსურ ანალიზს მონაცემთა ბაზის მოთხოვნისათვის, რაც შესაძლებელს ხდის მოთხოვნიდან მივიღოთ სათანადო ვარაუდები, ძირითადი წინადადებები და მათი მოდიფიკატორები. მაგალითად, შემდეგ შეკითხვაზე

„Which managers in the knowledge based programming department do manage projects with an interest in dialogue?“

გენერირებული შეიძლება იყოს შემდეგი პერიფრაზი:

„Assuming there are projects with an interest in dialogue: which managers manage these projects: searching only those managers in the knowledge based programming department.“

მეორე მიღვომა იყენებს ინფორმაციას მოთხოვნის ინტერპრეტაციის შესახებ. პერიფრაზები აიგება მოთხოვნის SQL ფორმიდან მიღებული სინტაქსური სტრუქტურის საფუძველზე.


გაუგებარია, რამდენად სასარგებლო აღმოჩნდება მომხმარებლის მიერ შეგანილი წინადადებების პერიფრაზირება მონაცემთა ბაზების მოთხოვნების შემოწმების გარეშე, რადგანაც ასეთი ტიპის უპაკაგშირის არარსებობის ეფექტი ჯერ არა შესწავლილი.

ტერმინოლოგიის დახვეწისადმი არსებობს ორი მიღება: პირველია სისტემის რეფორმირება სისტემის წარმოდგენის შეცვლის უფლების მონიჭების გზით მომხმარებლისადმი, მეორე კი – მომხმარებლის რეფორმირება მისთვის სისტემის წარმოდგენის მიწოდებით, რათა მომხმარებელი მოერგოს მას.

ორმხრივი გაგების უზრუნველსაყოფად დიალოგის მონაწილეებს შორის მნიშვნელოვანია

მათ შორის არსებული შეუთანხმებლობის დაძლევა, ე. ი. უნდა მოხდეს იმ მსარის იდენტიფიკაცია, რომელიც გაუგებრობის წეროა. ამის დადგენა უნდა მოხდეს დიალოგის მონაწილეებს შორის განსხვავებულ წარმოდგენაზე დაყრდნობით. ჯერ ხდება გაუგებრობის აღმოჩენა და შემდგა მისი კორექტორება ექსპერტიზის ჩატარების შედეგად.

დიალოგის ყოველი გამონათქვამები ჩვეულებრივ ეფუძნება ფაქტების ორ კატეგორიას: ინფორმაციის მიმღების შესახებ და სამყაროს შესახებ. 1-ელ ნახ-ზე ნაჩვენებია დიალოგის ორი მონაწილის – მოსაუბრისა და მსმენელის ცოდნის მარტივი მოდელი.



ნახ.1. დიალოგის ორი მონაწილის ცოდნის მარტივი მოდელი

აქ ეს მარტივი მოდელი მოყვანილია არა იმიტომ, რომ ის რაიმეს ზუსტი აღწერაა, არამედ იმიტომ, რომ ის გვიჩვენებს ორმხრივი წარმოდგენისა და შემდგომი ახსნა-განმარტებების იდეას. ბუნებრივი საუბრისას დიალოგის მონაწილეთა კოლექტიური ცოდნა იქნება მიღებული, შესწორებული, დამტკიცებული, ამოღებული მეხსიერებიდან და გაანალიზებული. დიალოგის საკომუნიკაციო ამოცანებიდან ერთ-ერთი უმთავრესია ცოდნის წყაროს ისეთ მდგომარეობაში შენარჩუნება, რომ მომსახურების თვალსაზრისის ზუსტად შენარჩუნება იყოს გარანტირებული.

კოოპერაციაში მყოფი მოსაუბრის წესების მაგალითებია:

1. თუ მიგაჩნიათ, რომ A ვარაუდი მცდარია, მაშინ არ გამოიყენოთ ის;
2. თუ მიგაჩნიათ, რომ A ვარაუდი თითქმის მთლიანად ჰქონდა მიზარიტია, მაშინ A დატოვეთ უპირობოდ და აღარ შეასრულოთ მეტი მოქმედებები;
3. თუ მიგაჩნიათ, რომ A ვარაუდი შესაძლოა მცდარი იყოს და ეს არაა მნიშვნელოვანი კომუნიკაციის მიზნისათვის, მაშინ დატოვეთ A უპირობოდ და აღარ შეასრულოთ მეტი მოქმედება;
4. თუ მიგაჩნიათ, რომ A ვარაუდი შესაძლოა მცდარი იყოს იმის გამო, რომ არსებობს K ცოდნის ნაკლებობა და მიგაჩნიათ, რომ მსმენელს გააჩნია K ცოდნა, მაშინ დატოვეთ

A უპირობოდ და თუ მსმენელი არ შეასწორებს მას, ჩათვალეთ, რომ A ჰქონდა მარტივია;

5. თუ მიგაჩნიათ, რომ A ვარაუდი შესაძლოა მცდარი იყოს რაიმე K ცოდნის გამო, მაშინ A ჩათვალეთ ნამდვილ მნიშვნელობად. მსმენელის წესების მაგალითებია:

1. თუ აღმოაჩენთ A ვარაუდს, რომელიც მცდარად მიგაჩნიათ რაიმე K ცოდნის გამო და A არაა ჩათვლილი ნამდვილ მნიშვნელობად მოსაუბრის მიერ და A-ს სიმცდარე არაა მნიშვნელოვანი კომუნიკაციის მიზნის მისაღწევად მაშინ იგნორირება გაუკეთეთ მას;
2. თუ აღმოაჩენთ A ვარაუდს, რომელიც შეცდომად მიგაჩნიათ რაიმე K ცოდნის გამო და A არაა ჩათვლილი ნამდვილ მნიშვნელობად მოსაუბრეს ეს ცოდნა;
3. თუ აღმოაჩენთ A ვარაუდს, რომელიც მიგაჩნიათ, რომ შეიძლება იყოს მცდარი რაიმე K ცოდნის გამო და A არაა ჩათვლილი მოსაუბრის ნამდვილ მნიშვნელობად, მაშინ შეატყობინეთ მოსაუბრეს ეს ცოდნა;
4. თუ აღმოაჩენთ A ვარაუდს რომელიც მიგაჩნიათ, რომ შესაძლოა იყოს მცდარი რაიმე K ცოდნის გამო და A არაა ჩათვლილი ნამდვილ მნიშვნელობად მოსაუბრის მიერ, მაშინ იგნორირება გაუკეთეთ მას;

5. თუ აღმოაჩენთ A ვარაუდს, რომელიც მოგახნიათ, რომ შესაძლოა იყოს მცდარი ნათქვამში ნამდვილ მნიშვნელობაზე მომართვის გამო და არ ვაგახნიათ K ცოდნა, რომელსაც გამონათქვამი გულისხმობს, მაშინ მოითხოვეთ ცოდნის მოწოდება.

3. დასკვნა

კოოპერაციული დიალოგის მართვის კვლევა მას შემდეგ დაიწყო, რაც პირველი ექსპერტული სისტემები შეიქმნა, და ამ მხრივ მრავალი მიღწევა უკვე არსებობს. მიუხედავად ამისა, კომუნიკაციის უკვე არსებულ საშუალებებს არ ვააჩნიათ ის მოქნილობა, რასაც ნატურალური ენა გვთავაზობს. ამიტომ, ბუნებრივ ენასთან მაქსიმალურად მიახლოებული კომპიუტერული კომუნიკაცია დღვესაც აქტუალურ პრობლემად რჩება.

კოოპერაციული კომუნიკაციის ორი ძირითადი მიზნიდან ნაშრომში განხილულია ამოცანებით მართული კოოპერაცია და მისი ძირითადი კატეგორიები, რომელთა მიზანია დიალოგისთვის მეტი მოქნილობისა და ეფექტურობის მინიჭება.

ლიტერატურა

1. J. Allen, P. Perrault. Analyzing Intention in Utterances. Artificial Intelligence, 15, N.J., 1990, pp. 143-178.
2. H. Clark, C. Marshall. Define Reference and Mutual Knowledge. Cambridge University Press, U.K., 2004, pp. 189-192.
3. R. Davis. Diagnostic Reasoning Based on Structure and Behaviour. Artificial Intelligence, 24, N.J., 1997, pp. 67-75.

UDC 681.3

DIALOGUE MANAGEMENT IN KNOWLEDGE BASED SYSTEMS

R. Kutatladze, A. Kobiashvili, K. Kutatladze

Department of business administration, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is represented a brief survey of approaches to describing dialogues with computers, which are relevant to improve communication between users and knowledge based systems. There is offered an approach to improve achieving human communication conventions. Forms of co-operative behaviour, which reflect these conventions are considered. The ways of identification the required knowledge are analyzed. The examples rules of speaker and hearer are illustrated.

Key words: knowledge; based systems; dialogue management; communication; expert system.

УДК 681.3

УПРАВЛЕНИЕ ДИАЛОГОМ В СИСТЕМАХ, ОСНОВАННЫХ НА ЗНАНИЯХ

Кутателадзе Р.Г., Кобиашвили А.А., Кутателадзе К.Г.

Департамент администрирования бизнеса, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Представлено краткое обозрение тех способов описания диалога с компьютером, которые улучшают коммуникацию между пользователем и системами, основанными на знаниях. Предложен подход, который улучшает достижение конвенций человеческой коммуникации. Рассмотрены те формы кооперационного поведения, которые отражают эти конвенции. Анализируются пути идентификации нужных знаний. Проиллюстрированы примеры правил говорящего и слушателя.

Ключевые слова: системы, основанные на знаниях; управление диалогом; коммуникация; экспертная система.

მიღებულია დასაბუქდად 20.12.13

06 ფორმატიკისა და მართვის სისტემების სექცია

შაპ 336.71

ელექტრონული ანბარიშსტორების კლასიფიკაცია, სისტემების მონაწილები,
ანალიზები, მექანიზმები, კონფიდენციალურობა და მოთხოვნები

ლ. გოჩიტაშვილი*, მ. ქარსელაძე**

ეპონომიკური ინფორმაციული (ინფორმაციული სისტემების) დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: laligochitashvili@yahoo.com, taboreli@mail.ru

რეზიუმე: დღესდღობით მთელ რიგ წამყვან
ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების
დამყარება შესაძლებელია განხორციელდეს რო-
გორც ნაღდი ფულით, ასევე უნაღდო ანგარიშს-
წორებითაც. მოცემული პერიოდისათვის საერთა-
შორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში მონაწილე
ქვეყნების ვალუტების არსებული კურსის შესაბა-
მისად უნაღდო ანგარიშსწორება წარმოებს ელექ-
ტრონული ფულის (ელ. ფული) საშუალებით ან
მსოფლიო საბანკო ტელესაკომუნიკაციო სისტემის
მეშვეობით. ბანკი, რომელიც ირჩევს უნაღდო ან-
გარიშსწორების ტექნოლოგიის გამოყენების
სტრატეგიას, უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ
მოახდენს მომსახურების საკუთარი ქსელის შექმ-
ნასა და ექსპლუატაციას, მაშინ მოუწევთ დიდი
ხარჯების გაღება, ამასთან ოპერაციათა მოცუ-
ლობა შეზღუდული იქნება. ხოლო თუ მიიღებს
მონაწილეობას საერთაშორისო სისტემებში, მაშინ
მოუწევს საკმაო რაოდენობით საწევრო თანხის
გადახდა. ამჟამად, საქართველოში ფართოდ ინერ-
გება ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემები-
ბი, რისი შესაძლებლობაც მოგვცა თანამედროვე
პერსონალური კომპიუტერების შეუზღდავმა შე-
საძლებლობებმა, პრაქტიკაში ოპტიკურ-ბოჭკოვანი
კაგშირის არხების დანერგვამ, განვითარებულმა
ტელესაკომუნიკაციო სისტემებმა და გლობალურ-
მა ქსელმა - ინტერნეტმა. დღეს უკვე ჩვეულებრივი
მოვლენაა გადასახადების ელექტრონული გადახ-
და სახლიდან და ოფისებიდან გაუსვლელად.
თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისათვის აუცი-
ლებელი პირობაა გვქონდეს კომპიუტერი, რომე-
ლიც ჩართული იქნება ინტერნეტში. ჩვენი ანგა-
რიშის უსაფრთხოებისათვის ინტერნეტბანკი იუქ-
ნებს დაცვის თანამედროვე საშუალებებს, ეს იქ-

ნება ორგანიზაციული, აპარატურული თუ პრო-
გრამული საშუალებები.

საკვანძო სიტყვები: ელ. კომერცია; ემიტენტი;
ექვანიური; სერვერი; ტრანზაქცია


1. შესავალი

დღესდღობით მთელ რიგ წამყვან ქვეყნებს შო-
რის ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება
შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ნაღდი
ფულით, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებითაც. მო-
ცემული პერიოდისათვის საერთაშორისო ეკონო-
მიკურ ურთიერთობაში მონაწილე ქვეყნების ვა-
ლუტების არსებული კურსის შესაბამისად უნაღ-
დო ანგარიშსწორება წარმოებს ელექტრონული
ფულის (ელ. ფული) საშუალებით ან მსოფლიო
საბანკო ტელესაკომუნიკაციო სისტემის მეშვეო-
ბით. ბანკი, რომელიც ირჩევს უნაღდო ანგარიშს-
წორების ტექნოლოგიის გამოყენების სტრატეგიას,
უნდა გაითვალისწინოს, რომ თუ მოახდენს მომ-
სახურების საკუთარი ქსელის შექმნასა და
ექსპლუატაციას, მაშინ მოუწევთ დიდი ხარჯების
გაღება, ამასთან ოპერაციათა მოცულობა შეზღუ-
დული იქნება. ხოლო თუ მიიღებს მონაწილეობას
საერთაშორისო სისტემებში, მაშინ მოუწევს საკ-
მაო რაოდენობით საწევრო თანხის გადახდა. ამ-
ჟამად, საქართველოში ოპტიკურ-ბოჭკოვანი
კაგშირის არხების დანერგვამ, განვითარებულმა
ტელესაკომუნიკაციო სისტემებმა და გლობალურ-
მა ქსელმა - ინტერნეტმა. დღეს უკვე ჩვეულებრივი
მოვლენაა გადასახადების ელექტრონული გადახ-
და სახლიდან და ოფისებიდან გაუსვლელად.
თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისათვის აუცი-
ლებელი პირობაა გვქონდეს კომპიუტერი, რომე-
ლიც ჩართული იქნება ინტერნეტში. ჩვენი ანგა-
რიშის უსაფრთხოებისათვის ინტერნეტბანკი იუქ-
ნებს დაცვის თანამედროვე საშუალებებს, ეს იქ-

მოვლენაა გადასახადების ელექტრონული გადახდა სახლიდან და ოფისებიდან გაუსვლელად. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისათვის აუცილებელი პირობაა გვქონდეს კომპიუტერი, რომელიც ჩართული იქნება ინტერნეტში. ჩვენი ანგარიშის უსაფრთხოებისათვის ინტერნეტბანკი იყენებს დაცვის თანამედროვე საშუალებებს, ეს იქნება ორგანიზაციული, აპარატურული თუ პროგრამული საშუალებები.

2. პირითადი ნაწილი

1.1. ელექტრონული გადახდების მონაწილეები ელექტრონული გადახდები, როგორც ნებისმიერი სხვა საგადასახადო ფორმა, უზრუნველყოფს ურთიერთობას გადამხდელს და გადასახადის მიმღებს შორის. გადასახადის ამოცანა, როგორც ცნობილია არის ფულადი თანხის გადადგილება კლიენტისგან სერვისისკენ ანუ გადამხდელისგან მიმღებისაკენ. ელექტრონულ სისტემაში ასეთი გადადგილება ხორციელდება ელექტრონული გადახდის ბრძანებით. ეს პროცესი ასევე მოითხოვს ზოგიერთ ფინანსურ ინსტიტუტთან სელმისაწვდომობას, ფულადი სახსრების გადაგზავნისას, მონაცემთა დამოკიდებულებას, რომელსაც მხარეები ცვლის გადახდის ბრძანებით, რეალურად. ასეთ ფინანსურ ინსტიტუტს შეიძლება ემსახუროს ბანკი, რომელიც მუშაობს რეალურ ფულად საშუალებასთან, ან ზოგიერთი ორგანიზაცია, რომელიც უშვებს და აკონტროლებს საგადასახადო საშუალებებს. ეს პროცესი ასევე მოითხოვს რამდენიმე ფინანსურ ინსტიტუტს, ფინანსური ინსტიტუტი შეიძლება იყოს ბანკი, რომელიც მუშაობს რეალურ ფულად საშუალებებზე ან ზოგიერთი ორგანიზაცია, რომელიც უშვებს და აკონტროლებს სხვა ფორმის ფინანსურ საშუალებებს. მოცემულ თემაში სიტყვა „ბანკი“ გამოყენებული იქნება სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტის მნიშვნელობით, ხოლო სიტყვათწყობა „რეალური სახსრები“ – გამოიყენება ყველა ფორმის ფასეულ საშუალებებთან, რომელიც გამოიყენება ფინანსური ინსტიტუტში.



ჩვეულებრივ ბანკი ასრულებს გადახდის ბრძანების ორი სახით: ემიტენტი (ურთიერთქმედი გადამხდელზე) და ექვაიერი (ურთიერთქმედი მიმღებზე). ამას გარდა, გადახდის სისტემაში აუცილებელია არბიტრი რათა მოაგვაროს წამოჭრილი უთანხმოება.

1.2. ელექტრონული გადახდების მოდელის კლასიფიკაცია

• პირდაპირი/არაპირდაპირი ელექტრონული გადახდის სისტემები. ასევავებენ დამოკიდებულებას პირდაპირ/არაპირდაპირ კავშირს გადამხდელსა და მიმღებს შორის. გადახდის არაპირდაპირი ოპერაციის სისტემა სრულდება მისი ინიციატივით და მისი მონაწილეობით ის თავად არის ბანკი. გადახდის მეორე მონაწილე განისაზღვრება ბანკის ტრანზაქციის შესრულებით. პირდაპირი გადახდის არის მაგალითი გადახდის ნადირი ანგარიშების წორებით ან ჩეკით. არაპირდაპირის – მუდმივი რიგი შეკვეთების ან ტელეგრაფით გადაცემის. თანამედროვე სისტემების უმეტესობა გვთავაზობს გადახდების პირდაპირ მეთოდს.

• სისტემა: აღრე გადახდილი/მიმღინარე/გადადებული გადახდები


განასხვავებენ იმ დამოკიდებულებით, თუ რა მომენტში იქნა გადახდა შესრულებული გადამხდელის მიერ და შესაბამისად იცვლება გადასახადი. ადრე გადახდილი გადასახადები ანალოგიურია შესრულებული გადახდების, ხოლო მიმღინარე გადადებული გადახდები საკმაოდ ემთხვევა თავისი ბუნებით ორივე შემთხვევას: მომხმარებელს აუცილებლად ესაჭიროება გარკვეული „ანგარიში“ ბანკში, და გადახდა ყოველთვის შესრულდება რაღაც „ფორმით“ გადამხდელსა და მიმღებს შორის.

• სისტემა – ნადირი ფულის ანალოგი და სისტემა – ჩეკის ანალოგი. ელექტრონული გადახდის სისტემის განაწილება ორ ჯგუფად მოხდა 1996–1998 წლებში. დღესდღეობით ეს ცოტა მოვალებულია და სპეციალისტები იხრებიან უფრო დეტალიზირებული სისტემის მიმართ – ელექტრონული გადახდის სისტემის განხორციელებისკენ.

• ფულის შენახვის სისტემის მოდელი (ანალოგია ელექტრონული მონეტის, საკრედიტო ბარათის და ნადირი ფულის): სისტემა ფულის შენახვით მომხმარებელს უფლებას აძლევს დააგროვოს სახსრები საბანკო ანგარიშზე რომელიც ეპურვნის მომხმარებელს – სმარტ-ბარათი პლასტიკური ბარათი (მოწყობილობა, რომელიც


ელექტრონული სახით ჩამონტაჟებული ჩიპები კოდირებულია ინახავს თანხას) ან PC-ფაილი. შესყიდვის დროს ასეთი ინსტრუმენტის დახმარებით თავიდან ხდება მასზე საჭირო თანხის შემოწმება, შემდეგ მოცემული თანხა ჩამოექრება ანგარიშიდან მყიდვებს და მიემატება „სერვერს“. სმარტ-ბარათს აქვს დამატებითი უპირატესობა: პორტატულობა, საშუალება განახორციელოს ყიდვა, შეავსოს ანგარიში როგორც ქსელში, ასევე ოფლაინში, გააროს ავტორიზაცია გენერირებულიად ყოველი გამოყენებისას და სხვა. მაგალითებია: Common Electronic Purse Specification (CEPS), European Electronic Purse (EEP), Mondex, Proton, Visa Cash, WorldPay. PC-ფაილში ინახება თანხა პირდაპირ პერსონალური კომპიუტერის მოწყობილობიდან დაშიფრულ ფაილში, დაცული პაროლით, რომელიც ცნობილია მომხმარებლისთვის და არ მოითხოვს სპეციალურ აპარატურულ უზრუნველყოფას. მაგალითებია: Globe ID Payment System, Millicent, NetBill.

- ელექტრონული ჩეკის მოდელის სისტემა:** ბოლო პერიოდში რეალურმა ჩეკმა რამდენადმე დაკარგა თავისი პოზიცია, ელექტრონულ ჩეკს გააჩნია საკმაოდ ფართო გაერცელება, ვინაიდან არის პრაქტიკულიად ანალოგი რეალური ჩეკის, რომელიც ინახავს ყველა მონაცემს (მაგალითად, მიმღების შემოფარგლულ ინფორმაციას), მაგრამ მიუხედავად ამისა გამოიყენება ელექტრონული გადახდები B2B სფეროში და ასევე არ საჭიროებს აუცილებლობას ონლაინ რეჟიმში გადამხელს ყიდვის მომენტში. მაგალითად, Mandate II, eCheck.



- ელექტრონული ფულის ტრანზაქციის სისტემის მოდელი:** ამ კატეგორიაში არის გაცილებით განსხვავებული სპეციფიკაცია, ვიღრე

წარმოდგენილ წინა ორში. ეს მოდელი თავის-თავად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად: რომელიც შეიცვას ტრანზაქციას (საკრედიტო, დებეტურ, უბრალო ჩანაწერი), მოქმედების სფერო (მაგალითად, ბიზნეს-ტრანზაქცია), სპონსორის სახე (ბანკი, პროვაიდერი) და დამოკიდებულება იმასთან, გამოიყენება თუ არა პროცესში ტრანზაქციის გამტარი – ბანკი, სხვა ფინანსური ინსტიტუტი ან ელექტრონული კომერციის „ვირტუალური“ ორგანიზაცია. განხილული ორი კატეგორიისგან განსხვავებით ეს სისტემა მოქმედებს ტრანზაქციის განსაზღვრული სცენარით, შეკვეთის დამტუშავების ჩათვლით, გადახდები, ინსტრუქცია, პროცედურა და ბრძანება გადარიცხვის საშუალებების ანგარიშებს შორის. ამას მიმართავნ სხვადასხვა გადახდის საშუალებებით, ელექტრონულ მონაცემთა გაცვლის სისტემა/შეტყობინება, ბრძანება და სხვა. მაგალითად, BidPay, BillPoint, Q-Pass, i-Escrow, CyberCash, EDI Messages, Opening Buying on the Internet (OBI), Internet Open Trading Protocol, Java EC Framework.



ელექტრონული გადახდების შესრულების მექანიზმების მხარდაჭერა ფინანსების დისტანციური მართვის პროცედურა მოცვეს:

- ჩატვირთული საბანკო ანგარიშების ნუსხას;
- საკრედიტო ბარათების ნუსხის ჩატვირთვას;
- ფულადი სახსრების გადარიცხვას;
- მომხმარებლის გადასახადები;
- ბიზნეს-გადახდები.

მონაცემთა ამ ბაზის მექანიზმი მუშაობს მრავალი სისტემა, ელექტრონული საბანკო და ონ-

ლაინ ბირჟა. სტანდარტული მაგალითებია: Bank Internet Payment System (BIPS), Homebanking Computer Interface (HBCI), Open Financial Exchange (OFX).

ელექტრონული ფულის გადარიცხვების სისტემა

მოცემული მექანიზმები წარმოადგენენ ბრუნვას ორ მოცემულ კომპიუტერულ სისტემას შორის, დამუშავებულს ფინანსური ტრანზაქციით და მათზე ინფორმაციით. ამ სისტემის ანალოგია რეალურ სამყაროში, მაგალითად, სისტემა SWIFT. ოუმცა ელექტრონული საშუალების ასეთი სისტემები გამოიყენება სხვა გადასახადებზეც, კერძოდ – საბირჟო მოვაჭრებზე, და ინტერნეტ ბანკინგზე home banking-თვის (საოჯახო ბანკინგი). ვინაიდან, ასეთი სისტემების უმრავლესობა გამოიყენებს EDI-ს ტექნოლოგიებს

13. მოთხოვნები რომლებიც წაეყენება გადახ- დის სისტემებს

მოთხოვნები უსაფრთხოებაზე

ვინაიდან ინტერნეტი ერთდროულად არის ძალიან ეფექტური კომუნიკაციური საშუალება და სამყარო, რომელიც იწვევს საქმაოდ დიდ უნდობლობას მომხმარებლებში, ელექტრონულ ბიზნესში გამოყენებული ელექტრონული გადახ-დის უსაფრთხოება არის ძალიან სერიოზული კრიტიკული კონკრეტული სისტემის წარმატებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი რეალიზაციისას სისტემაში არ იყოს ცუდად დაცული უბანი, რომელიც საშუალებას მისცემს დიდი მასშტაბის თაღლითობას. ამიტომ უსაფრთხოებაზე ძირითადი მოთხოვნა არის:

- იმ შესაძლებლობის გამორიცხვა, რომ გა-დამხდელის ანგარიში გადაცემული იქნება მესამე პირზე;
- ლეგიტიმურობის უზრუნველყოფის საშუა-ლება. გადახდილის მიღების ფაქტის დადას-ტურება მიმღებისთვის მესამე პირის მიმართ და მისი დანიშნულება;
- ლეგიტიმურობის უზრუნველყოფის საშუა-ლება ემიტებული ფაქტის ჩატარებისას ყველა მო-ცემულ ანგარიშზე ავტორიზებული ტრანზაქციის ნამდვილი მფლობელის მოცემული ანგარიშით;
- გარანტიის უზრუნველყოფა, რომ ანგარიშ-ზე გადარიცხული თანხა არ იქნება მოპარული გადაცემის მომენტში და ჩაბარდება ზუსტად;
- მომხმარებლის უმიტებელის ქვითრის გაყა-ლების გამორიცხვის უზრუნველყოფა;

• სადაო საკითხების გადაწყვეტის უზრუნ-ველყოფა მომხმარებლებს შორის ემიტენტის მონაწილეობის გარეშე, სისტემა მთლიანად უნდა იყოს მდგრადი და მძლავრი მოქმედებით, მათ შორის ფორსმაჟორული სიტუაციისას.

მოთხოვნა კონფიდენციალობაზე

მთლიანად ინტერნეტი და ნებისმიერი საგა-დასახადო სისტემა მჭიდროდ არის დაკავშირებული კონფიდენციალურობის ცნებასთან. ამი-ტომ აუცილებელია, რომ საგადასახადო სისტე-მამ თავიდანვე არ დაკისროს მომხმარებელს კონფიდენციალურობის დარღვევა, მიცემული გაფართოება და დამატებითი ინფორმაცია ყო-ველთვის დარჩეს მომხმარებლის შეხედულები-სამებრ. ასეთი სახის კონფიდენციალურობა თა-ვის მხრივ მოიცავს შემდეგ მოთხოვნებს:

• გამორიცხულია ინფორმაციის მიღების შე-საძლებლობა მომხმარებლის მოქმედებაზე დამ-კაირვებლის მხრიდან;

• აუცილებელია კლიენტისა ანონიმურობის ხარისხის უზრუნველყოფა სერვერის მიერ;

• გამორიცხვა გადახდის დანიშნულებაზე ემიტებული ინფორმაციის მიღებისა;

• გამორიცხვა იმ ემიტებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობისა, რომელიც შემოსავ-ლის ანგარიშზე არის დამოკიდებული, მიმღები (სერვერის) ანგარიშის კავშირი გადამხდელის (კლიენტის) ანგარიშთან.

მოთხოვნა რეალიზაციაზე

მოთხოვნა რეალიზაციაზე ჩვეულებრივ მი-მართულია სამუშაო სისტემის სიმარტივეზე და საიმედობაზე, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტი-ლების წარუმატებლობის შემთხვევაში მხარეები შეიძლება ჩავარდეს დიდ ფინანსურ ზარალში. მოთხოვნა რეალიზაციაზე ჩვეულებრივ მდგომა-რების შემდეგ შე:

• სისტემა უნდა იყოს მარტივი, როგორც მომ-ხმარებლის თვალთახედვით, ასევე დეველოპე-რისთვის. სისტემის სიმარტივე აიაფებს და აჩქარებს მის რეალიზაციას, ტექნიკურ მხარ-დაჭერას, ხელს უწყობს საზოგადოების გაფარ-თოებას, რომელიც მას გამოიყენებს თავის ორ-განიზაციაში და იზიდავს მომხმარებელს.

• სისტემა უნდა ეყრდნობოდეს კარგიდ შემო-წმებულ და საიმედო ტექნოლოგიას, რაც ასევე ქმნის სიმარტივის პირობას მისი რეალიზა-ციისას და გარანტიის მოთხოვნა მაღალი ხა-რისხის უსაფრთხოებისათვის.

• სისტემას უნდა ჰქონდეს საშუალება იმუშაოს მომხმარებელთან თრგანიზაციის გარეთ, გა-

მოყენებადი მოცემული გადახდის სისტემაში, კინაიდან ცხადია, რომ ბევრი პოტენციური მომხმარებელი არ თანამშრომლობენ ამ თრგანიზაციაში.

3. დასკვნა

ვირტუალური ფულის, როგორც აბსტრაქტული წარმომადგენლობის გამოყენება გაიზარდა და ყოველ ეტაპზე ეკონომიკის განვითარების ამ

სფეროში შემოდის ახალი ინვაციები და ახალი ელექტრონული, ელექტრონული ქაღალდის სისტემები უზრუნველყოფილია განვითარებით და გადახდის ახალი სისტემებით.

ელექტრონული გადახდები, როგორც ნებისმიერი სხვა საგადასახადო ფორმა, უზრუნველყოფს ურთიერთობას გადამხდელს და გადასახადის მიმღებს შორის.

UDC 336.71

CLASSIFICATION OF ELECTRONIC PAYMENT, PARTICIPANTS OF SYSTEMS, ANALOGIES, MECHANISMS, CONFIDENTIALITY AND REQUIREMENTS

L. Gochitashvili, M. Karseladze

Department of economic informatics (information systems), Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is discussed general issue related to the notion of "electronic money," there is presented a review of electronic money on the basis of smart-cards and nets. There is described the features of payment systems in segment of the Internet and request of their security.

Key words: el. commerce; emitent; acquirer; server; transaction.

УДК 336.71

КЛАССИФИКАЦИЯ ЭЛЕКТРОННЫХ ПЛАТЕЖЕЙ, УЧАСТНИКИ СИСТЕМЫ, АНАЛОГИ, МЕХАНИЗМЫ, КОНФИДЕНЦИАЛЬНОСТЬ И ТРЕБОВАНИЯ

Гочиташвили Л.И., Карселадзе М.Д.

Департамент экономической информатики (информационных систем), Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Рассмотрены общие вопросы, связанные с понятием «электронные деньги». Дан обзор электронных денег на базе смарт-карт и на базе сетей. Даны краткие характеристики платежных систем в сегменте Интернета и требование их безопасности.

Ключевые слова: эл. коммерция; эмитент; эквайер; сервер; транзакция.

გილებულია დასაბუქდა 26.12.13

၁၂၃ 681.3

**სასწავლო პროცესის ინფორმაციული მხარდაჭერის აპლიკატიზაციული
სისტემის პირითაღი ელემენტები**

კ. ბაკურია

საინფორმაციო ტექნიკური გენერაციების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,
0175, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: kobabak@yandex.ru

რეზიუმქ: დღესდღეობით მრავალი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ამჟამადეს საკუთარ სასწავლო პროცესის ინფორმაციული მხარდაჭერის ავტომატიზებულ სისტემებს, რომელთა დიდი უმრავლესობაც ითვალისწინებს მხოლოდ კონკრეტულ ან ხშირ შემთხვევაში მიმდინარე სასწავლო პროცესის კრიტერიუმებს. წინა საგანმანათლებლო სტანდარტი კი, უკეთეს შემთხვევაში, აღრიცხულია სხვა უფრო ადრინდელ სააღრიცხვო ამოცანებში, რაც იწვევს ინფორმაციულ წყვეტიას და აგრეთვე არღვევს საინფორმაციო გარემოს მთლიანობას. ხოლო საგანმანათლებლო სფეროში ცვლილებების მოლოდინები კი თითქმის მთლიანად იგნორირებულია. აქედან გამომდინარე, აქტუალური ხდება ისეთი ინფორმაციული სისტემის აგება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსალოდნელი ცვლილებები. წარმოდგენილ სამუშაოში განიხილება ამგვარი სისტემების აგების პრინციპები და მისი ძირითადი კომპონენტების რეალიზაციის გაფართოების გზები.

საკვანძო სიტყვები: სერგისორიენტირებული არქიტექტურა; ინფორმაციული მხარდაჭერის ავტომატიზებული სისტემა; ბიზნესპროცესი; ინფორმაციული სისტემა; ვებ-სერვისი; პროცესების დეტალიზაცია; IT ინფრასტრუქტურა; ლიაპორტალი; კოდნის ბაზა.

1. შესავალი

ვების სპეციალისტი მნიშვნელობა არ აქვს თუ რომელი პროფესიის წარმომადგენელია იგი აუცილებლად უნდა იყოს უკეთ მომზადებული და უნდა ფლობდეს უფრო მაღალი ხარისხის ცოდნასა და უნარებს ვიდრე მისი წინამორბედი. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტების მომზადება კი იწვევს სასწავლო პროგრამებისა და სწავლების პროცესების პერმანენტულ ცვლილებებს მიმდინარე სტანდარტების შესაბამისად. ამ პირობებში კი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები პირისპირ დგება იმ პრობლემაზის წინაშე როგორიცაა - სასწავლო პროცესის ეფექტური მართვა, თანაც იმგვარად, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე მოთხოვნათა უკლავი ნიუანსი, ხოლო ამ შედეგის მიღწევა კი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე პრატიკულად შეუძლებელია.

დღესდღეობით მრავალი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ამუშავებს საკუთარი სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებულ სისტემას, რომელთა დიდი უმრავლესობაც ითვალისწინებს მხოლოდ კონკრეტულ ან ხშირ შემთხვევაში მიმდინარე სასწავლო პროცესის კრიტიკულებას. წინა საგანმანათლებლო სტანდარტი კი უკეთეს შემთხვევაში აღრიცხულია სხვა უფრო აღრინდელ სააღრიცხვო ამოცანებში, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ინფორმაციულ წევებას და აგრძელებს არღვევის საინფორმაციო გარემოს მთლიანობას. საგანმანათლებლო სფეროში ცვლილებების მოლოდინები კი თითქმის მთლიანად არის იგნორირებული მიმდინარე სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებულ სისტემაში. წლების მანძილზე ამ არსებულმა პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ეს მიდგომა სავსებით არაუფექტური და ეკონომიკურადაც წამგებიანია, რადგან ყოველი ახალი სწავლების სტანდარტის შემოღებისას აუცილებელი ხდება სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის ხელახალი პროექტირება, რეალიზაცია და დანერგვა, რაც დაკავშირებულია დამატებით ფინანსირებასთან, დროისა და შრომითი რესურსების ხელახალ ხარჯვისთან. ასე რომ

სასწავლო პროცესის ავტომატიზაციისათვის რეალიზებული ინფორმაციული სისტემები ძალაშედ ხშირად არ იძლევა სასურველ შედეგს, თუნდაც მიმდინარე მდგრამარეობისათვის წარმატებით დანერგილი იყოს. ბიზნესპროცესებში ხშირი ცვლილებები მოითხოვს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებისა ამ ცვლილებებზე რეაგირების მაქსიმალურ სისტრაქტეს. მაგრამ ეკონომიკური უფასებურობის თვალსაზრისით ასევე დროის ფაქტორის გათვალისწინებით მსგავსი ქმედება საკმაოდ წამგებიანია და ბიზნესგარემო ძირითადად ითხოვს ხარჯებისა და დროის რესურსების შემცირებას. შესაბამისად, სიტუაციის სამართვად საჭიროა არა მარტო ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა საშუალებას უფასებურად წარიმართოს მიმდინარე პროცესები, არამედ ასევე მინიმალური დანახარჯებით უმოკლეს ვადებში მან უნდა უზრუნველყოს ცვლილებები და ადაპტაცია მიმდინარე ინფორმაციულ სისტემაში თანაც ისე, რომ ძირითადად გამოიყენოს სისტემაში არსებული რესურსები.

აქედან გამომდინარე, აქტუალური ხდება ისეთი ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემის აგება, რომელიც გააუმჯობესებს არსებულ მდგრამარეობას შესაბამისად, საჭიროა გამოყიდვოთ მსოფლიოში არსებული თანამედროვე მიდგომები და ახალი ტექნოლოგიები მიმდინარე პროცესების გადასაჭრელად.

2. ძირითადი ნაწილი


ინფორმაციული სისტემების დანერგვისა და ექსპლუატაციის საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ერთერთი მოწინავე მიღება ინფორმაციული სისტემის შესაქმნელად არის სერვისორიენტირებული არქიტექტურის (SOA - service-oriented architecture) ტექნოლოგიის გამოყენება. SOA - ეს არის კონცეპცია, თუ როგორ უნდა აიგოს ინფორმაციული სისტემის არქიტექტურა სუსტი კავშირების მქონე სერვისების მეშვეობით, რომლებიც გამოდის როგორც ცალკეული ელექტრონული ფიქსირებული ინტერფეისებით და ასევე ასრულებს კონკრეტულ ფუნქციებს. ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი მოქმედების სრულყოფისა არის – ადრე მიღწეული შედეგების ხელმეორედ გამოყენება, მათ შორის პროგრამული კოდისაც. თავის დროზე ფართოდ გამოიყენებოდა მეთოდი მრავალჯერადი გამოყენებისა ერთხელ შექმნილი ფუნქციის ან მეთოდისა (სტრუქტურული

პროგრამირება). შემდგომში შეიქმნა კონცეფცია ობიექტორიენტირებული პროგრამირების, რომელმაც პრინციპში გადაწყვიტა პრობლემატიკა პროგრამული კოდის გამარტივების და ასევე მისი მრავალჯერადი გამოყენების. თანამედროვე მიდგომა კი გვთავაზობს პროგრამირების ახალ პარადიგმას, რომელიც დაკავშირებულია არა ობიექტთან, არამედ ბიზნესპროცესებთან და მათ შემადგენელ ნაწილებთან ანუ ბიზნესფუნქციებთან. ამ მიდგომის მიხედვით IT ფორმალიზებას ახდენს ბიზნესპროცესის და აღწერს მათ როგორც – სერვისი და ასევე აერთებს ამ სერვისს მისი კლასის ტიპური სერვისების ბიბლიოთებასთან. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მინიმუმიდე დავიყვანოთ პროგრამულ კოდზე მუშაობის დრო, ხოლო პროცესში ცვლილების შეტანის საჭიროების შემთხვევაში კი საქმარისია შეიცვალოს სერვისის მოქმედების ლოგიკა და არა სერვისის ფუნქცია რაც იძლევა საშუალებას მინიმუმდე დაყვანილ იქნეს ინფორმაციულ სისტემაში ცვლილების რეალიზაციის დრო. გაცილებით მარტივია შეიცვალოს ერთი სერვისი და გადაიხედოს მისი ზეგავლენა სხვა მასთან კავშირში მყოფ პროცესებთან მიმართებაში, ვიდრე მონოლითურ სისტემაში ყველა მსგავს ფუნქციასა თუ პროგრამულ მოდულში ცვლილებები შეტანილ იქნეს.

ძალზედ ხშირად ისე ხდება, რომ დასაკროებებები მიღების პროცესიც პროცესის კი ჯერ სრულად დამუშავებული არ არის, რომ უკვე იცვლება მოთხოვნები სისტემისადმი. ასეთ შემთხვევებში კი ძირითადად ისმის კითხვა, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ ვითარებაში, როგორ უნდა მივაღწიოთ პროექტირებადი სისტემის მოქნილობასა და მდგრადობას. პრობლემატიკის გადასაჭრელად მოცემულია მეთოდი როცა საპროექტო მიღების ტექნიკური გამოყოფა ძირითადი ტიპური ანუ სტანდარტული იმფორმაციული სერვისები, ხოლო ეს მეთოდი კი არის საკვანძო მიდგომა სერვისორიენტირებული არქიტექტურის (SOA) გამოყენებით პროექტირებისას. ასეთი მიდგომისას საპროექტო მიღების ზედა დონის პროცესების მოდელების თვასებებისა და ურთიერთობების საფუძველზე იქმნება საერთო წარმოდგენა საპროექტო მიღების ინფორმაციული ტექნოლოგიის არქიტექტურის შესახებ, რაც უპირველესად გულისხმობის პროექტირებადი ინფორმაციული სისტემის ძირითადი კომპონენტების გამოვლენას, რომლებიც თავისთვავდ

შემდგომში იქნება სისტემაში რეალიზებული და გამოყენებული. შემდგომი ეტაპი არის უკვე გამოვლენილი ძირითადი ანუ ზედა დონის პროცესების დეტალიზაცია, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო ქვედა დონეზე გამოიყოს ძირითადი სერვისების ან სერვისების ჯგუფები

(კლასები), რომლებიც საჭირო არის კონკრეტული ბიზნესფუნქციების რეალიზაციისათვის. პროექტირებადი ობიექტის ზედა დონის პროცესების მართვისა და ურთიერთკავშირების სქემა მოცემულია 1-ელ ნახ-ზე.



ნახ. 1

პროექტირებადი სისტემის მიზნები და ამოცანები:

- პროექტირებადი სისტემის მიზანია წარმოვადგინოთ უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, როგორც ურთიერთობების ერთობლივი კავშირი ინფორმაციულ ტექნოლოგიათა ინფრასტრუქტურასა და ადამიანი-მანქანური რესურსების კომპლექსებს შორის;
- წარმოდგენა ინფორმაციულ ტექნოლოგიების რგოლის, როგორც უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულის, რომელიც ფუნქციურად იქნება პასუხისმგებელი სერვისების მიწოდებაზე მომხმარებლებისადმი;
- გამოყენებული უნდა იქნეს სერვისორიენტირებული არქიტექტურა (SOA) როგორც პროექტირების ძირითადი მეთოდი;
- შეიქმნას ერთიანი კორპორატიული სერვისმაგისტრალი (ESB - Enterprise Service Bus) ინფორმაციულ რესურსებსა და ფუნქციურ ქვესისტემებს შორის ურთიერთკავშირების

ორგანიზებასა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით;


- და პორტალის რეალიზება იმ კუთხით, რომ იგი არის ძირითადი საბაზო ელექტრი ინფორმაციულ სისტემაში შემოსასვლელად, აგრეთვე მისი საშუალებით ხორციელდება მომხმარებლებისათვის ინფორმაციასთან წვდომა;
- ინფრასტრუქტურის მიერ ინფორმაციული სისტემის ინტეგრირებული (გამჭვილი) მართვა (ITIL - IT Infrastructure Library/ITSM - IT Service Management).
- აგებულ იქნეს ისეთი სტრუქტურა ინფორმაციული სისტემის, რომელიც იქნება გადაწყვეტილი თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომით და ასევე შესაძლებლობა ექნება მომხმარებლების ცვალოს აპარატულ-პროგრამული პლატფორმები;
- შეიქმნას სისტემის ისეთი ფუნქციური კომპონენტები, რომ თითოეული მათგანი იყოს პროექტირებული უმაღლესი სასწავლო და-

- წესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურაზე;
- მოხდეს რეალიზაცია იმ ტექნიკური ამოცანის რომელიც გულისხმობს სისტემის მომხმარებელთა უზრუნვლყოფას აქტუალური ინფორმაციული სერვისებითა და მონაცემებით;
 - მოხდეს დროული მიწოდება ინფორმაციისა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მმართველი სტრუქტურული ერთეულებისადმი, რათა მათ მიერ ოპერატორულ იქნეს მიღებული გადაწყვეტილებები;
 - შეიქმნას სისტემის ერთანი ინფორმაციული გარემო, რომელიც პასუხობს დამკვეთის მოთხოვნებს და იძლევა საშუალებას ეფექტურად გამოყენებულ იქნეს არსებული ინფორმაციული მემკვიდრეობა.

სასწავლო პროცესის მართვის აგენტომატიზებულ სისტემა წარმოდგენილია მე-2 ნახ-ზე, იგი შედგება რამდენიმე ძირითადი რგოლისგან. სასწავლო პროცესის მართვის აგენტომატიზებულ სისტემაში ცვლილებების ინიციატორია სამი

ინფორმაციული ნაკადი, ესენია: დიალოგი გარე მომხმარებლებთან (აბიტურიენტი, სტუდენტი და სხვ.), რომელიც ხორციელდება პორტალის მეშვეობით, გარე ცვლილებები, რომლებიც მიმდინარე თბიექტისგან დამოუკიდებლად ახდენს ზეგავლენას სასწავლო პროცესის წესების ცვლილებებზე (სახელმწიფო საკანონმდებლო ბაზა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით) და შიგა ცვლილებები, რომლებიც წარმოიქმნება სასწავლებლის შიგა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ყველა ეს ინფორმაცია თავს იყრის ინფორმაციული სისტემის მუდმივი მონიტორინგისა და მხარდაჭერის „ბიზნესპარტნიორის“ საკვანძო რგოლში, სადაც მიღებული ინფორმაცია მუშავდება და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე ხდება ანალიზი არსებული თუ მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ „ბიზნესპარტნიორი“ იწყებს ბიზნესფუნქციის შესაბამისი სერვისის აღწერას, რაც ხორციელდება სისტემასთან დიალოგით ფორმალიზებული ენის მეშვეობით.



ნახ. 2

კონკრეტული სერვისის სტანდარტის შემუშავების შემდგომი მოთხოვნა გადაეცემა რეალიზაციაზე, სადაც პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტი ავტომატურ რეჟიმში ახდენს სერვისის დამატებას შესაბამის მონაცემთა ბაზაში და ცოდნის ბანკში, ხოლო ამ ეტაპზე პორტალზე სერვისის გამოტანა მომხმარებლისთვის ჯერ არ ხდება, რადგან ეს შეიძლება იყოს ის ვუნქცია, რომელიც რეალიზებული იქნა, როგორც მოსალოდნელი ცვლილება. პორტალზე სერვისის განთვალისწინებასა და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობას ანხორციელებს „ბიზნესპარტნორის“ მეორე ხაზი, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში ახდენს ინფორმაციული სისტემის აუდიტს და სერვისის არსებობის შემთხვევაში ახდენს მის განვითარების, რაც გამოიხატება იმაში, რომ ნაპოვნი სერვის სტატუსი ხდება აქტიური და მისი გამოტანა ხდება პორტალზე.

3. დასკვნა

ზემოთ აღნიშნულისა და მოცემული პრობლემაზე იდან გამომდინარე წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის პრინციპულად ახალი მოდელი, რომელიც რეალიზებულია დია სისტემების ორგანიზების და სერვისორიენტირებული არქიტექტურის მეთოდის გამოყენებით, რაც იძლევა იმის

საშუალებას, რომ რეალურ დროში ცვლილებების დინამიკის გათვალისწინებით მოხდეს სისტემის დროული ინფორმაციული მხარდაჭერა მინიმალური რესურსების გამოყენებით და სისტემის გარკვეული კომპონენტების რეორგანიზაციის ხარჯზე.

ლიტერატურა

1. Сатунина А.Е. Сервис-ориентированный подход к построению и функционированию корпоративной информационной системы // Современные проблемы науки и образования, №6 М., 2009 год.
2. Биберштейн Н., Боуз С., Джонс К., Фиамант М., Ша Роун. Компас в мире сервис-ориентированной архитектуры (SOA): Ценность для бизнеса, планирование и план развития предприятия. М.: КУДИЦ-ПРЕСС, 2007 год.
3. Гил Лонг, Ибрахим Мамду. Сервис-ориентированная архитектура предприятия: Взаимодействие SOA и EA. <http://www.ibm.comdeveloperworks>.
4. Ковалев В.Ю., Жилин Е.Ю. Управление процессом разработки системы автоматизации для вуза. Москва, 2010 год.
5. С. Маттев., К. Ласкей. Эталонная модель сервис-ориентированной архитектуры. <http://soa.skatin.ru/soa-rm-csrn.pdf>.

UDC 681.3

THE MAIN ELEMENTS OF AUTOMATION SYSTEM OF INFORMATION SUPPORT OF THE LEARNING PROCESS

K. Bakuria

Department of information technologies, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: At present many higher educational institutions are working on own automation sistem of information support of the learning process, most of them provide only a specific or ongoing criteria of learning process. Previous educational standar, in better case, is accounted in other earlier accounting tasks, which causes breakage of the information and, also abolishes the integrity of the information environment. In the educational sphere, expectations of change are ignored almost completely.

Therefore creation of such information system is actual, which will foresee expected changes. The presented work discusses principles of construct of such systems and solving ways of the basic components of realization.

Key words: service-oriental architechture; automation system of information support; business process; information system; web service; detailing of processes; IT infrastructure; open portal; knowledge base.

УДК 681.3

ОСНОВНЫЕ ЭЛЕМЕНТЫ АВТОМАТИЗИРОВАННОЙ СИСТЕМЫ ИНФОРМАЦИОННОЙ ПОДДЕРЖКИ УЧЕБНОГО ПРОЦЕССА

Бакуриа К.С.

Департамент информационных технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Большинство высших учебных заведений сегодня разрабатывает автоматизированные системы информационной поддержки собственных учебных процессов, которые в основном учитывают критерии только конкретных или частых случаев текущего учебного процесса. Предыдущий общеобразовательный стандарт в лучшем случае учитывался в других, более ранних расчетных задачах, что вызывает информационную прерывность и также разрывает цельность информационной среды. А в общеобразовательной сфере ожидаемость изменений как бы полностью игнорируется.

Исходя из этого актуальным является построение такой информационной системы, в которой будут предусмотрены ожидаемые изменения. В данной работе рассмотрены принципы построения подобной системы и предложены пути реализации ее основных компонентов.

Ключевые слова: сервис-ориентированная архитектура; автоматизированная система информационной поддержки; бизнес-процесс; информационная система; веб-сервис; детализация процессов; инфраструктура IT; открытый портал; база знаний.

მიღებულია დასაბუღდად 25.12.13

შავ 621.397.13

კომპიუტერული ფეროლოგიების ბაზაზე FLICKER-ხმაურის ენერგეტიკული

სპეციალის გაზომვა

ო. ჩხეიძე ო. ტომარაძე*

მიკორპორიცესორული და საზომი სისტემების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, გ. კოსტავას 77

E-mail: o.tomaradze@gtu.ge

რეზიუმე: განხილულია თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების დახმარებით flicker-ხმაურის ენერგეტიკული სპექტრის გაზომვის ერთ-ერთი მეთოდი, რომლის საშუალებითაც გამოიიცება მაძლიერებლების საკუთარი ხმაური რაც თავის მხრივ ზრდის გაზომვის სიზუსტეს. Mathcad და Labview პროგრამულ გარემოში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ აღნიშნული მეთოდი ზომავს flicker-ხმაურის სპექტრულ სიმკვრივეს (ენერგეტიკულ სპექტრს) და ორივე შემთხვევაში გამორიცხავს მაძლიერებლების საკუთარ ხმაურს).

საკვანძო სიტყვები: სპექტრული სიმკვრივე; flicker-ხმაური; გარდისფერი ხმაური; კორელაცია; კორელატორი.

1. შესავალი

თანამედროვე ტექნიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საზომ-საკონტროლო აპარატურის შექმნას, რომელიც განკუთვნილია ოპტოელექტრონული ნაკეთობების და ელექტრონული მოწყობილობების ფლიკერ-ხმაურის მქონე მახსიათებლების ანალიზისათვის. რათა განხორციელდეს ამ ნაკეთობების და მოწყობილობების

ხარისხის კონტროლი და ნახევარგამტარულ სტრუქტურებში ფარული დეფექტების აღმოჩენა.


Flicker-ხმაურის შესწავლა არამარტო თეორიულ პროცედურას, რომელიც დღემდე არ არის დამუშავებული, არამედ მას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, იმდენად რამდენადაც ეს ხმაური საგრძნობლად აუარესებს ელექტრონული მოწყობილობების და ნაკეთობების თვისებებს განსაკუთრებით დაბალსის შირულ დიაპაზონში [2]. flicker-ხმაურის ანალიზი რომ ჩატარდეს, უნდა შეიქმნას გაზომვის მეთოდი და მოხდეს მისი რეალიზაცია. ამ სამუშაოს მიზანია: შემოგთავაზოთ flicker-ხმაურის სპექტრული სიმკვრივის განსაზღვრის სქემა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს მაძლიერებლის საკუთარი ხმაურის გავლენას გაზომვის შედეგზე და გაზრდის გაზომვის სიზუსტეს. შესაბამისი პროგრამული და სატესტო რეალიზაცია განხორციელდება Labview და Mathcad პროგრამულ გარემოში, რომელიც არ მოითხოვს მაღალი დონის პროგრამული ენის ცოდნას და გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი სამეცნიერო და ტექნიკური ექსპერიმენტების ავტომატიზაციისათვის.

შემოგთავაზებული მეთოდი და შესაბამისი მოწყობილობა შეიძლება მივიჩნიოთ როგორც საზომი სისტემის აუცილებელი და სასარგებლონ ნაწილი, რომელიც განახორციელებს მაძლიერებლის საკუთარი ხმაურის აღმოფხვრას.

2. ძირითადი ნაწილი

Flicker-noise (ფლიკერ-ხმაური) პირველად იქნა აღმოჩენილი 1925 წ. ჯ. ჯონსონის მიერ თერმოელექტრული ემისიის ფლუქტუაციის გაზომვის დროს [1]. გერმანელმა მეცნიერმა ვ. შოტკიმ ივარაუდა, რომ ეს ხმაური გამოწვეულია თერმოკათოდის ზედაპირის ფლუქტუაციებით და უწოდა მას „flicker-ეფექტი“. Flicker-ნიშნავს ცირციმს. შემდგომში flickernoise აღმოჩენილ იქნა ნახშირიან მიკროფონებში, მეტალის ფირფიტებში და სხვა ნახევარგამტარულ ხელსაწყოებში. ეს არის ისეთი ხმაური, რომლის სპექტრული სიმკვრივე განისაზღვრება ფორმულით $1/f$, ე. ი. იგი სიხშირის უკუპროპორციულია ანუ სიხშირის ლოგარითმულ სკალაზე თანაბრად კლებადია. ცნობილია, რომ ასეთი სიგნალის სპექტრული სიმკვრივე თეორ ხმაურთან შედარებით მიიღევა 3 დბ-ით თითო ოქტავაზე. ის მიეკუთვნება ე. წ. გარდისფერ ხმაურს, რომლის მაგალითები უამრავია: ეს არის მეტრინავი ვერტმფრენის ხმაური, ასეთი ხმაური შეინიშნება გულის რითმებში, მაგნიტურ გამოსხივებებში, ტვინის ელექტრული აქტივობის გრაფიკებში და პრაქტიკულად უკელა ელექტრონულ მოწყობილობაში. ცნობილია [3], რომ ფლიკერ-ხმაურის საზომი აპარატურა აუცილებლად მოიცავს მცირებაში არა მაძლიერებელს, რომელიც აუცილებელია სიგნალის გაძლიერებისათვის იმ დონემდე, რომელიც საჭიროა

ანალოგურ-ციფრული გარდმქმნელის შესავლებლის მუშა დიაპაზონისათვის [4].



ნახ. 1

შემოთავაზებული გაზომვის მეთოდის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ერთი მაძლიერებლის ნაცვლად გამოიყენება ორი მაძლიერებელი. ფლიკერ-ხმაურის სპექტრული სიმკვრივე განისაზღვრება ვინერ-ხინჩინის თანაფარდობით. Flicker-ხმაურის სპექტრული სიმკვრივის გაზომვის მეთოდი და სქემა მოცემულია 1-ელ ნახ-ზე.

საძირებელი $U_1(t)$ flicker-ხმაურიანი სიგნალი აკლევის ობიექტიდან მიყწოდება

მცირებაში არ იდენტურ მაძლიერებელს.

$U_1(t)$ ხმაური ძალიან მცირე სიდიდისაა, ამიტომ ის საჭიროებს გაძლიერებას. ამ დროს გაძლიერებულ $U_1(t)$ ხმაურს ემატება მაძლიერებლის მნიშვნელოვანი საკუთარი ხმაური. ამიტომ გაზომვის შერჩევის მეთოდი შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა ამცირებდეს მაძლიერებლების ხმაურის ზემოქმედებას გაზომვის შედეგზე.

ხმაურის გაზომვის ერთ-ერთი მეთოდი მდგომარეობს შემდეგში. უნდა ავიღოთ ორი იდენტური და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არხი, რომელიც აძლიერებს ერთი და იგივე $U_1(t)$ საძირებელ სიგნალს. რადგანაც მაძლიერებლების ხმაური ერთმანეთისაგან სტაბისტიკურად დამოუკიდებელია, შესაბამისი გასაშუალოებით შეიძლება გამოვრიცხოთ მაძლიერებლების ხმაური გაზომვის შედეგიდან. 1-ელ ნახ-ზე მოცემული სქემა საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ გასაშუალოება ურთიერთკორელაციური დამუშავების საფუძველზე.

დაგუშვათ პირველი K გაძლიერების კოეფიციენტის მქონე არხის გამოსასვლელზე გავაქს ჯამი U_1+S_1 , სადაც $U_1(t)=k_{12}(t)$ გაძლიერებული სიგნალია; $S_1(t)$ – პირველი არხის საკუთარი ხმაური.

ანალოგურად მეორე არხის გამოსასვლელზე გავაქს U_1+S_2 . ურთიერთკორელაციური ფუნქცია $S_{12}(T)$ გამოითვლება როგორც მაძლიერებლების გამოსასვლელი სიგნალების ნამრავლების საშუალო მნიშვნელობა.

$$K_{12}(\tau) = \overline{[(\tau) + S_1(\tau)][U_1(t-\tau) + S_2(t-\tau)]}$$

საშუალო მნიშვნელობის ნიშნის ქვეშ მდგომი სიგნალების გადამრავლების შემდეგ მივიღებთ.

$K_{12}(\tau) = U_1(t)U_1(t-\tau) + U_1(t)S_2(t-\tau) + U_1(t-\tau)S_1(t)S_2(t-\tau)$
 $= \frac{U_1(t)}{U_1(t-\tau)} + \frac{U_1(t)}{S_2(t-\tau)} + \frac{U_1(t-\tau)}{S_1(t)} + S_1(t)S_2(t-\tau) = U_1(\tau)U_1(t-\tau) + 0 + 0 = K_{11}(\tau)$

სადაც $U_1(t)$ არის მაძლიერებლების გამოსახულები სიგნალები; $S_1(t)$ და $S_2(t)$ - შესაბამისად პირველი და მეორე მაძლიერებლების ხმაურია. $K_{11}(\tau)$ $U_1(t)$ სიგნალის აუტოკორელაციური ფუნქციაა. რადგან თანამამრავლები სტატისტიკურად არ არიან დამოკიდებული ყველა ჯვარედინა მნიშვნელობების ნამრავლები 0-ის ტოლია. ამრიგად, 1-ელ ნახ-ზე მოცემული სქემა საშუალებას გვაძლევს კორელაციონის გამოსახულებზე გამოვყოთ საძიებელი ხმაურის აუტოკორელაციური ფუნქცია $U_1(\tau)U_1(t-\tau) = K_{11}(\tau)$

$S_{11}(f) = S(f)$ განისაზღვრება ვინერ-ხინჩინის შესაბამისობიდან


$$S_{11}(f) = 2 \int_{-\infty}^{\infty} K_{11}(\tau) e^{-i 2 \pi f \tau} d\tau = F\{K_{11}(\tau)\}$$

ამრიგად, ბოლო გამოსახულების შესაბამისად K_{11} კორელაციურ ფუნქციას თუ დავუქვემდებარებთ ფურიე გარდაქმნას მივიღებთ საკვლევი ხმაურის K_{11} სპექტრულ სიმკრივეს. ასე-

თი მიღვომა საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად შევამციროთ საზომი სისტემის საკუთარი ხმაურის ზეგავლენა flicker-ხმაურის სპექტრული სიმკრივის გაზომვის შედეგზე.

ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ flicker-ხმაურის ენერგეტიკული სპექტრის გასაზომად შემოთავაზებული მეთოდის ბაზაზე შესაბამისი პროგრამა ვაჩვენოთ LabVIEW პროგრამულ გარემოში. პროგრამა ვირტუალური ხელსაწყო მოიცავს სამ ძირითად პროცედურას რომელიც ნაჩვენებია მე-2 ნახ-ზე.

1. flicker-ხმაურის შემცველ საწყის სიგნალს;
2. კორელაციური ფუნქციის $K_{11}(\tau)$ გამოთვლას;
3. ენერგეტიკული სპექტრის ან სპექტრული სიმკრივის გამოთვლას. ყველა ამ ძირითადი ოპერაციების რეალიზაციისათვის გამოიყენება Express მოწყობილობები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ flicker-ხმაურის გაზომვის პროგრამას. რაც შეეხება მოდელირებას ჩვენ გამოვიყენეთ Mathcad პროგრამის გარემო. ტესტირება ჩატარებულია როგორც სინუსოიდური, ასევე წრფივი სიგნალისათვის.




ნახ. 2

მოდელირებამ გვიჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში აღნიშვნული მეთოდის გამოყენებით იზომება

flicker-ხმაურის სპექტრული სიმკრივე (ენერგეტიკული სპექტრი) და იხშობა საკუთარი ხმაური.

| | | |
|--------------------------------------------|-------------------------|-------------------------------------------------|
| $N := 1024$ | $y := y_1 + y_2$ | |
| $pulsesen := N - 1$ | $m := 0.. pulsesen$ | $mean(onefn(1024)) = 2.189$ |
| $x_m := 3 \sin(4 \cdot \pi \cdot t_m)$ | $n := 0.. N - 1$ | $y1a_m := (x_a_m + one_m) + rnorm(N, 0, 0.5)_m$ |
| $y1_m := x_m + one_m + rnorm(N, 0, 0.5)_m$ | $t_n := \frac{n}{2000}$ | $one := onefn(1024) - mean(onefn(1024))$ |
| $y2_m := x_m + one_m + rnorm(N, 0, 1)_m$ | | $y2a_m := x_a_m + one_m + rnorm(N, 0, 1)_m$ |
| | | $x_{N-1} := 0$ |





$$P := \text{fft}(w) \quad \text{Corflic} := \text{correl}(y_1a, y_2a) \quad k2 := 0.. \frac{1024}{2} - 1$$

$$S_{k1} := S1a_{k1} \cdot S2a_{k1}$$

$$S_{kp} := 1000000 kp^{-2} \quad kp := 1..1024 - 1$$

$$S_{kp} := 1000000 kp^{-2}$$

$$w := y \quad P := (\overline{|P|})^2$$



3. დასკვნა

1. flicker-ხმაურის მავნე ზემოქმედება განსაკუთრებით თავს იჩენს დაბალი სიხშირის დიაზონში.

2. ჩვენ მიერ აღწერილი ფლიკერ-ხმაურის ენერგეტიკული სპექტრის გაზომვის მეთოდი საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად შევამცოროთ საზომი სისტემის საკუთარი ხმაურის ზეგავლენა გაზომვის შედეგზე.

ლიტერატურა

1. Маслов В.Т. Распределение типа Бозе-Эйнштейна

применительно к фликкер-шумам // ТМФ, 2006, N149, N2, 318-329.

2. Букин М. Шумы в электронных приборах и системах /Пер. с англ.-М.: Мир, 1986.-399с.
3. Дьяконов В. Mathcad 2001. Санкт-Петербург, Питер бук, 2001.-397с.
4. Бутырин П.А., Васьковская Т.А., Карапаев В.В., Материкин С.В. Автоматизация физических исследований и эксперимента: компьютерные измерения и виртуальные приборы на основе LABVIEW7 (30 лекций). Москва, 2012.-263с.

UDC 621.397.13**MEASURING OF THE ENERGETIC SPECTRUM OF THE FLICKER-NOISE ON THE BASIS OF COMPUTER TECHNOLOGIES****I. Chkheidze, O. Tomaradze**

Department of microprocessor and measuring systems, Georgian Technical University, 77, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is considered one of the methods of measuring of energetic spectrum of the FLICKER-noise with the help of modern computer technologies. The method nullifies the noise of intensifiers on the one hand and increases the exactness of the measurement.

Experiments of MATHCAD and LABVIEW in software environment showed, that the above-mentioned method measures the spectrum compactness (energetic spectrum) of the FLICKER-noise and in both cases excludes the noise of the intensifiers.

Key words: spectral solidity; flicker-noise; pink-noise; correlation; korrelator.

УДК 621.397.13**ИЗМЕРЕНИЕ ЭНЕРГЕТИЧЕСКОГО СПЕКТРА FLICKER-ШУМА НА ОСНОВЕ КОМПЬЮТЕРНЫХ ТЕХНОЛОГИЙ****Чхеидзе И.М., Томарадзе О.К.**

Департамент микропроцессорных и измерительных систем, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 77

Резюме: Рассматривается один из методов измерения энергетического спектра flicker-шума, с помощью которого собственный шум усилителей исключается, что в свою очередь увеличивает точность измерения. Эксперименты, проведенные в среде Mathcad и Labview, показали, что указанный метод измеряет энергетический спектр flicker-шума и исключает собственный шум усилителей.

Ключевые слова: спектральная плотность; flicker-шум; розовый шум; корреляция; коррелятор.

მიღებულია დასაბუქით 17.12.13

ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი

შაპ 551

საილენდისა და მანგანუმის შემცველი ქანებიდან, მაღნებიდან და წარმომადის
ნარჩენებიდან ლითორების მშენებისას ბაზოზოგილი აირების
შედგენილობა

თ. ძაბამია, ლ. ცერცვაძე, დ. ჩუტკერაშვილი, შ. პეტრიაშვილი, ლ. ლლონტი

ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, ს. დიდომი, ჭანტურიას ქ. 1

E-mail: linetac@yahoo.com

რეზიუმე: ნაშრომში აღწერილია ჭიათურის
მანგანუმის და მადნეულის სპილენძის საბადოების
წარმოების ნარჩენების, მადნებისა და ქანების
ბიოლოგიური დამუშავების შედეგად გა-
მოყოფილი აირების შედგენილობა. როგორც
კვლევებმა გვიჩვენა, ერთი და იმავე რეგიონის
სხვადასხვა სახის სუბსტრატებიდან მიკრობი-
ოლოგიური დამუშავების დროს ლითონების გა-
მოტუტვისას გამოყოფილი აირების თვისობრივი
და რაოდენობრივი მაჩვენებლები თითქმის ერთ-
მანეთს ემთხვევა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ
გამოტუტვილი სხვარების მიკროფლორა, ფორ-
მირებული ერთსა და იმავე რეგიონის ნიშაში,
სასიათდება მსგავსი მეტაბოლიზმით.

საკვანძო სიტყვები: ქანი; ექსტრაქცია; გა-
მომტუტვი სხვარი; ამოწვლილვა.

1. შესავალი

მიკროორგანიზმების ზეგავლენით ნივთიერებათა გარდაქმნის პროცესში პრაქტიკულად ყველა ის ელემენტია ჩართული, რომელიც შე-
დის ამა თუ იმ მინერალის შემადგენლობაში. მიიჩნევენ, რომ მიკროორგანიზმები ნივთიერებათა ცვლის პროცესში მინერალურ ნაერთებს აქტიურად იყენებენ, ახდენენ რა მინერალთა კრისტალური მესრის დაშლა-დარღვევას, გა-
მოათავს უფლებენ ქიმიურ ელემენტებს, რომ-
ლებიც აუცილებელია სასიცოცხლო პროცესის წარმართვისათვის, ხოლო ამ პროცესისადმი ინ-
ერტული ელემენტები ამა თუ იმ ფორმით

ხსნარში რჩება და წარმოიქმნება ბიოლოგიური
წყალსხნარებიდან მათი ამოწვლილვის რეალუ-
რი შესაძლებლობა [2].

ამ ფაქტორზე არის დამყარებული ბიოქიმი-
ური გამოტუტვის ხელოვნურად შექმნილი პი-
რობების გამოყენება ისეთი მნიშვნელოვანი მი-
მართულებით, როგორიცაა სამთომომპოვებელი
წარმოების ნარჩენების უტილიზაცია, იშვიათი
ლითონების ამოწვლილვა დარიბი მადნებიდან,
ფლოტაციური წარმოების შლამებიდან და თვით
ფუჭი ქანებიდანაც კი.

პროცესების შესასწავლად ჩატარებული ექს-
პერიმეტრისათვის შერჩეული ნიმუშები წარ-
მოადგენს სპილენძის და მანგანუმის შემცველი
ქანების, მადნებისა და გამამდიდრებული სა-
წარმოების ნარჩენების ნაირსახეობებს.

წინა წლებში ჩვენ მიერ შემოთავაზებული
იყო ლითონთა გამოტუტვის განსხვავებული მე-
თოდიგა [8], რომლის მიხედვითაც გამოტუტვის
მექანიზმის თეორიული ასპექტები ეფუძნებოდა
როგორც აერობული, ისე ანაერობული მი-
კროფლორის ქანის დამშლელი პოტენციალის
გამოყენებას. მან საშუალება მოგვცა ზოგიერთი
ლითონისათვის გაგვესაზღვრა მიკროორგანიზ-
მების ის სახეობები, რომლებიც პასუხისმგებე-
ლია სხვადასხვა სუბსტრატიდან მათ ექსტრაქ-
ციაზე [3]. თუ თვალს მივადევნებთ ლითონთა
გამოტუტვის პროცესში მონაწილე მიკრობთა
თანასაზოგადოების თვისობრივ ცვალებადობას,
დავინახავთ, რომ ერთგვაროვან, დამახასიათე-
ბელ ნიმუშებში შენარჩუნებულია ამა თუ იმ
ჯგუფის მიკროორგანიზმების შემცველობის გარ-

კვეული დონე და მათი ცხოველმყოფელობის პროდუქტების ერთგვაროვნება [6].

2. ძირითადი ნაწილი

ქანებიდან და მინერალებიდან რომელიმე ელემენტის გამოყოფის მაპროცეცირებელ ბაქტერიებთან ერთად, ლითონთა აკუმულაციის ან გამოყოფის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ მიკროორგანიზმების ცხოველმოქმედების პროდუქტებიც.

სპილენძის შემცველ ნიმუშებში ექსტრაქციისას მიმდინარე სულფატრედუციის პროცესში, ყველა სულფატადმდებნი ბაქტერია თუ არა, მათი უმეტესობა მაინც იყენებს ჰეტეროტროფული ან ანაერობული აეტოტროფული მიკროორგანიზმების მიერ დაგროვილ მრავალგვარ ორგანულ სუბსტრატს. ისინი უანგავენ აქტოლად ცხიმმჟავებს – აცეტატს, ფორმიატს, პროპიონატს, ბუტირატსა და საირტებს – ეთანოლს, პროპანოლს, ბუთანოლს. ჩვენს ცდებში კი ზემოთ ნახსენები ყველა სპილენძი და მჟავა დიდი რაოდენობით შედის შესაბამისი ნიმუშების გამოტუტულ სინარებში [7].

სულფატის აღმდგენ ბაქტერიებს ზრდა შეუძლიათ უსულფატო გარემოშიც სულფატრედუქტორების სხვადასხვა სახეობას შორის წყალბადის გადატანის მეშვეობით, ე.ი ელექტრონების დონორად სულფატრედუქტორები იყენებენ ორგანულ ნივთიერებებს და მოლეკულურ წყალბადს [1]. ჩვენს კვლევებში, სპილენძის შემცველი ნიმუშების ექსტრაგირებული სინარების აირთა შედგენილობაში აღინიშნება მოლეკულური წყალბადის დიდი შემცველობა, ამიტომაც საინტერესოა ლითონების ბაქტერიული გამოტუტვის პროცესში ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა პროდუქტებს შორის მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობის შედეგად გამოყოფილი აირების შესწავლა.

როგორც აღნიშნეთ, სამთამადნო რეგიონების ქანებიდან, მადნებიდან და წარმოების ნარჩენებიდან ადგებული ნიმუშების გამოტუტულ სინარებში მიკრობთა ნივთიერებათა ცვლის შედეგად დაგროვილი ნაირგვარი ორგანული მჟავებისა და სპილენძის გარდა ხდება აირების გამოყოფაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ამათუ იმ მინერალშიც შემავალი აირების მოცულობების დასადგენად და უპირატესი აირის გამოსავლენად.

დღესდღეობით მეტალურგიულ და ჰიდრომეტალურგიულ წარმოებაში აირების გამოყენებას

დიდ უპირატესობას ანიჭებენ. განსაკუთრებით ეს ეხება წყალბადს, რომელიც ლითონების ოქსიდებიდან ელემენტების გამოსათავისუფლებლად საკმაოდ დიდი მასშტაბებით გამოიყენება. ამიტომ, აირების შესწავლა ნებისმიერ დონეზე საჭირო და საინტერესოა.

საკლევი ქანების, მადნებისა და წარმოების ნარჩენების გამოტუტული სინარებიდან აირების ქრომატოგრაფიული განსაზღვრის შედეგები მოცემულია ცხრილში.

ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ ყველა საანალიზო ნიმუშში საქმაოდ დიდი რაოდენობით არის აღრიცხული წყალბადის, უანგბადის, აზოტისა და ნახშირორჟანგის შემცველობები. ნახშირორჟანგი არ არის აღმოჩენილი სამ ნიმუშში – მირულის გრანიტის საბადოს (ნიმ. 204), კვარცული სიენიტ-დიორიტის (ნიმ. 205) და სპონგოლიტური ქვიშაქვის (ნიმ. 202) საანალიზო სინარებში. სპილენძის მაღნის კრიკენტრატის გამოტუტული სინარის გაზურ შემადგენლობაში უპირატესია აზოტი, მეორე ადგილზე უანგბადი, ხოლო მას მოსდევს წყალბადი და ნახშირორჟანგი.

თვით გაზების გადანაწილების სქემაში იკვეთება საკმაოდ საინტერესო სურათი. იქ, სადაც მაღნის წყალბადის შემცველობა, ნაკლებია აზოტის წილი და პირიქით. ამავე დროს, ამ ორი ელემენტის რაოდენობრივი მაჩვენებლის ჯამური პროცენტული შედგენილობა დაახლოებით 60-80%-ს შორის მერყეობს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შესწავლი ქანების, მადნებისა და წარმოების ნარჩენების გამოტუტული სინარების გაზურ შედგენილობაში არ გვხვდება გოგირდწყალბადი, თუმცა მრავალ საკლევ ობიექტში, განსაკუთრებით მაღნეულის საბადოს გოგირდშემცველ მაღნებსა და ნარჩენებში გამოვლენილია სულფატრედუქტორი ბაქტერიების დიდი რაოდენობა. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ გამოტუტავ სინარში, საწყის ეტაპზე არსებული ჰეტეროტროფული მიკროორგანიზმების დიდი არმია, საოცარი სისტემაზით იწყებს ზრდა-განვითარებას და ხელს უშლის და აფერსებს თიონური ბაქტერიების გამრავლებას იმით, რომ უკვე გამოტუტვის ადრეულ სტადიაში ასწრებს გოგირდწყალბადის დაუანგვას სულფატებამდე. გამოტუტვის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად, ანაერობიზისის დაღვომის შემდეგ გამოყოფილი გოგირდწყალბადი ან სუსპენზიაში განიცდის დიფუზიონებას ან კიდევ გამოიყენება სხვა მიკროორგანიზმების მიერ, როგორც ენერგიის წყარო.

**ქანების, მადნების და წარმოების ნარჩენების გამოტუტული ხსნარებიდან
გამოყოფილი გაზების ქრომატოგრაფიული განსაზღვრა**

| № | საკვლევი ნიმუშები | გაზის სემცველობა %-% ზი | | | | |
|-----|--------------------------------------------------------|------------------------------------------|----------------------------|-------------------------|---------------------------|---------------------------------------|
| | | H ₂ წყალბა- დი | O ₂ ჟანგბადი | N ₂ აზოტი | CH ₄ მეთანი | CO ₂ ნახშირორ- ჟანგი |
| 200 | გამომტუტავი (საექსტრაქციო) ხსნარი | 3,15 | 20,70 | 73,69 | - | 2,46 |
| 201 | დოლერიტი (თეთრიწყარო) | 53,56 | 11,90 | 28,58 | - | 5,95 |
| 202 | სპონგოლიტური ქვიშაქვა (ჭიათურა რგანი) | 5,59 | 16,43 | 58,94 | - | 19,04 |
| 203 | მანგანუმის კარბონატული მადანი (ჭია- თურა, დარკვეთი) | H ₂ + O ₂ 78,06 | | 10,13 | - | 11,81 |
| 204 | გრანიტი (ძირულის მასივი) | - | 9,06 | 73,55 | - | 17,39 |
| 205 | კვარცული სიენიტ-დიორიტი (ალისციხე) | - | 12,56 | 73,21 | - | 14,23 |
| 206 | კუდსაცავი (დარკვეთის გამამდიდრებული ფაბრიკა) | 30,77 | 6,28 | 31,4 | - | 31,55 |
| 207 | მანგანუმის ჟანგულა მადანი (რგანის კა- რიერი) | H ₂ + O ₂ 76,52 | | 3,13 | - | 20,35 |
| 208 | ანალციმიანი ქვიშაქვა (სოფ. გელათი) | - | 13,26 | 70,86 | - | 15,88 |
| 209 | ქვიშიანი სპონგოლიტი (რგანი) | 8,36 | 14,98 | 66,92 | - | 9,74 |
| 210 | ბარიტ-პოლიმეტალური მადნის კუდსაცავი (კაზრეთი) | 8,85 | 16,43 | 68,10 | - | 6,64 |
| 211 | სპილენის კონცენტრატი (მადნებული) | 10,71 | 19,64 | 64,89 | - | 4,73 |
| 212 | სპილენ-კოლჩედანიანი მადანი (კაზრეთი) | H ₂ + O ₂ 83,31 | | 3,04 | - | 13,65 |
| 213 | სპილენ-კოლჩედანიანი მადნის კუდსაცავი | 3,99 | 21,70, | 68,71 | - | 5,60 |
| 214 | მეორადი კვარციტი (კაზრეთი) | H ₂ + O ₂ 82,25 | | 4,36 | - | 13,39 |
| 215 | მურა ნახშირი (ახალციხე) | 5,80 | 21,23 | 65,13 | 7,84 | - |
| 216 | წვრილმარცვლოვანი ახალი კუდები (დარკვეთი) | H ₂ + O ₂ 74,28 | | 16,29 | - | 9,43 |
| 217 | შლამიანი წვრილმარცვლოვანი კუდები (დარკვეთი) | H ₂ + O ₂ 86,45 | | 5,28 | - | 8,27 |
| 218 | კვარცპორფიტული ტუფი (ჯანდარა) | 40,76 | 5,98 | 11,65 | - | 41,61 |
| 219 | კვარცპორფირი (ჯანდარა) | 42,67 | 4,97 | 7,77 | - | 44,59 |

აქვე უნდა აღინიშვნოს ისიც, რომ გაზების გამოყოფა გამოტუტავის პროცესში ერთდროულად არ მიმდინარეობს, თუმცა მიკროორგანიზმების კულტივირებისა და ანალიზების ჩატარების პირობები ერთნაირია. უქვევლია, რომ ეს დამოკიდებულია თვით ქანისა და მადნის დამახასათებელ თავისებურებებზე. ზოგიერთ მათგანში გაზის გამოყოფა გამომტუტავ ხსნარში უკვე მეორე დღიდან იწყება, ძლიერად დუღს ორი-სამი დღის განმავლობაში და რვა-ათი დღე გრძელდება. (ნიმუშები 215, 218). სწორედ, ამ დღეებს ემთხვევა ხოლმე აირების მაქსიმალური გამოსვლა გამომტუტავი ხსნარებიდან. გაზების

გამოყოფის ხანგრძლივობასაც, რასაკვირველია, ნიმუშების თვისებები განსაზღვრავს.

ჭიათურის მანგანუმის საბადოს მანგანუმის შემცველი ქანებიდან, მადნებიდან და წარმოების ნარჩენებიდან Mn-ის, Fe – ისა და მრავალი სხვა ელემენტის ექსტრაქციის პირობები ძირეულად განსხვავდება უკვე განხილულისაგან [4, 5]. მიკროორგანიზმების მონაწილეობით მანგანუმისა და რკინის აღდგენით პროცესებს შორის არსებითი განსხვავება მხოლოდ გარემოს ქანგბადით მომარაგების ხარისხშია. მანგანუმის ან რკინის აღმდგენ ყველა ბაქტერიას შეუძლია კარგად განვითარდეს ორგანული ნაერთების შემცველ

გარემოში მანგანუმისა და რკინის იონების გარეშე, ანაერობული ჟანგვა კი ხორციელდება ელექტრონის გადატანით ნახშირბადშემცველ ნაერთზე [2]. გამოტუტვის საწყის სტადიაზე, ცვალებადვალენტრიანი ლითონების, მანგანუმისა და რკინის ექსტრაქცია ხორციელდება სპორების წარმოქმნელი ბაქტერიებით, რომელთა მეშვეობითაც მინერალებიდან გამოიყოფა წყალში ადგილად სხნადი ამ ლითონთა ქვეჯანგების შემცველი ნაერთები.

ჯერ ერთი, ეს უმტეს წილად დაუძინებული მინერალებია, რომელთათვისაც ლითონის ექსტრაქცია ანაერობულ პირობებში გამოტუტვის ბუნებრივი პროცესია. ხოლო მანგანუმის მიკრობიოლოგიური გამოყოფა დაკავშირებულია მის აღდგენასთან ორვალენტრიანამდე, რაც ხორციელდება სხევადასხვა სახეობის მიკროორგანიზმებით, კერძოდ კი, მიკრობთა იმ ასოციაციაში, რომელიც ასუებისმგებელია მანგანუმშემცველი ქანებიდან და მინერალებიდან ლითონების ამოწვლილვაზე, უმთავრესია მანგანუმის აღმდგენი, ამონიფიკატორი, დენიტრიფიკატორი და სპორატარმოქმნელი ბაქტერიების ჯგუფები [6], რომლებიც მანგანუმიანი მადნების ექსტრაგირებულ სხნარსა და ნარჩენებში ბევრად მეტი გროვდება, ვიდრე მიკროორგანიზმების სხვა ტაქსონომიური ერთეულები.

ანალციმიანი ქვიშაქვებისა (ნიმუში 208) და მეორადი კვარციტების (ნიმუში 214) გამოტუტავი სხნარებიდან აირების გამოყოფა იწყება გვიან, მაგრამ ძალიან დიდხანს და აქტიურად მიმდინარეობს თითქმის გამოტუტვის ვადის ბოლომდე.

თუ გაგანალიზებთ სხევადასხვა ქნიდან, მაღნიდან და წარმოების ნარჩენებიდან მიკროორგანიზმის ცხოველმყოფელობის პროდუქტების შესწავლის შედეგებს, არ შეიძლება არ შევნიშოთ, რომ სამთამადნო რეგიონის ნიმუშების ბიომასაში გამომუშავდება ნივთიერებათა ცვლის თითქმის იდენტური პროდუქტები, რომლებიც ერთმანეთოსაგან განსხვავდება მხოლოდ მათ მიერ დაგროვილი მჟავების, სპირტების და აირების რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ზემოთქვეული განსაკუთრებით კარგად ჩანს აირებთან მიმართებაში. მანგანუმის კარბონატული და უანგულა მადნების საანალიზო მასალაში (ნიმუშები 203, 207) გამოყოფილი გაზების თვისობრივი და რაოდგნობრივი მაჩვენებლები თითქმის ემთხვევა ერთმანეთს, ისევე როგორც დარკვეთის გამადლიდრებელი ფაბრიკის კუდების სხევადასხვა ნიმუში (216, 217) აღრიცხული მონაცემები.

კაზრეთის სამთამადნო რაიონის განსხვავებული ნიმუშები (212, 214) ძალიან გავს ერთმანეთს მეტაბოლიზმის პროდუქტებით, მათ შორის

უპირველესად, ნივთიერებათა ცვლის გაზური შემადგენლობით. თავიანთი ცხოველმყოფელობის პროდუქტებით ახლოს დგანან ერთმანეთთან ასევე ჯანდარტის ტბის მიმდებარე ხეობის ქანებიდან აღგებული ნიმუშების - კვარცპორიფული ტუფისა და კვარცპორფირის (ნიმუშები 218, 219). გამოტუტული სხნარებისა და აირების რიცხობრივი მაჩვენებლები.

3. დასკვნა

ყოველივე ზემოთქვეულიდან გამომდინარე, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი და იგივე რეგიონის ქანების, მადნებისა და წარმოების ნარჩენების გამოტუტული სხნარების მიკროფლორა, ფორმირებული იგივე რეგიონის ეკოლოგიურ ნიშაში, ყველა ნიმუშისათვის დაბალობით ერთმანეთის მსგავსია, ვითარდება თითქმის ერთნაირი ტემპითა და რიცხობრივი მაჩვენებლებით, ხასიათდება ერთგვაროვანი ნივთიერებათა ცვლის მიმდინარებითა და გამოტუტვის მსგავსი აქტიურობით.

მიკრობიოლოგიური გამოტუტვის აღწერილი პროცესი მკაფიოდ მიუთითებს ქანებისა და მადნების სახესხვაობებზე დამოკიდებული მიკრობული ცვნილობის არსებობაზე, რომელიც ფუნქციონირებს როგორც ერთი მთლიანი რგოლი, ვითარდება ეკოლოგიური პირობების ვიწრო ჩარჩოებში და გეობიოლოგიური პროცესების განსაზღვრის ინდიკატორია.

ლიტერატურა

1. Илялетдинов А.Н. Микробиологическое превращение металлов. Алма-ата: «Наука» Казахской ССР, 1984. - 267 с.
2. Каравайко Г.И., Кузнецов С.И., Голомзик А.И. Роль микроорганизмов в выщелачивании металлов из руд. М.: Наука, 1972.- 248 с.
3. შ., პეტრიაშვილი თ. ძაბამია. ბაქტერიების თანასაზოგადოება, როგორც სპილენბშემცველი სუბსტრატიდან ლითონების ამოწვლილვის საშუალება // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული ტ. 14. თბილისი: მეცნიერება, 2003, გვ. 221-230.
4. დ. ჩუბკერაშვილი, თ. ძაბამია. ქანებიდან, დარიბი მადნებიდან და წარმოების ნარჩენებიდან ბაქტერიული გამოტუტვის შესწავლისათვის ჭიათურის რეგიონის მაგალითზე // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული ტ. 14. თბილისი: მეცნიერება. 2003, გვ. 211-220.
5. ლ. ცერცვაძე, თ. ძაბამია, დ. ჩუბკერაშვილი.

- გამოფიტვის ბიოქიმიური პროცესების გამოყენება გარემოს ეკოლოგიური გაჯანსაღების მიზნით // მეცნიერება და ტექნოლოგიები, №1-3. თბილისი, 2000, გვ. 69-71.
6. ლ. ცერცვაძე, თ. ძადვაძია, დ. ჩუბაქერაშვილი. მიკრობიოლოგიური გამოტებვის მეთოდით ქანებიდან და სამთო წარმოების ნარჩენებიდან ლითონების ექსტრაქციის თავისებურებანი // მეცნიერება და ტექნოლოგიები, №1-3. თბილისი, 2001, გვ. 78-83.
 7. ლ. ცერცვაძე, თ. ძადვაძია, შ. პეტრიაშვილი. მიკროორგანიზმთა ცხო-
 - ველქმედების პროდუქტების როდი ლითონების ბიოქიმიური გამოტებვისას // მეცნიერება და ტექნოლოგიები, №4-6. თბილისი, 2001, გვ. 81-85.
 8. ცერცვაძე ლ.ა., ძადვაძია თ.დ., ვაიადაძე უ.ი., პეტრიაშვილი შ.გ., ჭუკერაშვილი დ.გ. Использование глинообразующих микроорганизмов в целях утилизации отходов горного производства // Материалы годичной сессии Совета РАН по проблемам геоэкологии, инженерной геологии и гидрогеологии. Сб.«Сергеевские чтения», вып. 7. Москва: ГЕОС, 2005, с. 210-214.

UDC 551**GASES COMPOSITION, EXTRACTED FROM THE BIOLOGICAL TREATMENT OF WASTE, ORES AND ROCKS OF CHIATURA MANGANESE AND MADNEULI COPPER DEPOSITS.****T. Dzadzamia, L. Tservadze, D. Chutkerashvili, Sh. Petriashvili, L. Glonti.**

Institute of hydro geology and engineering geology, Georgian Technical University, 1, Chanturia st. Digomi village, Tbilisi, 0175, Georgia

Resume: There is considered gases composition extracted from the biological treatment of waste, ores and rocks of Chiatura manganese and Madneuli copper deposits. Studies have shown, that during the microbiological treatment in the process of leaching metals from various substrates of the same region, the qualitative and quantitative indicators of extracted gases are almost identical. This indicates, that the micro flora of leaching solutions, formed in the ecological niche of the same region, is characterized by the same type of metabolism.

Key words: rosk; extraction; leaching solution.

УДК 551**СОСТАВ ГАЗОВ, ВЫДЕЛЕННЫХ В РЕЗУЛЬТАТЕ БИОЛОГИЧЕСКОЙ ОБРАБОТКИ ОТХОДОВ ПРОИЗВОДСТВА РУД И ПОРОД ЧИАТУРСКОГО МАРГАНЦЕВОГО И МАДНЕУЛЬСКОГО МЕДНОГО МЕСТОРОЖДЕНИЙ****Дзадзамия Т.Д., Церцвадзе Л.А., Чуткерашвили Д.Г., Петриашвили Ш.Г., Глонти Л.Е.**

Институт гидрогеологии и инженерной геологии, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, село Дигоми, ул.Чантuria, 1

Резюме: Рассматривается состав газов, выделенных в результате биологической обработки отходов производства руд и пород Чиатурского марганцевого и Маднеульского медного месторождений. Как показали исследования, при микробиологической обработке в процессе выщелачивания металлов из различных субстратов одного и того же региона, качественные и количественные показатели выделенных газов почти идентичны. Это указывает на то, что микрофлора выщелаченных растворов, сформированная в экологической нише одного и того же региона, характеризуется однотипным метаболизмом.

Ключевые слова: порода; экстракция; выщелаченный раствор; выпекание.

მიღებულია დასაბუღად 25.11.13

ნაბეჭობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი

UDC 535.87

THE NEW, MORE ACCURATE TECHNOLOGICAL METHOD TO CREATE REFLECTING SURFACE OF REFLECTOR

M. Sanikidze , O. Tusishvili, N. Medzmariashvili *, G. Gratiashvili.

Institute of constructions, special systems and Engineering Maintenance of Georgian Technical University, 68^b, M. Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

E-mail: icssem@gtu.ge

Resume: The paper is dedicated to the one of the newest methods to create reflecting surface in antenna reflectors. The advantage of such method is the high range of more approximated accuracy of the surface, that is gained in case of its application. The work is intended to reduce elasticity, arrangement of tensioners and to experimental research of its tensioning force. Here is determined average meaning of mesh reduce elasticity, also the dependence nature among tensioning force and tangent points of displacement of tensioners on mesh.

Key words: reflector; reflecting surface; building berth; mesh; modulus of elasticity; tensioners; tensioning force.

1. INTRODUCTION

In the reflecting antennas special responsibility task represents issue of its reflecting surface - screen arrangement technology. This task is even more complicated, when it is related to large-sized deployable space reflecting antenna. In the earth's environment as well as in space the reflecting antennas screens are characterized by very high precision design geometry. If the conventional building structures variation of the elastic limits for designs makes range up to 1/100 - 1/1000 of span,

in the reflecting antenna its reaches up to 1/10000 and sometimes 1/100000 of overall dimensions. The solution of such tasks requires the development of current technologies [1, 2, 3, 4, 5, 6].

2. THE BODY OF THE ARTICLE

1. A deployable space offset reflector antenna construction for the area of 4÷25 m

